მაილსი ქართველებზე ოპტიმისტურადაა განწყობილი A2

კანონი გაძლევს უფლებას! დაიცავი ეს უფლება! A7

ხელისუფლების რექვიემი B7



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 1 ნოემბერი, 2003 წელი. №286 (498) | ფასი 50 თეთრი


### პოლიტიკა

## რუსთავში არჩევნების ჩატარება ეჭვქვეშაა

რუსთავის ოპოზიციურმა პარტიებმა და მაჟორიტარი დეპუტატობის ოთხმა კანდიდატმა საჩივრით მიმართეს ცესკო-ს თავმჯდომარეს, სადაც ისინი საარჩევნო კომისიების მხრიდან დაშვებულ უამრავ დარღვევაზე მიუთითებდნენ და რუსთავში არჩევნების გადადებას მოითხოვდნენ. მომჩივანთა არგუმენტებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ეუთო-ს გრძელვადიანი დამკვირვებლებიც იზიარებდნენ.

A3

### ეკონომიკა

## ტყუილი - ერთადერთი საინვესტიციო ტექნოლოგია

ხელისუფლებას უცებ გაახსენდა გალატაკებული ხალხი, გაუცემელი პენსიები და წყვდიადით მოცული საქართველო, მაგრამ არც ერთი პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ გადაჭრის თავი აღარ აქვს. ამიტომ, ხელისუფლება ხალხს ტყუილებით კვებავს.

A4

### უცხოეთი

## სპეცსამსახური საკუთარი პრეზიდენტის წინააღმდეგ

ლიტვის პრეზიდენტს, როლანდას პაქსასს საკუთარი სპეცსამსახურები აუმხედრდნენ. მათ ქვეყნის პარლამენტს წარუდგინეს მოხსენება, სადაც პრეზიდენტ პაქსასს საერთაშორისო დანაშაულებრივ ჯგუფებთან კავშირი ბრალდება.

A5

### საზოგადოება

## ხელისუფლების ცვალებადობა - დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპი

ახლა კიდევ ერთხელ გავიაზროთ, არის თუ არა შესაცვლელი ხელისუფლება?
მე შორს ვარ აზრიდან, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლა უზრუნველყოფს სასწრაფო ცვლილებებს და ხვალვე ყველაფერი გამოსწორდება, მაგრამ ეს იქნება პირველი ნაბიჯი გზაზე, რომელიც აუცილებლად არის გასავლელი.

A6

### სამართალი

## შს მინისტრის საარჩევნო საჩუქარი პოლიციელებს

შინაგან საქმეთა მინისტრმა ორი ნოემბრის არჩევნების კანონიერად ჩატარებისთვის პოლიციელებს სპეციალური ბუკლეტი დაურიგა. არჩევნების დღეს ქუჩაში გამოსული პოლიციელები ბუკლეტში გაეცნობიან მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და წესებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ არჩევნების დღეს.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | |
| ქუთაისი | 18 | |
| ბათუმი | 17 | |
| სოხუმი | 16 | |
| ფოთი | 17 | |
| თელავი | 13 | |
| ზუგდიდი | 18 | |
| გორი | 12 | |
| ახმეტა | 14 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1044 |
| ევრო | 2.4474 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5627 |
| რუბლი | 0.0703 |

# ხელისუფლებას ორი არჩევანი აქვს: ან კარგად წავიდეს, ან ცუდად

ეკა კვესიტაძე

*"24 საათი" გთავაზობთ მრგვალ მაგიდას ექსპერტების - გია ნოდიას, არჩილ გეგეშიძის, დათო ზურაბიშვილისა და დათო უსუფაშვილის მონაწილეობით.*

**- არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ხელისუფლების წარმომადგენლები, პრეზიდენტის ჩათვლით, სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ დესტაბილიზაციას არ დაუშვებენ. რას გულისხმობს ხელისუფლება, როცა ასეთ განცხადებას აკეთებს?**

**არჩილ გეგეშიძე:** ამაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. საქართველოში ხელისუფლებას არც საკმარისი რესურსები გააჩნია და არც საკმარისი ლეგიტიმურობის ხარისხი იმისათვის, რომ

გაგრძელება A3 გვერდზე



*"მრგვალი მაგიდის" მონაწილენი "24 საათის" რედაქციაში.*

# "მხოლოდ ჩვენ ვიცით, როგორ დავიბრუნოთ საქართველო"

სოფო ბუკია

**"ჩვენ დავიბრუნებთ საქართველოს!" "გაუმარჯოს საქართველოს შევარდნაძის გარეშე!"** - ეს ყველასათვის კარგად ნაცნობი ლოზუნგები გუშინ სპორტის სასახლეში შეკრებილმა ათი ათასამდე ადამიანმა კიდევ ერთხელ მოისმინა.

ხუთჯვრიანი დროშებით შეიარაღებული, "ნაციონალური მოძრაობის" ათი ათასი (სპორტის სასახლეში ასეთი ხალხმრავლობა არც ერთი სხვა პოლიტიკური პარტიის ყრილობაზე არ ყოფილა) აქტივისტი გუშინ წინასწარ ულოცავდა ერთმანეთს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას.

**"მიხარია, როცა თქვენ ასე ერთად გხედავთ; მიხარია, რომ სულ რაღაც ხუთ-ექვს თვეში "ნაციონალური მოძრაობა" ჩამოყალიბდა ყველაზე ძლიერ, გამბედავ და ინტელექტუალურ ძალად... საქართველოს ბევრად უფრო გონიერი დამპყრობლები ახსოვს, ვიდრე შევარდნაძეა.**

გაგრძელება A2 გვერდზე



*"ოცდაათწლიანი მმართველობის შემდეგ ერთად გავაცილებთ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ბოლო დიქტატორს".*

# ხელისუფლება არჩევნებიდან ნინო ბურჯანაძის ჩამოშორებას აპირებს

## დღეს გაირკვევა, მოახერხებს თუ არა ის თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმას

გიორგი ასანიშვილი

*სახელისუფლებო ბლოკი და მისი ფავორიტები ცდილობენ, არჩევნების წინა დღეს ნინო ბურჯანაძეს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობისთვის ბრძოლის უფლება წაართვან და პარლამენტის სპიკერი გზიდან ჩამოიცილონ. ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერის ერთ-ერთმა კონკურენტმა დოდო შელიამ და მისმა წარმომადგენელმა დავით კოსტავამ გუშინ ქუთაისის საოლქო სასამართლოში სასარჩელო განცხადება შეიტანეს, რომლითაც ნინო ბურჯანაძისთვის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას ითხოვენ. სასამართლო პროცესი აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით დღეს გაიმართება.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*"ხელისუფლება მარაზმატიკულ მდგომარეობაში იყენებს თავს".*

# საარჩევნო უბანი რჩეულიშვილის დის ოფისში

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

არჩევნების წინა დღეს, 1 ნოემბერს მოსკოვში გახსნილი 16 საარჩევნო უბნის შემოწმებას განახორციელებენ თბილისიდან ჩამოსული დამკვირვებლები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, აგრეთვე - "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორები.

მოსკოვის საარჩევნო უბნებზე 20-მდე დამკვირვებელია მიმაგრებული. წინასაარჩევნო ორგანიზაციული საკითხების საზოგადოებრივ კონტროლს განახორციელებს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს სათვისტომოს ხელმძღვანელობაც, რომელსაც უკვე აქვს სერიოზული ინფორმაცია არჩევნების შედეგების მოსალოდნელ გაყალბებაზე.

სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტი დავით ბერიტაშვილი: **"გაუგებარია, რატომ რეკავენ ჩვენთან 31 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეები და რატომ ახსენდებათ მხოლოდ ახლა, რომ არჩევნების წინ, თურმე, საკონსულო რეგისტრაციის გავლა იყო საჭირო. ამ საცოდავმა ხალხმა ის არ იცის, მოსკოვის მილიციას როგორ დაუძვრეს, თურმე, არც იმაზე ჰქონდათ ინფორმაცია, რომ არჩევნების წინ სპეციალური რეგისტრაცია უნდა გაევლოთ."**

"24 საათის" მოსკოვის კორპუნქტს დაუკავშირდა პოლიტიკურ ბლოკ "ერთობას" წარმომადგენელი მოსკოვში ალექსანდრე მიქაძე და განაცხადა: **"საარჩევნო კანონმდებლობის არცოდნამ**

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველოს შანსი

## გაყალბებული არჩევნების შედეგები პოსტსაბჭოთა სივრცეში

შოთა უტიაშვილი
ეკა კვესიტაძე

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობაში ბოლო დროს ერთი სამწუხარო ტენდენცია შეიმჩნევა: ახალი პრეზიდენტები ძველზე უარესები, ყოველ შემთხვევაში, უფრო ავტორიტარულები და კორუმპირებულები არიან. ცხადია, ეს იმ ქვეყნებს შეეხება, სადაც პრეზიდენტები, საერთოდ, იცვლებიან.

აზერბაიჯანში ჰეიდარ ალიევი მისმა შვილმა ილჰამმა შეცვალა, რომელიც საერთო აზრით, მამას ბევრად ჩამორჩება. ეს ახალგაზრდა ალიევის მმართველობის პირველივე, სისხლიანმა დღემაც დაადასტურა.

ვერც სომხეთის ახალმა პრეზიდენტმა, კოჩარიანმა გამოიჩინა უფრო მეტად თავი, მის წინამორბედ ტერ-პეტროსიანთან შედარებით. ამ ქვეყანას არაფერში ეტყობა (ოფიციალური სტატისტიკის გარდა), რომ სწრაფ აღმავლობას განიცდიდეს. სამაგიეროდ, სომხეთში დღეს უკვე არც ერთი თავისუფალი ტელევიზია აღარ არსებობს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# ხელისუფლების ჯიბეში გამომწყვდეული ბიზნესი

## ხელისუფლება არსებული მანკიერი ბიზნეს-ურთიერთობების ნგრევას არ დაუშვებს

*დღეს საქართველოში ძალიან უყვართ იმის გამეორება, რომ საქართველო არც აზერბაიჯანია და არც რუსეთი, სადაც ხელისუფლებას როგორც მედია, ისე ბიზნესი ჯიბეში ჰყავს გამომწყვდეული. საქართველოში უკვე ბევრმა დაიჯერა ხელისუფლების მიერ შექმნილი მითი ჩვენი ქვეყნის სამაგალითო დემოკრატიულობის შესახებ და სიტყვის შედარებითი თავისუფლება სწორედ ამ დემოკრატიის სახედ ჩათვალა.*
*თუმცა, რეალურად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ არც შევარდნაძეს აქვს პუტინის ძალაუფლება და არც ქართველ ბიზნესმენებს - მიხეილ ხოდორკოვსკის ფული, ხელისუფლებისა და ჩვენებური "დიდი ბიზნესის" ურთიერთობის საკითხი საქართველოში ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული დემოკრატიულობის შესახებ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ამართლებს.*

თამარ ხორბალაძე

შევარდნაძის ხანის მობრუნების დღიდან დიდი ბიზნესი საქართველოს პრეზიდენტის დასაყრდენი გახლდათ, საქართველოს პრეზიდენტი კი - მათი რეალური "ლობი" და გარანტი.

შევარდნაძემ კარგად უწყოდა, რომ ბიზნესი მასზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, უნდა ჰქონოდა დიდი საგადასახადო დავალიანებები, დროებით შერჩენილი კრედიტები და ა.შ. მოკლედ - კომპრომატები. ამით დაამკვიდრა კორუფციული კანონები და თითქმის მთელი ქართული ბიზნესი ჩინოვნიკებზე დამოკიდებული აღმოჩნდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ვის სასარგებლოდ მუშაობს დამნაშავეთა სამყარო

*წლების მანძილზე საქართველოში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ხელისუფლების კრიმინალიზაცია აღიქმება. ახლა კი, არჩევნებამდე ორი დღით ადრე, სახელისუფლებო ბლოკი ოპოზიციის რიგებში კრიმინალების ყოფნაზე ალაპარაკდა. კერძოდ, ბლოკის ერთ-ერთი წარმომადგენლის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადების თანახმად, ოპოზიციურ ძალებს საარჩევნო კომისიებში კრიმინალური წარსულის მქონე პირები ჰყავთ შეყვანილი.*

სოფიკო ჩხაიძე

საარჩევნო კომისიებში ოპოზიციის მიერ ქურდობისთვის, იარაღის შენახვისა თუ ტარებისთვის ოდესღაც გასამართლებული და სასჯელმოხდილი პირების შეყვანა, ვის ვის და, სახელისუფლებო ბლოკს არ უნდა გაკვირვებოდა. მათ საარჩევნო სიას ხომ გაცილებით სერიოზული დანაშაულისთვის, მაგალითად, ტერორიზმისა და ადამიანის გატაცებისთვის განსჯილი, მეტიც - ისეთი ხალხიც ამშვენებს, ვისი საქმეებიც დღემდე ძიებაშია.

გაგრძელება A8 გვერდზე


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 არჩევნები | A7 ჩვენი უფლებები | A8 არჩევნები

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 კანონიერების კულტურა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 გალახდილად | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# მაილსი ქართველებზე ოპტიმისტურადაა განწყობილი



ბესო გულაშვილის ფოტო

*მაილსი დარწმუნებულია, რომ ეს არჩევნები აშშ-საქართველოს ურთიერთობაში დადებით მუხტს შეიტანს.*

ლელა მჭედლიძე

პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან შეხვედრები საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრით დაასრულა. სახელისუფლებო ბლოკის ლიდერ ავთანდილ ჯორბენაძესთან დახურულ კარს მიღმა გამართული, დაახლოებით, ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ, აშშ-ს ელჩი თავის ოპტიმიზმს არ მალავდა. **"ქართველებისაგან განსხვავებით, მე მომავალს მეტი ოპტიმიზმით ვუყურებ, მჯერა, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად, ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარდება და საქართველო-აშშ-ს ურთიერთობებშიც ამ მხრივ მხოლოდ დადებითი მუხტი შევა,"** - განაცხადა მაილსმა. ამერიკელებისათვის დამახასიათებელ ოპტიმიზმს, მაილსის თქმით, ხელისუფლების პოზიციაც უმაგრებს საფუძველს.

სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე საუბრის ძირითადი თემა არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენების შესაძლო განვითარება იყო, ანუ - რა მოხდება 2 ნოემბრამდე და 2 ნოემბრის შემდეგ. ჯორბენაძემ, როგორც ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიის ლიდერმა, კიდევ ერთხელ დაუდასტურა სტუმარს, რომ ჩვენი ხელისუფლება წინასაარჩევნოდ აბსოლუტურად იზიარებს ამერიკის პოზიციას. ელჩსაც ხელისუფლების სჯერა, მაგრამ, ამავე დროს, არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების თაობაზე დიდი ილუზიები არ აქვს. როგორც მაილსმა განაცხადა, **"არჩევნების ჩატარების პროცესში ათასობით ადამიანი იქნება ჩაბმული და ამ პროცესში მონაწილე ადამიანის ყველა საქციელის ბოლომდე გაკონტროლება ნამდვილად შეუძლებელი იქნება."**

გუშინ მაილსმა ის დახმარებაც გაიხსენა, რაც აშშ-ს ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ ჩვენს ქვეყანას გაუწია. კონკრეტულად, თუნდაც არაპარტიული დამკვირვებლებისთვის ტრენინგის სახით.

რას ფიქრობს აშშ-ს წარმომადგენელი ე.წ. ეგზით პოლების შესახებ? როგორც ცნობილია, ამ საკითხისადმი ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში საკმაოდ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. მაილსი დარწმუნებულია, რომ თუ ეგზით პოლის შედეგები საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ გამოქვეყნდა, ცუდი ამაში არაფერია, რადგან ეს ამომრჩევლის შეხედულებაზე გავლენას უკვე ველარ მოახდენს.

# რუსთავში არჩევნების ჩატარება ეჭვქვეშაა

*რუსთავის ოპოზიციურმა პარტიებმა და მაჟორიტარი დეპუტატობის ოთხმა კანდიდატმა საჩივრით მიმართეს ცესკო-ს თავმჯდომარეს, სადაც ისინი საარჩევნო კომისიების მხრიდან დაშვებულ უამრავ დარღვევაზე მიუთითებდნენ და რუსთავში არჩევნების გადადებას მოითხოვდნენ. მომჩივანთა არგუმენტებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ეუთო-ს გრძელვადიანი დამკვირვებლებიც იზიარებდნენ.*

მაია მოსიაშვილი

საღამოს ექვსი საათისათვის რუსთავის ყველა საუბნო კომისიაში ამომრჩეველთა ხელნაწერი სიები გამოაკრეს, რომლებიც 10-15 წუთით ადრე მიიტანეს უბნებზე. ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ არც ერთ უბანს არ გააჩნდა ამომრჩეველთა სიების მიღება-ჩაბარების აქტი; სიები ფურცლების ორივე მხარეზე იყო დაწერილი; არც ერთ მათგანზე არ იყო ბეჭედი ან ხელმოწერა, რაც იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ სიები ნამდვილად ცესკო-ს მიერ იყო დამოწმებული; უბნის თავმჯდომარეების უმრავლესობა აცხადებდა, რომ არ იცოდა, ვინ მიიტანა მათთან ამომრჩეველთა სიები. ისინი გადაჭრით ამბობდნენ, რომ სიები მათ უბანზე არ დაუწერიათ.

**"ეს არის სახელისუფლო პარტიის მიერ მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული სიები. მსგავსი სამუშაოები სხვა პარტიებმაც შეასრულეს, მაგრამ ხელისუფლებამ თავისი ვარიანტი წარმოადგინა, როგორც საბოლოო სია,"** - განაცხადა საოლქო კომისიაში "ნაციონალთა" წარმომადგენელმა სოსო მაზმიშვილმა.

საღამოს 7 საათისათვის "ნაციონალების", "ბურჯანაძე-დემოკრატების", "ახლების" ხელმძღვანელები, მაჟორიტარი დეპუტატობის 4 კანდიდატი - სოსო ალავიძე, გია ხევიაშვილი, ფრიდონ კენკებაშვილი და მანანა მოდებაძე და მათი მხარდამჭერები საოლქო კომისიის სამუშაო ოთახებში იმყოფებოდნენ. იქვე იყვნენ "სამართლიანი არჩევნების", "თავისუფლების ინსტიტუტის" და ეუთო-ს წარმომადგენლები.

სწორედ ამ დროს კომისიაში უკვე მეორედ მიიტანეს რუსთავისთვის განკუთვნილი ბიულეტენები. წინა ღამეს კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ჩამოტანილი ბიულეტენები რატომღაც დაულუქავი აღმოჩნდა და ისინი უკან დააბრუნეს. გუშინ საღამოს საოლქოში არ არსებობდა ოქმი, რომელშიც დაფიქსირებული იქნებოდა ბიულეტენების უკან გაგზავნის საფუძველი.

დაძაბულობამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა თავმჯდომარემ მამუკა მუმლაძემ თავის კოლეგებს ოპოზიციიდან სხდომის ჩატარებაზე უარი უთხრა. მან ისიც განაცხადა, რომ ამომრჩეველთა საბოლოო სია წინა ღამეს სხდომაზე შეთანხმდა, საპირისპიროს ამტკიცებდნენ ოპოზიცია და დამოუკიდებელი დამკვირვებლები, რომლებიც 30 ოქტომბერს მთელი ღამის განმავლობაში საოლქოს სხდომაზე იმყოფებოდნენ. მათი თქმით, საოლქო კომისიას მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღია და ათასობით ადამიანი ხელისუფლებამ არჩევანის უფლების გარეშე, ანუ სიის მიღმა დატოვა.

როგორია ამომრჩეველთა საბოლოო ციფრი რუსთავში?

**"71 ათასამდე უნდა იყოს, ზუსტ ციფრს ვერ გეტყვით,"** - ასეთ კომენტარს აკეთებს მამუკა მუმლაძე უბნებზე საბოლოო სიების გამოკვრიდან ორი საათის შემდეგ და არჩევნებამდე ერთი დღით ადრე.

რუსთავის საოლქო კომისიაში შეკრებილმა ხალხმა ნანა დევდარიანის სახელზე განცხადება დაწერა, რომელიც გუშინვე მიიტანეს ცესკო-ში. **"ჩვენ გვინდა, რომ არჩევნები კანონის დაცვით ჩატარდეს, ამიტომ ცესკო-ს ვთხოვთ, რომ გადაყენებულ იქნან საოლქო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, რომელთაც ჩიხში შეიყვანეს კომისიის მუშაობა და, აქედან გამომდინარე, არჩევნების ჩატარება საფრთხის ქვეშ დააყენეს. მათ ნაცვლად ცესკო-მ დანიშნოს სპეცჯგუფი, რომელიც ჩაატარებს რუსთავში არჩევნებს,"** - განაცხადა გია ხევიაშვილმა.

**"ფაქტია, რომ ყველა აქ ვართ, პარტიებიც და მაჟორიტარებიც, სახელისუფლებო ბლოკისა და მისი მაჟორიტარის გარდა. აქედან გამომდინარე, დასკვნის გაკეთება ძალიან ადვილია,"** - "დემოკრატი" ლაშა მინდელის პოზიცია თითქმის ყველა იქ მყოფმა გაიზიარა.

გუშინ სოსო ალავიძე პირველად გამოჩნდა სხვა პარტიებისა და კანდიდატების გვერდით. ის აცხადებდა, რომ საოლქო კომისია და ხელისუფლება, მამალაძის სახით, გაუგონარი თავხედობით არღვევს კანონს და არჩევნების ჩაშლას ცდილობს.

**"უფრო მეტიც, სპეციალურად პროვოკაციისთვის და აყალმაყალისთვის ჩამოყვანილი ჰყავთ სხვადასხვა ეროვნების ხალხი რუსთავში, რომლებიც მზად არიან დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ეს არის დასაწყისი დესტაბილიზაციისა, რომელსაც ხელს უწყობს საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა,"** - თქვა ალავიძემ.

დესტაბილიზაციის რა მოგახსენოთ, მაგრამ არჩევნების ჩატარება რუსთავში ეჭვქვეშ დგას.

# "სამართლიანი არჩევნების" წინასაარჩევნო დასკვნა

თამარ მჭედლიშვილი

*"საპარლამენტო არჩევნების თავისუფლად, სამართლიანად ჩასატარებლად ქართული და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გადაიდგა უამრავი ნაბიჯი, თუმცა ამ ნაბიჯების შედეგიანობა ამჯერად საქართველოს ხელისუფლების კეთილ ნებაზე, საარჩევნო ადმინისტრაციის გამართულ მუშაობასა და საარჩევნო სუბიექტების მიერ პოლიტიკურ პროცესში სიმშვიდის შენარჩუნებაზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ ვაცხადებთ, რომ გვინდა კანონის დაცვა, ხმების სწორად დათვლა, არჩევნების სამართლიანად ჩატარება," - ეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებაა, რომელიც არჩევნების დღეს სამიათას დამკვირვებელს მიავლენს საარჩევნო პროცესების გასაშუქებლად. "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები საქართველოს თითქმის ყველა საარჩევნო უბანს მოიცავენ და არჩევნების პროცესის მონიტორინგს განახორციელებენ.*



*"სამართლიანი არჩევნების" "პრეზენტაცია" თბილისის ქუჩებში.*

არჩევნებამდე ორი დღით ადრე "სამართლიანი არჩევნები" უკვე ოფიციალურად აქვეყნებს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგებს და ყურადღებას ამახვილებს იმ პოზიტიურ და ნეგატიურ მოვლენებზე, რომელიც ამ ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის იყო დამახასიათებელი.

სამართლიანი არჩევნების შეფასებით, **"დაიხვეწა საარჩევნო კანონმდებლობა, საქართველოს საარჩევნო კოდექსში შევიდა ბევრი ცვლილება, რომელიც შეიძლება გახდეს საარჩევნო პროცესის დემოკრატიულობის გაზრდის საფუძველი; "სამართლიანი არჩევნები" დადებითად აფასებს დამატებითი სიების გაუქმებას, მარკირების შემოღებას, საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ღიაობის უზრუნველყოფას და, ზოგადად, კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესის დახვეწას, არჩევნების ადმინისტრირებაში არსებულმა პრობლემებმა შეიძლება ხაზი გადაუსვან ამ დადებით საკანონმდებლო ძვრებს.**

**საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა (საოლქო და საუბნო) კომისიების მუშაობა არ გამოირჩეოდა ორგანიზებულობით, რამაც შეიძლება ვერ მოგვცეს ის ეფექტი, რასაც ცენტრალური კომისიის შეცვლა ითვალისწინებდა. ქვედა დონის საარჩევნო კომისიების მუშაობას ეტყობოდა ქაოსურობა, ზოგჯერ არაპროფესიონალიზმი და დაუდევრობა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საარჩევნო პროცესებს. კიდევ უფრო შემაშფოთებელია, რომ საოლქო და საუბნო კომისიის თავმჯდომარეები და წევრები ხშირად ექცეოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების გავლენის ქვეშ."**

ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, ყველაზე სერიოზული პრობლემა, რამაც შეიძლება საარჩევნო პროცესის ჩაშლაც კი გამოიწვიოს, არის ამომრჩეველთა სიების დაუზუსტებლობა.

ამავე დროს, ორგანიზაციის წევრთა განცხადებით, ძალადობამ, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ტრადიციად იქცა, საარჩევნო სუბიექტებს შეუზღუდა წინასაარჩევნო აგიტაციის მშვიდ და ნორმალურ გარემოში წარმართვის საშუალება.

**"აღსანიშნავია, რომ ძალადობა განხორციელდა ჟურნალისტებზეც. ქართული მასმედია გამოირჩეოდა მეტი პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობითა და თავისუფლების ხარისხით, ვიდრე ყველა სხვა წინა არჩევნებზე. ქართველ ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება, მიეღო ინფორმაცია, ზოგადად არჩევნების და არჩევნებში მონაწილე სუბიექტების შესახებ. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო ტელევიზიამ აჩვენა მზაობა ამომრჩევლის ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, თავად სახელმწიფომ, მისმა ორგანოებმა და საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ შეძლო ამომრჩევლის ინფორმირებულობის შესაბამისი დონით უზრუნველყოფა",** – მიაჩნიათ "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებს.

# "მხოლოდ ჩვენ ვიცით, როგორ დავიბრუნოთ საქართველო"

პირველი გვერდიდან

**გაიხსენეთ შაჰ-აბასი, თემურლენგი... საქართველოს ბევრად უფრო დახვეწილი შინა გამყიდველები უნახავს, ვიდრე სახელისუფლებო ბლოკში თავმოყრილი სუბიექტებია, მაგრამ საქართველომ ყველაფერს გაუძლო. ჩვენ დღესაც გავიმარჯვებთ! ოცდაათწლიანი მმართველობის შემდეგ ჩვენ ერთად გავაცილებთ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ბოლო დიქტატორს - ედუარდ შევარდნაძეს. გაფრთხილებთ, ხელისუფლება დიდი გაყალბებისთვის ემზადება – "ნაციონალური მოძრაობა" კი დიდი გამარჯვებისთვის,"** – გაამხნევა საკუთარი მხარდამჭერები მიხეილ სააკაშვილმა და კიდევ ერთხელ ღიად განაცხადა, რომ **"2 ნოემბერს თუ გაიმარჯვებს, "ნაციონალური მოძრაობა" მზად არის, აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავალზე."**

გუშინდელი ყრილობა "სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო კლიპების ჩვენებით დაიწყო. ხალხი მქუხარე აპლოდისმენტებით აჯილდოებდა კადრებში გამოჩენილ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს და სტვენით "აცილებდა" პრეზიდენტ შევარდნაძის, ასლან აბაშიძის, ჯემალ გოგიტიძის, ლევან მამალაძის და სხვათა სახეებს.

**"კმარა!"** – ისმოდა ტრიბუნებიდან.

**"ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, დავიბრუნო ჩემი ბათუმი, ველი თქვენს მხარდაჭერას,"** – ეს გახლდათ ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ჩოლოქთან უმოწყალოდ ნაცემი დავით ბერძენიშვილის გუშინდელი გამოსვლის ბოლო სიტყვები. ბერძენიშვილს სახეზე ჯერ კიდევ ეტყობა ბათუმური ბლოკის ვაჟკაცობის კვალი... ხალხი მას განსაკუთრებული სითბოთი მიესალმა. **"ჩვენ არ დავუშვებთ, რომ მომავალ პარლამენტში ვინმემ გაბედოს პოლიტიკური ფლირტი "აღორძინებასთან", რადგან ეს არ არის პოლიტიკური ძალა, ისინი ბანდიტები არიან,"** – აღნიშნა ბერძენიშვილმა, რისთვისაც მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

კობა დავითაშვილმა იუსტიციის სამინისტროს ფოიეში თექვსმეტდღიანი შიმშილობა გაიხსენა და პირობა დადო, რომ საქართველოს პენსიონერებს მომავალშიც დაიცავს.

**"ჩვენ ყველაფერს მივაღწევთ; მთავარია, თქვენ გული არ გაიტეხოთ და ხელი არ ჩაიქნიოთ. სამი მილიონ რვაასი ათასი ადამიანი ერთ დიდ მინდორზე რომ გამოვიდეს და ერთი მიმართულებით ამოისუნთქოს, იმისთანა ქარიშხალი ამოვარდება, რომ შევარდნაძეს თავის კლანებიანად წალეკავს... ერთად ვიყოთ და ვერაფერი დაგვამარცხებს, ვიბრძოლოთ და აუცილებლად გავიმარჯვებთ,"** – მიმართა დავითაშვილმა დარბაზს.

საზოგადოება სააკაშვილთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა, ხალხის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არჩევნებზე აუცილებლად უნდა მივიდეს.

**"მიშა ერთადერთი კაცია, ვისაც შევარდნაძე მართლა არ უყვარს. რომ ლაპარაკობს, ტანში ჟრუანტელი მივლის, რადგან მართალია, შვილო, "** – ამბობს გორელი პენსიონერი გივი ბაბუნაშვილი.

**"ნაციონალური მოძრაობა" ყველაზე მაგარია,"** – გვითხრა შვიდი წლის გიორგიმ, რომელიც ამაყად აფრიალებდა გუშინ ხუთჯვრიან დროშას.

**"არავისი მჯერა, გენაცვალე, ინტერესის გამო მოვედი აქ. გუშინ ბურჯანაძის გამოსვლაც მოვისმინე, შალვას შეხვედრაზეც ვიყავი... 2 ნოემბერს ყველას გადავხაზავ და ეგ იქნება,"** – ამბობს ბატონი რეზო.

გუშინდელ შეხვედრას სააკაშვილის ბებია და ბაბუაც ესწრებოდნენ. ისინი ამაყობენ თავიანთი შვილიშვილით და მიაჩნიათ, რომ მისი იმედი მთელ საქართველოს უნდა ჰქონდეს.

# ხელისუფლება არჩევნებიდან ნინო ბურჯანაძის ჩამოშორებას აპირებს

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარის მოწინააღმდეგენი აცხადებენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ნინო ბურჯანაძემ გამოიყენა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ, საგზაო პოლიციის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება. ამასთან, სარჩელში ნათქვამია, რომ "ბურჯანაძის მხარდამჭერ კამპანიაში უშუალოდ მონაწილეობდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები". ამ შემთხვევაში იგულისხმება ზურაბ სოტკილავა, რომელმაც ამ დღეებში, პარლამენტის თავმჯდომარის მხარდასაჭერად, ქუთაისში კონცერტი გამართა. კიდევ ერთი ბრალდება, რომელსაც ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერს დოდო შელია და მის უკან მდგომი ხელისუფლება უყენებს, "სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაა".

მმართველი ძალის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ბურჯანაძის თანამებრძოლები, ბლოკის სხვა ლიდერები - ზურაბ ჟვანია და აკაკი ასათიანი აღშფოთებით შეხვდნენ. გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე "ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ასეთი ქმედებით **"ხელისუფლება მარაზმატიკულ მდგომარეობაში იყენებს თავს"**. თავის მხრივ, ზურაბ ჟვანია მოუწოდებს ხელისუფლებას, დროზე მოეგოს გონს, რადგან ბურჯანაძეს მარტო თავისი ბლოკი კი არა, მთელი საზოგადოება დაიცავს.

**"ნინოზე ლამის მთელი ქუთაისი ლოცულობს. ამ ქალაქში მას, მინიმუმ, 70-პროცენტიანი მხარდაჭერა აქვს,"** - აცხადებს "დემოკრატების" ხელმძღვანელი და იქვე პასუხობს იმ ბრალდებებს, რომლებიც პარლამენტის თავმჯდომარეს წაუყენეს.

ზურაბ ჟვანიას თქმით, მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ნინო ბურჯანაძე საკუთარი მანქანით გადაადგილდებოდა. **"საბაბი რომ არავისთვის მიგვეცა, ბენზინსაც ჩვენი ფულით ვასხამდით. ისე, საინტერესოა, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები თვითონ რა სახსრებით მოძრაობენ? რით დადიან თავისი ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციაზე ან სხვა საარჩევნო ღონისძიებებზე? სწორედ მათი კამპანია მიმდინარეობს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე,"** - შენიშნავს ჟვანია. რაც შეეხება ბურჯანაძისთვის ავტოინსპექციის მანქანის თანხლებას, ყოფილი სპიკერის თქმით, ასეთი რამ პარლამენტის თავმჯდომარეს კანონით ეკუთვნის.

როდესაც პროსახელისუფლებო ძალები სპიკერისადმი რუსეთის მოქალაქის, ზურაბ სოტკილავას მხარდაჭერაზე საუბრობენ, ჟვანია შეახსენებს მათ, რომ გუშინ, "ლოკომოტივის" სტადიონზე, უცხოურმა "იმეჯინეიშენმა" სწორედ სახელისუფლებო გუნდის მხარდასაჭერად გამართა გრანდიოზული კონცერტი.

ზურაბ ჟვანიას სასაცილოდაც არ ჰყოფნის ნინო ბურჯანაძის მიერ "სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება". **"ნეტავ, როგორ იქცეოდა ხოლმე პრეზიდენტი, როდესაც იგი საკუთარ წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებდა? იქნებ, უფლებამოსილებას იხსნიდა და მერე ისევ იბრუნებდა?"** - "აინტერესებს" "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერს.

იგი დარწმუნებულია, რომ სასამართლოზე აუცილებლად იქნება ზეწოლა. ჟვანიას ეს ვარაუდი იმ პროცესებს ემყარება, რომლებიც ქუთაისის საარჩევნო ადმინისტრაციაში ბოლო დროს მიმდინარეობს: უკანასკნელ პერიოდში თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ამ პოსტზე დოდო შელიას საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე დაინიშნა. ამას მოჰყვა საარჩევნო ოლქის რიგითი წევრების შეცვლა... მოახერხებს თუ არა ხელისუფლება თავისი ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანას, დღეს გაირკვევა.

# საუბნო კომისიებში კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანები მრავლად არიან

გიორგი ასანიშვილი

სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაქარია ქუცნაშვილი ოპოზიციას საარჩევნო კოდექსის დარღვევაში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ საუბნო კომისიებში კრიმინალური წარსულის მქონე პირები დანიშნა. **"იმისთვის, რომ არჩევნები სამოქალაქო საზოგადოებამ ჩაატაროს, საარჩევნო უბნებს პოლიციელები ჩამოვაცილეთ. ოპოზიციამ კი წარსულში მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი ხალხი შეიყვანა უბნებში"**, - აღნიშნა ქუცნაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც მან მასმედიას თავისი ნათქვამის დამადასტურებელი მასალა წარუდგინა.

სამტრედიის № 10 საუბნო კომისიაში "ნაციონალურმა მოძრაობამ" დანიშნა სერაპიონ ჭკუასელი, რომელსაც, იარაღის უკანონო შენახვისა და ტარების გამო, 1995 წელს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა; ბაღდათის № 22 საარჩევნო უბანში "აღორძინებამ" დანიშნა ვასილ გოგნაძე, რომელიც სასჯელს იხდიდა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ყაჩაღობის გამო...

ქუცნაშვილის თქმით, ბოლო ოთხი დღის განმავლობაში მან გამოავლინა რამდენიმე ათეული შემთხვევა, როდესაც ნასამართლევი ადამიანები საარჩევნო უბნებში ოპოზიციური პარტიების ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ. მათ შორის ისეთებიც კი არიან, ვინც ადრე გაუპატიურებისთვის იხდიდა სასჯელს.

**"ჩვენ ჩვენი წარმომადგენლები შემოწმებული გვყავს, მათ ფილტრი გავლილი აქვთ და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ნასამართლევი არ არიან"**, - ამტკიცებს სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი. ქუცნაშვილისავე თქმით, საარჩევნო უბნებში თავდაპირველად წარდგენილი კრიმინალური წარსულის მქონე პირები რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ შეცვალა. პარლამენტარი დანარჩენ პოლიტიკურ ძალებსაც იგივე ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს.

შეიძლებოდა, აქ წერტილი დაგვესვა, რომ არა ერთი გარემოება. საარჩევნო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, "ცესკო-სა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ამომრჩეველი, გარდა პირისა, რომელიც ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა". როგორც ხედავთ, კანონი ეხება მხოლოდ ცესკო-სა და საოლქო საარჩევნო კომისიებს და მასში არაფერია ნათქვამი საუბნო კომისიებზე. არადა, გუშინ ქუცნაშვილს ოპოზიციის მხილების მთელი სტრატეგია სწორედ ამ საარჩევნო რგოლში მოკალათებულ კრიმინალებზე ჰქონდა აგებული.

## მოკლედ

### "ახლებს" პარალელური დათვლისა სჯერათ

პოლიტიკური გაერთიანების "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე მიიჩნევს, რომ საპარლამენტო არჩევნებისას ე.წ. ეგზიტპოლების შეკვეთაც და გამოქვეყნებაც დასაშვებია, თუმცა ეგზით პოლების ობიექტურობაში მოსახლეობას მასიურად ეპარება ეჭვი. გამყრელიძე მიიჩნევს, რომ ეგზით პოლები ქვეყანაში დესტაბილიზაციის საფუძველი ვერ გახდება. "საზოგადოება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვა ქუჩაში, თუ ჩათვლის, რომ არჩევნები მასიურად გაყალბებულია, მშვიდობიანი პროტესტის უფლება კი ყველას გააჩნია. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების პარალელურად სტაბილურობის შენარჩუნებაა," - აღნიშნა გამყრელიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

იგი არჩევნების შედეგების პარალელურად დათვლის მექანიზმის განხორციელების მომხრეა და აღნიშნული პროცესის სჯერა. **ინტერ-პრესი**

### "კმარა" ვაკეში მასშტაბურ აქციას მართავს

გუშინ ახალგაზრდულმა მოძრაობამ " კმარა " ვაკეში მასშტაბური აქცია გამართა. მათ ვაკის მთელ ტერიტორიაზე პლაკატები გააკრეს, რომელზეც, მარქსთან, ენგელსთან და ლენინთან ერთად, ედუარდ შევარდნაძე, ავთანდილ ჯორბენაძე და ვახტანგ რჩეულიშვილი არიან გამოსახულნი. როგორც ახალგაზრდული მოძრაობა "კმარას" აქტივისტმა თეა თუთბერიძემ განაცხადა, მსგავსი პლაკატები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უკვე გადაიგზავნა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანების "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებმა ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ზვიად ჩოხელის საარჩევნო შტაბში 29 ოქტომბერს მომხდარი თავდასხმის გამო ოფიციალური განცხადება გუშინ გააკეთეს.

"მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატზე თავდასხმა პოლიტიკური შეკვეთაა, რომლის მიზანი ჩოხელის ხელყოფა იყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ბაქოში გამართულ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის, ანუ BSEC-ის საგარეო საქმეთა მინისტრების მეცხრე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრაზე განხილული იყო BSEC-ის გენერალური მდივნის მოადგილის არჩევის საკითხი, იმსჯელეს BSEC-ის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და BSEC-ში წევრობისა და დამკვირვებლის სტატუსის მსურველი ქვეყნების პერსპექტივებზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია" 2 ნოემბერს ერთდღიან მშრალ შიმშილობას გამოაცხადებს, მიზეზად კი საპარლამენტო არჩევნებისადმი უნდობლობა სახელდება. ამის შესახებ გუშინ ორგანიზაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2 ნოემბერს საარჩევნო უბნები საქართველოს შეიარაღებული ძალების 29 სამხედრო ნაწილში გაიხსნება, აქედან ცხრა - თბილისის გარნიზონში. 10-მდე სამხედრო ნაწილის მოსამსახურეები ხმას უახლოეს საარჩევნო უბანზე მისცემენ, თავდაცვის სამინისტროს დანარჩენ საგუშაგოებზე კი, სადაც რთული ადგილმდებარეობის გამო უბნების გახსნა ვერ მოხერხდა, გადასატანი ყუთები იქნება გამოყენებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** გუშინ, ცხინვალში, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში შედგა ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა ორგანიზაციის "ქართველთა სათვისტომო" წევრთა შეკრება. მათ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში სახელისუფლებო ბლოკის, კერძოდ კი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის მიმართ მორალური მხარადჭერა გამოხატეს. თავად ჯორბენაძე ამ ღონისძიებას არ დასწრებია. შეკრების ერთ-ერთი ორგანიზატორია ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების ჯანდაცვის მინისტრი ჯემალ ჯიკაევი, რომელიც ჯორბენაძის დიდი ხნის მეგობარია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ახმეტა.** გუშინ პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის რეგიონში ბიძინა სონღულაშვილი პანკისის ხეობის სოფელ დუისის მეჩეთში ადგილობრივ უხუცესებსა და მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრა წინასაარჩევნო ხასიათის იყო და მასზე, ძირითადად, სოფელში მცხოვრები ქისტებისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე იყო საუბარი. დუისში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა მუსულმანია. სონღულაშვილმა მათთან შეხვედრა მუსულმანთა წმინდა თვეს - რამადანს დაამთხვია. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## საარჩევნო უბანი რჩეულიშვილის დის ოფისში

პირველი გვერდიდან

**საქართველოს ბევრი მოქალაქე საერთოდ სიებს მიღმა დატოვა. დღეს ჩვენმა დამკვირვებლებმა მოსკოვში ორი "ფუფლო" უბანიც აღმოაჩინეს. როტშილდის ქ.N 11-ში მითითებულ 59-ე უბანზე ვახტანგ რჩეულიშვილის დის ოფისი დაგვხვდა. ფრიაზინოში მითითებული საარჩევნო უბანი ნომერი 64 საერთოდ არ არსებობს. ამ ნომრით შენობაც კი არ არის. ჩვენმა დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს ისიც, რომ გახსნილ უბნებზე სიები ჯერაც არ გამოუკრავთ, არ არის სპეციალური აბრები, არსად არაფერი არ კეთდება. გვეუბნებიან, იქნებაო. ერთ დღეში როგორ მოესწრება ყველაფერი? ჩვენი წარმომადგენლები დღეს დილიდან უბნებს ვამოწმებთ. ჩვენთვის მთავარია, რომ არჩევნების შედეგების ტოტალური გაყალბება არ მოხდეს."**

რუსეთის ფედერაციაში ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არჩევნების პროცესზე დამკვირვებელთა სპექტრი მეტად ჭრელია. დავით ბერიტაშვილი ამბობს, რომ **"მოსკოვში ჩამოვიდა პატიაშვილის ბლოკის მარტო 20 დამკვირვებელი, გურამ აბსნაძემ რუსეთის დედაქალაქში 32 ზედამხედველი გამოუშვა. დამკვირვებელთა შორის არიან ზვიადისტები, კომუნისტები, შევარდნაძისტები, სააკაშვილისა და ბურჯანაძის მომხრეები. არის აბსოლუტურად ნეიტრალური ხალხიც."**

**"მოსკოვში საქართველოს ხელისუფლების ბლოკის პოზიციები მეტად სუსტია,"** - აცხადებს რუსეთში საქართველოდან ჩამოსულ დამკვირვებელთა ერთი ნაწილი. მათი ცნობით, მოსკოვში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უდიდესი ნაწილი სიების გარეშე იმიტომ დარჩა, რომ ისინი თავიდანვე არ აპირებდნენ ამ არჩევნებში მონაწილეობას.

ძველ არბატზე მდებარე "მზიურის" შენობაში 31 ოქტომბრის გვიან საღამოს გაიმართა ოპოზიციური ბლოკების წარმომადგენელი დამკვირვებლების შეხვედრა, სადაც არჩევნების შედეგების მოსალოდნელი გაყალბების თავიდან აცილებაზე იყო საუბარი. რუსეთში ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელობამ მათ პირობა მისცა, რომ ყველაფერს გააკეთებენ ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცედურის დემოკრატიულ, გამჭვირვალე ვითარებაში ჩატარებისთვის.

**"თუკი 16 უბნიდან რამდენიმე მაინც არ იმოქმედებს, შეიძლება მოსკოვში არჩევნები საერთოდ ჩაიშალოს,"** - განაცხადა ამ შეხვედრაზე "ერთობის" დამკვირვებელმა.

## "ყაზბეგი" ხე-ტყის წარმოებაში

როგორც სხვა რეგიონებში, კახეთშიც ყველა შემოსავლიან ობიექტს რაიონის თავკაცები ლობირებენ. ასე ხდება თელავშიც. იმის გამო, რომ მედეა მეზვრიშვილს თელავის აგრარული ბაზარი და წინანდლის ღვინის ქარხანა ჩაეგდო ხელში, ლამის "სახელმწიფო გადატრიალება" მოაწყო კახეთში. ამჯერად მას, როგორც ჩანს, კრიმინალი ავტორიტეტის სახით მოცილე გაუჩნდა. თუ აქამდე თელავში ხე-ტყის ბიზნესს მედეა მეზვრიშვილი ლობირებდა, ამჯერად მას კონკურენციას პანკისელი ავტორიტეტი ლუკა რამაზაშვილი გაუწევს. გუშინ მრეწველებმა სოფელ ფშაველში ხე-ტყის დამამზადებელი ქარხანა "ყაზბეგი - ფშაველ ფორელის" პრეზენტაცია მოაწყვეს. ქარხანას ზურგს ფინანსურად იტალიელები უმაგრებენ, ხოლო "მფარველობას" ლუკა რამაზაშვილი უწევს. როგორც პარტიის ლიდერმა გოგი თოფაძემ "24 საათს" განუცხადა, საწარმოს აშენების იდეა რამაზაშვილს ეკუთვნის. **"მე დიდი მადლობა მინდა განვუცხადო ლუკა რამაზაშვილს იდეის განხორციელებისათვის, ხოლო ისეთ უნიკალურ ადგილას, როგორიც ფშაველია, ნამდვილად უნდა იყოს ძლიერი საწარმო, რათა აღორძინდეს მრეწველობა და სოფელი"**, - ამბობს გოგი თოფაძე.

სწორედ კახეთის ფლორის უნიკალურობის გამო შარშან ასეთივე საწარმო იტალიელებმა ყვარელშიც ააშენეს, რომლებმაც ტყე სულ გაანადგურეს და მუშებს კი ჩალის ფასს უხდიდნენ. მრეწველების ლიდერი კი აცხადებს, რომ ასეთ უმსგავსო საქციელს მის საწარმოში ადგილი არ ექნება. "არ გეგონოთ, რომ ტყეს მთლიანად გავანადგურებთ. მოიჭრება მისი მხოლოდ ათი პროცენტი და ფაზიანებული ხეები". ასე დაამშვიდა სოფლის მოსახლეობა თოფაძემ და დაჰპირდა, რომ ექვს ჰექტარ ნაკვეთზე, რომელიც მის განკარგულებაშია, სანერგე მეურნეობას გააშენებს. მრეწველების ლიდერმა ფშაველებს დასაქმებაც აღუთქვა, ამ დროისთვის ობიექტზე უკვე ასი ადამიანი მუშაობს. უცხოელი პარტნიორების წყალობით დამონტაჟდა კომპიუტერული სისტემა – აპარატურა, რომელიც, როგორც თოფაძე აცხადებს, პროდუქციას თანამედროვე ტექნოლოგიებით დაამზადებს. **"მზა ნედლეულს ჩვენი ქარხანა ერაყში, ისრაელსა და ევროპის ქვეყნებში გაიტანს. იტალიელი პარტნიორებს კი, რომლებიც ჩვენს გვერდით არიან, ამ ბიზნესში დიდი გამოცდილება აქვთ,"** - ამბობს თოფაძე.

თუ რამდენად გაუგებენ ქართველი და უცხოელი პარტნიორები ერთმანეთს, ძნელი სათქმელია, რადგან თოფაძეს და იტალიელებს საკონტროლო პაკეტი ვერ გაუყვიათ. თოფაძე აცხადებს, რომ პაკეტი ქართველების ხელშია, იტალიის წარმომადგენელი კლაუდიო დებაზო ირწმუნება, რომ ორივე მხარე თანაბარუფლებიანია. "მე მაქვს და შენ არ მოგცემ, ეს საქმისადმი არასწორი მიდგომაა," - ამბობს დებაზო.

*24 საათი*

# ხელისუფლებას ორი არჩევანი აქვს: ან კარგად წავიდეს, ან ცუდად

პირველი გვერდიდან

არჩევნების შემდეგ იგივე ხერხს მიმართოს, როგორსაც აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ან, თუ გნებავთ, რამდენიმე დღის წინ აჭარის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიმართა.

თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ მსგავსი მცდელობა ხელისუფლებას მაინც ექნება. მით უმეტეს, მაშინ, თუ იგივე არგუმენტების გამოყენება მოახერხა - რომ ოპოზიცია შეგნებულ პროვოკაციაზე წავიდა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ჩაიდინა. ამ მოტივით ის, არსებული პოლიტიკური რესურსების პირობებშიც კი, ეცდება, ოპოზიციის წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს და მასობრივი დემონსტრაციების ალკვეთა მოინდომოს. ამის მოლოდინი, სხვათა შორის, შესაძლოა, გაზარდოს ბათუმში რამდენიმე დღის წინ განვითარებულმა მოვლენებმაც, როცა აჭარის ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდებით შეეცადა, არ დაეშვა "ნაციონალური მოძრაობის" მიტინგი ქალაქის ცენტრში.

**დათო ზურაბიშვილი:** როდესაც შევარდნაძე კომენტარს აკეთებდა აზერბაიჯანის მოვლენებზე, მის ნათქვამში ლამის იგრძნობოდა: "ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში." ამას ხუმრობით ვამბობ, მაგრამ ამ ხუმრობაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის.

რა თქმა უნდა, ხელისუფლებას არ აქვს იმის ნახევარი რესურსიც კი, რომელიც აზერბაიჯანის მთავრობას გააჩნია. დავიწყოთ იმით, რომ აზერბაიჯანში სამართალდამცავი სტრუქტურები გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან. საერთოდ, ყველა ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელია, რომ ძალოვანი სტრუქტურები მომადლიერებული ჰყავდეს.

გარდა ამისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ალიევის კლანი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში, ხოლო ოპოზიცია ძალიან სუსტი და დაქსაქსულია.

ამასთან ერთად, აზერბაიჯანში ძალაუფლება ერთი კლანის ხელშია, მაშინ როცა საქართველოში ძალაუფლება სხვადასხვა გავლენის ჯგუფებს შორის არის გადანაწილებული.

ასე რომ, ჩვენთან არსებითად სხვა ვითარებაა და სახიფათოა, როცა ხელისუფლება ასე იმუქრება. ეს ნიშნავს, რომ ის კარგად ვერ აცნობიერებს იმ რეალობას, რომელშიც აღმოჩნდა.

ნებისმიერ ქვეყანაში დესტაბილიზაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში: ერთი შემთხვევაა, როცა ხელისუფლება იმდენად სუსტია, რომ ვითარებაზე კონტროლს კარგავს, ხოლო ქუჩაში გამოსული შეიარაღებული ადამიანები აკეთებენ იმას, რაც უნდათ (მსგავსი სიტუაცია ჩვენ უკვე გვქონდა), ან როცა ხელისუფლება აშკარად უგულებელყოფს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნებას და ცდილობს, თავისი გაიტანოს.

თუ დღეს ხელისუფლება ოდნავ მაინც გააცნობიერებს იმ საფრთხეს, რომელიც არსებობს და შეეცდება არჩევნები მეტ-ნაკლებად სამართლიანად ჩაატაროს, არა მგონია, რამე სერიოზული არეულობა მოხდეს. ასეთი არეულობა შეიძლება მხოლოდ მაშინ დაიწყოს, თუ ფართომასშტაბიან გაყალბებას ექნება ადგილი.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგად, რომელიც ძალიან ხშირად ქვეყნდება, უკვე ცნობილია, რომელი პარტია როგორი რეიტინგით სარგებლობს. გარდა ამისა, არჩევნების დღეს მოეწყობა პარალელური დათვლები და ამ დათვლებისა და ეგზიტპოლების მეშვეობით, შედეგები უკვე იმავე საღამოს იქნება ცნობილი, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები ცდომილებით.

თუ არჩევნების შედეგები ახლოს იქნება ამ შედეგებთან, მაშინ რატომ უნდა გამოვიდეს ხალხი ქუჩაში? რა თქმა უნდა, არჩევნების შემდეგ ვიღაც უკმაყოფილო დარჩება, მაგრამ ეს დიდ საპროტესტო აქციებს არ გამოიწვევს.

ხოლო, თუ შედეგები ძალიან განსხვავებული იქნება, მაშინ, ბუნებრივია, დაიწყება ფართომასშტაბიანი გამოსვლები. და თუ ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება დათმობებზე არ წავიდა, მაშინ დესტაბილიზაციის საფრთხე სავსებით რეალურად დადგება.

**- სხვათა შორის, პარტიების რეიტინგებთან დაკავშირებით, ნარჩემაშვილმა განაცხადა, რომ ისინი გაყალბებულია, ოპოზიციური პარტიები ხელოვნურად ლიდერობენ და რომ ეს ყველაფერი კეთდება არჩევნების შემდეგ ოპოზიციის მიერ დესტაბილიზაციისთვის ნიადაგი მოსამზადებლად. ანუ ხელისუფლებაც აქტიურად ეწევა პროპაგანდას, რომ გაყალბებული შედეგების ლეგიტიმაციას მიაღწიოს.**

**დათო ზურაბიშვილი:** სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ ვკითხულობდი "მართალ გაზეთში" გამოქვეყნებულ რეიტინგებს, რომელიც "აბრეშუმის გზის" ანალიტიკურმა ჯგუფმა ჩაატარა. ბუნებრივია, კაკო ჩხაიძე ერთპიროვნულად ლიდერობდა, ხოლო რჩეულიშვილი პოპულარობით ბურჯანაძეს და სააკაშვილს უსწრებდა. ეს მართლა სასაცილოა.

ის გამოკითხვები, რომელსაც სხვადასხვა ორგანიზაციები ატარებენ, შესაძლოა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს განსხვავება ძალიან მცირეა. ანუ დღეს პოლიტიკური რეალობის მეტ-ნაკლებად ობიექტური სურათი არსებობს.

**დათო უსუფაშვილი**: სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები დესტაბილიზაციას უწოდებენ იმას, რასაც პირადად თვითონ აღიქვამენ დესტაბილიზაციად. მათი აზროვნების ძირითადი ლოგიკური შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მათთვის დესტაბილიზაცია საკუთარი ძალაუფლების დაკარგვას ნიშნავს. დესტაბილიზაცია მათთვის ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი გამგებლები, მინისტრები თუ პრეზიდენტი ხვალ თავიანთ თანამდებობას დაკარგავენ და ხელისუფლებაში აღარ იქნებიან.

ეს ამ ჩინოვნიკების კომუნისტური მენტალიტეტის ბრალია. ისინი სახელმწიფოს, სახელმწიფო ინსტიტუტებს და ხელისუფლებას ერთმანეთთან აიგივებენ და ისე საუბრობენ ოპოზიციაზე, როგორც სტალინი ისაუბრებდა ტროცკისტებზე.

მაგრამ, დესტაბილიზაციად ნამდვილად ვერ ჩაითვლება ის კანონზომიერი მოვლენა, რომ უუნარო ხელისუფლება, რომელსაც ხალხის ნდობა არ აქვს, არჩევნების შედეგად ძალაუფლებას კარგავს.

ხელისუფლება ძალიან ხშირად აპელირებს იმით, რომ ოპოზიცია ცუდია. ესეც ძალიან დიდი შეცდომაა მათი მხრიდან.

ოპოზიციისთვის საკმარისია იმის მტკიცება, რომ ხელისუფლება სუსტია, ხალხის ნდობა არ აქვს და ამიტომ, ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს. ანუ ოპოზიციისთვის ეს კარგი არგუმენტია, რათა ამომრჩეველს მოუწონდოს, რომ ამ ხელისუფლებას ხმა არ მისცეს.

ნებისმიერი ხელისუფლების მხრიდან (იქნება ეს შევარდნაძის ხელისუფლება თუ სხვა) არ არის საკმარისი იმის მტკიცება, რომ ოპოზიცია ცუდია, მას არაფერი არ შეუძლია და ასე შემდეგ. პირიქით, ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის თვითონ არის კარგი. მას უკვე ჰქონდა ძალაუფლება და შანსი, რომ ეს ძალაუფლება გამოეყენებინა და თუ ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, მაშინ ლოგიკურია, რომ წავიდეს.

ზოგადად, დემოკრატია გულისხმობს იმას, რომ ყოველი უუნარო და ნდობადაკარგული ხელისუფლება შეიცვალოს. ამის შემდეგ შეიძლება ისევ უუნარო ხელისუფლება მოვიდეს, მაგრამ მერე ისიც უნდა წავიდეს და ეს პროცესი მანამ უნდა გაგრძელდეს, სანამ ძლიერი და ხელისუფლებაში ხალხის ნდობით აღჭურვილი ძალა არ მოვა.

ამ სიტუაციაში მე პირადად მაშფოთებს ის, რომ დღეს ყველა რესურსი - სახელმწიფო ინსტიტუტები, ადმინისტრაციული ბერკეტები - პოლიტიკურ ბრძოლაშია ჩართული.

სახელმწიფო უნდა იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური ბრძოლის კანონიერების ფარგლებში წარმართვას. მაგალითად, თუ ვინმე შეიჭრა შენობაში და დაარბია, ის ამისთვის უნდა დაისაჯოს, მაგრამ სახელმწიფო ინსტიტუტები ასევე უნდა ზრუნავდნენ, რომ ისინიც დაისაჯონ, ვინც რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს ამომრჩეველთან შეხვედრაში ხელს შეუშლის.

ამისთვის არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტები და არა იმისთვის, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში რომელიმე მხარე დაიკავოს.

ამ აზრით, ჩვენ დღეს შეგვიძლია ვილაპარაკოთ უკიდურესად პოლიტიზებულ სახელმწიფოზე, რომელშიც სახელმწიფო სტრუქტურები მმართველი პარტიის მიერ არის პრივატიზებული და გამოყენებული.

ასეთ სიტუაციაში, ხელისუფლება მართლაც შეეცდება ყველაფერზე წავიდეს.

ეს კი მოვლენების ძალიან ცუდი სცენარით განვითარების საშიშროებას ქმნის.

კარგად აწყობილ ავტორიტარულ სახელმწიფოში, შესაძლოა, ოპოზიცია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდეს და მსოფლიოში ასეთი მაგალითი ბევრია, მაგრამ სახელმწიფო მაინც განაგრძობს ფუნქციონირებას. ადამიანებს კი რჩებათ იმის იმედი, რომ მომავალში მაინც რაღაც შეიცვლება.

ხოლო როდესაც ხელისუფლება უკიდურესად სუსტია და საჭირო რესურსებიც კი არ გააჩნია, მაშინ მართლაც ძალიან საშიში დესტაბილიზაციის საფრთხე იქმნება. ასეთ დროს მივდივართ ისეთ ვითარებამდე, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურების სრული პარალიზება ხდება ამ სტრუქტურების არადანიშნულებისამებრ გამოყენების გამო.

**გია ნოდია**: აზერბაიჯანში განვითარებულ მოვლენებზე ხელისუფლების რეაქცია და განცხადება, რომ ის არ დაუშვებს დესტაბილიზაციას, არანაირ კავშირში არ არის ხელისუფლების მზაობასთან, შეასრულოს ეს მუქარა. თუმცა, ამ გამოთქმაში მუქარის ელემენტიც კი მცირეა.

ეს, დაახლოებით, ყარყარაშვილის განცხადებებს ჰგავს: ხვალ გუდაუთას ავიღებთ, თუ აფხაზები ჩვენს პირობებს არ შეასრულებენო, რაზეც აფხაზები იცინოდნენ.

მე მაინც ვფიქრობ, რომ ასეთი ტიპის გამონათქვამების ფუნქცია მაინც სახელისუფლებო ბანაკის მობილიზებაა, რადგან ამ ბანაკის დემორალიზება აშკარად შეიმჩნევა. ძალიან ბევრს გაუჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა ხელისუფლება ოპოზიციასთან ბრძოლაში დამარცხდეს და ასე შემდეგ.

აზერბაიჯანის ვითარება პრინციპულად განსხვავდება აქ არსებული სიტუაციისგან და, თუნდაც, აჭარაში არსებული სიტუაციისგან. იმიტომ, რომ აზერბაიჯანში ოპოზიცია სუსტი და დათრგუნული იყო. რაც მან მოიმოქმედა - ეს იყო სასოწარკვეთის აქცია და, გარკვეულწილად, მან მართლა მისცა ხელისუფლებას რეპრესიების გატარების საფუძველი. ჩვენ ვხედავდით, რომ ოპოზიცია ისეთივე შეუბრალებელი იყო პოლიციელის მიმართ, როგორც შემდეგ პოლიციელები მათ მიმართ. რა თქმა უნდა, საქმის აქამდე მიყვანა ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. მეორე მხრივ, ოპოზიციამ თავისი სისუსტით განაპირობა ის, რომ მის წინააღმდეგ გატარებულ რეპრესიებს თვითონვე მისცა გამართლება.

არა მგონია, ასეთი საფუძველი მიეცა ოპოზიციას აჭარის ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. გარდა ამისა, ჩვენს შემთხვევაში სრული ავტორიტარული ანკლავები ნახევრად ავტორიტარულ სისტემაში, როგორებიც არის ქვემო ქართლი და აჭარა, პრინციპულად სხვა ფენომენია, რადგან ის მაინც ანკლავია, ხოლო ოპოზიციური ჯგუფები, სულაც არ არიან სასოწარკვეთილი, პირიქით, მეტ-ნაკლებად მობილიზებულ და ორგანიზებულ ძალას წარმოადგენენ. სააკაშვილმა და "ნაციონალურმა მოძრაობამ" თავის თავზე ყინულმჭრელის ფუნქცია აიღო ლოზუნგით - ჩვენ იქ შევალთ, სადაც ვერავინ შედის. ეს გამიზნული და გათვლილი ნაბიჯი იყო. ასეთი შეტაკებები ამ ტიპის ანკლავებისთვის არის დამახასიათებელი და იგივე ტიპის შეტაკება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის სხვაგან არსად მომხდარა, რადგან ერთია ხელისუფლების რესურსები ავტორიტარულ ანკლავებში - ქვემო ქართლში, აჭარასა და, ნაწილობრივ, ჯავახეთში - და სულ სხვაა დანარჩენ საქართველოში. ძალთა ბალანსიც სხვადასხვაა.

აქ ოპოზიციისა და ხელისუფლების დაპირისპირების ძალისმიერ რეგისტრში გადაყვანა ძალიან გაძნელდება, რადგან თუ, ერთი მხრივ, გვყავს სააკაშვილი, რომელსაც ხელისუფლებამ უკვე შეუქმნა "ამრევის" იმიჯი, მეორე მხრივ, გვყავს "ბურჯანაძე-დემოკრატები", "ახალი მემარჯვენეები", რომლებიც, ძალიან ძნელია, მოსახლეობის თვალში დესტაბილიზატორებად და ამრევებად წარმოაჩინო.

ასე რომ, ხელისუფლებას მრავალმხრივი მოწინააღმდეგე ჰყავს და ძალისმიერი ნაბიჯების გასამართლებლად სამართლებრივი საფუძვლის გამოძებნა ძალიან გაუჭირდება. ის, რაც მოხდა ბოლნისსა და ბათუმში, ადგილობრივი რეჟიმების ლოგიკაში ჯდება. მაგრამ დანარჩენ საქართველოში რეჟიმის ბუნება ძალიან განსხვავდება და ამიტომ, თუ ხელისუფლება ასეთივე ნაბიჯებზე წავა, ეს მისთვის ძალიან საშიში იქნება.

**- რამენად აქტიურია სამოქალაქო საზოგადოება და რამდენად შექმნა მან იმის გარანტიები, რომ ხელისუფლების მცდელობა, გააყალბოს არჩევნები, მარცხით დამთავრდება?**

**დათო უსუფაშვილი:** ამ თვალსაზრისით, ნამდვილად გვაქვს რაღაც პროგრესი. ამომრჩეველთა აქტიურობის ხარისხი გაიზარდა და გაჩნდა შეგრძნება, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ დიდი როლი აკისრიათ.

გარდა ამისა, მოხდა პოლიტიკური ძალების დივერსიფიკაცია და მათი გარკვეული სახით ჩამოყალიბება. ეს მოქალაქეთა განსხვავებულ ჯგუფებს აძლევს იმის საშუალებას, რომ აირჩიონ ის, ვინც მათ გემოვნებასთან უფრო ახლოს დგას, რაც, თავისთავად, პოზიტიური მოვლენაა. გარდა ამისა, ამ საარჩევნო კამპანიის დროს კარგად გამოჩნდა, რომ პოლიტიკური პარტიები მართლაც ამომრჩეველთა გულისმოგებას ცდილობენ და სხვა რაღაცეების იმედი ნაკლებად აქვთ. ანუ მართლაც იკვეთება, რომ რაღაც ძაფები ამომრჩეველსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის იბმება.

მედიას და არასამთავრობო სექტორს, რომლებიც ამ პროცესის დამკვირვებლები არიან, უფრო მეტი გამოცდილება დაუგროვდათ. გარდა ამისა, საერთაშორისო ინტერესი ამ არჩევნების მიმართ ძალიან დიდია, რაც უცხოელი დამკვირვებლის სიმრავლეშიც გამოიხატება. ანუ ამ ეტაპზე ბევრი რამ იძლევა იმის საფუძველს, რომ არჩევნებმა მეტ-ნაკლებად დემოკრატიულად ჩაიაროს. მაგრამ ამ ყველაფერს ხელს უშლის ის ფაქტორი, რომ ხელისუფლება ვერ იაზრებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას ეკისრება. ანუ, რამდენად ეფექტურად იქნება ეს პოზიტიური ფაქტორები გამოყენებული არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად, დამოკიდებული იქნება იმაზეც, თუ რამდენად მოთოკავს ხელისუფლება თავის ამბიციებს.

რაც შეეხება გაყალბებას, მართალია, ამ საარჩევნო კოდექსს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ის მაინც სათანადოდ დაიხვეწა და მასში ბევრი ჩამკეტი მექანიზმია ჩადებული, რაც არ იძლევა იმის საშულებას, რომ გაყალბების ის ტექნოლოგიები იქნას გამოყენებული, რომელიც აქამდე კარგად მუშაობდა.

**არჩილ გეგეშიძე**: იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელზეც აქ უკვე ისაუბრეს, ვფიქრობ, რომ ორივე მხარე ერთნაირ რესურსს ფლობს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა დროა დარჩენილი არჩევნებამდე, პროცესები იმდენად დინამიურად ვითარდება, შეიძლება, კიდევ ბევრი რამ შეიცვალოს. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორ შეაფასებენ აჭარაში მომხდარ ფაქტს სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური პარტიები. ამან შეიძლება ეს ბალანსი შეცვალოს. თუ ოპტიმისტები ვიქნებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბალანსი შეიცვლება დემოკრატიის სასარგებლოდ.

ისევ დავუბრუნდებოდი საარჩევნო სიების თემას. ეს ის საკითხია, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ამ ბალანსის ჩამოყალიბებაში. თუკი ჩაითვალა, რომ ვერ მოესწრო ამ სიების გაკეთილშობილება, მაშინ ყველას ექნება არგუმენტი იმისათვის, რომ არჩევნები სამართლიანად არ მიიჩნიოს და მასობრივი პროტესტის მოწყობას შეეცადოს. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ისმის კითხვა - რა შეიძლება ამას მოჰყვეს?

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება ხალხის პოზიცია - რამდენად აღმოჩნდება ხალხი მზად იმისათვის, რომ მასობრივი პროტესტი გამოხატოს. აზერბაიჯანში, მაგალითად, ხალხის პოზიციამ, არ გამოეხატა სოლიდარობა ოპოზიციისთვის, ბევრი რამ გადაწყვიტა.

რამდენად იქნება ხალხი ფსიქოლოგიურად და მორალურად მზად საქართველოში, მიმართოს პროტესტის მასობრივ ფორმებს და ეს ყველაფერი გადაიზრდება თუ არა ძალადობაში - ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძალიან ჭირს.

მე ვფიქრობ, რომ წინაპირობები ძალადობრივი და არაძალადობრივი სცენარისთვის თანაბარია.

**დათო ზურაბიშვილი**: ამ შემთხვევაში მე უფრო ოპტიმისტად ვრჩები და ხელისუფლების იმედი მაქვს. ამდენი ხანია, ამ ხელისუფლებას ვუყურებ და ჯერ არ მინახავს, რომ თავი რაიმესთვის კარგად მოებას. დარწმუნებული ვარ, რომ გაყალბებასაც ვერ მოაბამენ თავს. მაგალითად, როგორც ამბობენ, რუსეთიდან ხმების ჩამოტანა ვიტალი ხაზარაძეს აქვს დავალებული და არა მგონია, რომ მან ამ მისიის კარგად შესრულება შეძლოს.

გარდა ამისა, გაყალბების ტექნოლოგიებს ოპოზიცია ძალიან კარგად ფლობს, ამიტომ კონტროლი მათი მხრიდან გაცილებით მეტი იქნება. გასათვალისწინებელია იგივე მედიის და არასამთავრობო სექტორის როლი. მე არ მინდა, გადაჭარბებით შევაფასო მათი გავლენა, მაგრამ იგივე აზერბაიჯანთან შედარებით, სამოქალაქო სექტორი საქართველოში გაცილებით უფო ძლიერი და გავლენიანია.

ამას ემატება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გამოვლენილი დიდი ინტერესი, რაც კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორია.

ასე რომ, ვინარჩუნებ ოპტიმიზმს, ეს არჩევნები პოლიტიკური რეალობის მეტ-ნაკლებად ადეკვატურ სურათს მოგვცემს.

არ ვიცი, თავად რამდენად აცნობიერებს ამას, მაგრამ აშკარაა, რომ დღეს ხელისუფლებას ორი არჩევანი აქვს – ან წყნარად წავიდეს ან ცუდად. ანუ ან ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები, რომლის შემთხვევაშიც შეუძლებელია, რომ პარლამენტში უმრავლესობით მოვიდეს, ან მიმართოს ყველა დაუშვებელ მეთოდს და ხალხის პროტესტი გამოიწვიოს, რაც მისთვის ცუდად დამთავრდება.

როდესაც 5 ათასი სტუდენტის გამოსვლამ ვატიკანთან ხელშეკრულება ჩაშალა, ხოლო ორი წლის წინ 30 ათასი ადამიანის გამოსვლამ სრული პანიკა გამოიწვია - უკვე ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ხელისუფლებას სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ აქვს; შესაბამისად, არც დიდი არჩევანი აქვს.

**- მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, სტაბილურობის შენარჩუნება ყველას ინტერესში შედის. რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ხელისუფლებას გაყალბების საშუალება არ მივცეთ და ჩვენი უფლებები დავიცვათ, ამასთანავე ხელი შევუშალოთ იმას, რომ პროცესები უმართავი გახდეს. ამ შემთხვევაში, რა პასუხისმგებლობა აქვს ოპოზიციას?**

**გია ნოდია**: მე მგონი, იმედის მომცემი ერთ-ერთი პოზიტიური მხარე არის ის, რომ ხელისუფლებისთვის ეს არჩევნები ვატერლოო არ არის. ვატერლოო 2005 წელს იქნება. ეს არჩევნები მაინც მოსამზადებელ ეტაპად არის გააზრებული, რაც მის სიმწვავის ხარისხს ამცირებს.

რაც შეეხება ოპოზიციის პასუხისმგებლობას, მთავარია, რომ მან თავისი მომხრეები კონსტიტუციური მოქმედების ჩარჩოებში დატოვოს და თვითონაც ამ ჩარჩოებში დარჩეს.

ხელისუფლების სტრატეგიის ნაწილი ოპოზიციის პროვოცირებაა, რომ ის სამართლებრივი მოქმედების ჩარჩოებს გასცდეს. ეს ოპოზიციის დისკრედიტებას გამოიწვევს როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბითაც, რადგან მოხდება მისი ასოცირება დესტაბილიზაციასთან. ანუ ხელისუფლება მიაღწევს იმას, რასაც დიდი ხანია, ცდილობს და რაზეც მთელი პიარი აქვს აგებული.

ამდენად, ოპოზიციის ინტერესში არ შედის, ხელისუფლებას ასეთი სტრატეგიის განხორციელებაში დაეხმაროს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან უარი თქვას სიმწვავეზე. არსებობს რაღაც კრიტიკული ზღვარი და თუ ხელისუფლება ამის იქით წავიდა, მაშინ ძალიან სამართლიანი იქნება, რომ ოპოზიციამ ხალხს პროტესტისაკენ მოუწოდოს. ასეთი ქცევის შემთხვევაშიც კი, ძალიან ხაზგასმული უნდა იყოს, რომ ყველა და ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოებში ჩაჯდეს.

თუ ეს ასე არ იქნება, ერთი მხრივ, ეს გამოიწვევს ოპოზიციის დისკრედიტაციას, მეორე მხრივ კი, ხელისუფლების ძალადობას გაამართლებს.

**არჩილ გეგეშიძე**: ოპოზიცია, თავისთავად, არ არის ერთგვაროვანი, არც თავისი მსოფლმხედველობით და არც პასუხისმგებლობის გრძნობით. ეს გასათვალისწინებელი ფაქტორია.

ასეთ დროს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას არ დაეხმაროს. თუკი ჩაითვლება, რომ არჩევნები მეტ-ნაკლები ობიექტურობით ჩატარდა, ყველა ღირსეულად უნდა შეხვდეს შედეგებს.

გარდა ამისა, როცა ხელისუფლებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ არც სახელისუფლებო ბლოკი არ არის ერთგვაროვანი. იქაც არის ლიბერალური და კონსერვატორული ფრთა. მე ვფიქრობ, რომ სახელისუფლებო ბლოკში შესაძლებელია იყოს აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, უნდა გააყალბოს თუ არა ხელისუფლებამ არჩევნები, გამოიყენოს თუ არა ადმინისტრაციული ბერკეტები გადამეტებულად და იხმაროს თუ არა ძალადობა ქუჩაში გამოსულ ხალხზე.

მე ვფიქრობ, რომ ასეთი აზრთა ჭიდილი იქაც მიმდინარეობს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იქაც მეტ-ნაკლებად საღი აზრი გაიმარჯვებს. თუკი, მეორე მხრივ, ოპოზიციას შესაბამისი პასუხისმგებლობის გრძნობა ექნება, დესტაბილიზაციისთვის ნაკლები შანსები რჩება.

**გია ნოდია:** ოპოზიციის ამ არაერთგვაროვნებაზე მინდა დავამატო რამდენიმე წინადადება. ოპოზიცია მართლაც არაერთგვაროვანია და ამიტომ ძირითადმა ოპოზიციურმა ძალებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ოპოზიციაში არიან ისეთი ჯგუფები, რომელთა ფუნქცია პროვოკაციის მოწყობაა. თუ არჩევნების შემდეგ საქმე არეულობამდე მივიდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისეთმა ძალებმა, რომელიც დღეს საერთოდ არ გვახსენდება, შეიძლება ძალიან ნეგატიური როლი ითამაშონ. ამიტომ ოპოზიციის ნებისმიერ გათვლაში და სტრატეგიის გამომუშავებაში ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

**დათო ზურაბიშვილი**: როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ოპოზიციაზე, ძირითადად, ე.წ. დემოკრატიულ ოპოზიციას ვგულისხმობთ: "ახალ მემარჯვენეებს", "ბურჯანაძე-დემოკრატებს" და "ნაციონალურ მოძრაობას". შესაბამისად, მათ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისინი თავისი პრინციპების ერთგულები დარჩნენ, მაგრამ, ამასთანავე, სამართლებრივ ჩარჩოებს არ გასცდნენ და სიტუაციის გაკონტროლება შეძლონ.

ბოლოს, იმის თქმა მინდა, რომ საქართველოში წინასაარჩევნო სიტუაცია, მთლიანობაში, სამუელ ბეკეტის ცნობილ პიესას, "გოდოს მოლოდინს" ჰგავს, სადაც ყველა გოდოს მოსვლას ელოდება, ის კი არა და არ მოდის. ჩვენც იგივე სიტუაციაში ვართ, ოღონდ, პირიქით - გოდოს წასვლას ველოდებით და ის არა და არ მიდის. მთელი ეს პერიოდი გოდოს წასვლის მოლოდინის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. ის ხალხი, რომელიც თავის თავს აიგივებს ამ სისტემასთან, რომლის მთავარი საყრდენი შევარდნაძის ფენომენია, ფიქრობენ, რომ მისი წასვლის შემდეგ ქვეყანა დაინგრევა. ეს არჩევნები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ყველა დარწმუნდეს - ეს ქვეყანა შევარდნაძით არც იწყება და არც მთავრდება.


გია ნოდია და არჩილ გეგეშიძე.


დავით უსუფაშვილი და დავით ზურაბიშვილი.

## ტურიზმის აღორძინება სიღნაღიდან და ლაგოდეხიდან იწყება

ნინო ნარჩემაშვილი

მიმდინარე წლის დასასრულამდე ხელი მოეწერება ტრანსკავკასიის ტურიზმის ინიციატივის საგრანტო ხელშეკრულებას მსოფლიო ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის. ეს იქნება ტურიზმის სფეროში ე.წ. საპილოტო პროექტი, რომელიც ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების შესწავლასა და მის ხელშეწყობას მოემსახურება. საქართველოში აღნიშნული ინიციატივის გამო მსოფლიო ბანკის მისია ჩამოვიდა. სახელმწიფო კანცელარიაში მისიის ხელმძღვანელი, მსოფლიო ბანკის კოორდინატორი მარინა ჯაბარზადე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილიას. აღსანიშნავია, რომ ტრანსკავკასიის ტურიზმის ინიციატივას საფუძველი ჯერ კიდევ 2001 წელს ჩაეყარა. თემურ ბასილიას განცხადებით, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობათა შესწავლისთვის შვეიცარიის განვითარების სააგენტომ მსოფლიო ბანკის ეგიდით გამოყო 75 ათასამდე აშშ დოლარი. საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა კი "ქვეყნის დახმარების სტრატეგიის" (CAS) მომზადების პროცესის გამო გაჭიანურდა, რომელიც ტურისტული საქმიანობის განვითარებისათვის დამატებით კიდევ სამი მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. მისივე თქმით, სავარაუდოდ, CAS-ი დამტკიცება 6 ნოემბერს, მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოზე მოხდება. თემურ ბასილიას ინფორმაციით, პროექტისათვის საქართველოს მასშტაბით შეირჩა სიღნაღი და ლაგოდეხი, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ამ რაიონებში უკვე მიმდინარეობს "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" და "დაცული ტერიტორიების განვითარების" პროექტები. მისივე თქმით, საწყის ეტაპზე პროექტი სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონების მუნიციპალიტეტებთან ტურისტული საინფორმაციო ცენტრების დაარსებას ითვალისწინებს, ხოლო სამუშაოების განსახორციელებლად თითოეული ქვეყანა გრანტის, ანუ საჩუქრის სახით 25 ათას აშშ დოლარს მიიღებს.

## ხოდორკოვსკის საქმემ "დანონისა" და "ვიმ-ბილ-დანის" გარიგება ჩაშალა

ადამ მჭედლიძე

რუსულმა ბიზნესმა "იუკოსის" სკანდალის პირველი მწარე ნაყოფი იგემა. საკვები პროდუქტების ფრანგულმა გიგანტმა "დანონმა" გაურკვეველი ვადით გადადო "ვიმ-ბილ-დანის" შესყიდვა. "ფაინანშალ თაიმსის" ცნობით, "დანონის" ხელმძღვანელობა უკიდურესად შეშფოთებულია რუსეთში არსებული არასტაბილური მდგომარეობით და, ჯერჯერობით, ძალიან ძნელია იმის თქმა, საერთოდ თუ განაახლებს იგი "ვიმ-ბინ-დანთან" მოლაპარაკებებს.

პირველი ცნობები იმის თაობაზე, რომ "დანონი" რუსული კომპანიის შესყიდვით დაინტერესდა (იგი უკვე აკონტროლებს "ვიმ-ბილ-დანის" 7,2 პროცენტს) ზაფხულში გაჩნდა. "ფაინენშალ თაიმსის" მიხედვით, იმ პერიოდიდან მოყოლებული მხარეები ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ და ოქტომბრის ბოლოს ხელშეკრულების გაფორმებაც იყო მოსალოდნელი. ამ ცნობების გაჩენის შემდეგ "ვიმ-ბილ-დანის" აქციებმა ნიუ-იორკის სავაჭრო ბირჟაზე (სადაც იგი კვოტირებულია კიდევ რამდენიმე რუსულ კომპანიასთან ერთად) მნიშვნელოვნად აიწია, მაგრამ "იუკოსის" შეფის დაპატიმრებამ ყველაფერს ხაზი გადაუსვა.

"ვიმ-ბილ-დანი" (რომელსაც საქართველოდან წასული ბიზნესმენი იაკობაშვილი ხელმძღვანელობს) რუსეთში ნატურალური წვენებისა და რძის პროდუქტების უმსხვილესი მწარმოებელია. მისი პროდუქტები (მაგალითად - წვენები "ჯეი7"-ის მარკით) საქართველოშიც უხვად გვხვდება. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კომპანიის გაყიდვებმა 473 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც რუსეთისათვის ურიგო მაჩვენებელი არაა. "დანონს" "ვიმ-ბილ-დანი" 900 მილიონი დოლარი უჯდებოდა.

ფრანგული კომპანია პირველი (და, ალბათ, არც უკანასკნელი) არაა, ვინც ხოდორკოვსკის სკანდალის გამო რუსულ ბაზარზე შესვლა გადაიფიქრა. ბუნებრივია, რომ უკვე ჩაიშალა "იუკოსის" გარიგებები "ექსონმობილთან" და "შევრონტექსაკოსთან."

ყოველივე ამას ერთი შედეგი ექნება: რუსეთი არა თუ დაკარგავს უცხოურ კაპიტალს, არამედ მისი კაპიტალი საზღვარგარეთ "ამოყოფს თავს". ამის მაგალითი უკვე არსებობს რომან აბრამოვიჩის სახით, რომელმაც "იუკოსისათვის" "სიბნეფტის" მიყიდვით აღებული 4 მილიარდი დოლარისა და "რაშენ ალუმინიუმში" გაყიდული წილის სანაცვლოდ მიღებული თანხის დიდი ნაწილი ბრიტანეთში დააბანდა. მან ლონდონში დააარსა კომპანია "მილჰაუზი," რომელიც მის ქონებას განაგებს და, რაც ყველასათვის ცნობილია, შეისყიდა საფეხბურთო კლუბი "ჩელსი."

მოსკოვში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, კრისტოფ რიულის შეფასებით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში რუსეთში მოზიდულმა კაპიტალმა 2,3 მილიარდი დოლარი შეადგინა, მესამე კვარტალში კი ქვეყნიდან 9,8 მილიარდის გადინება მოხდა.

## მოკლედ

### "ენრონის" საქმე გრძელდება

გაკოტრებული კომპანიის "ენრონის" ერთ-ერთმა ხემძღვანელმა დევიდ დილეინმა ჰიუსტონში სასამართლო პროცესზე აღიარა, რომ ის კომპანიის ფინანსურ მაქინაციებში იყო გარეული. განსასჯელი კომპანიის ერთ-ერთი განყოფილების "ენრონ ნორდ ამერიკას" დირექტორი იყო. სამართალდამცავების ვარაუდით, დილენმა ისარგებლა იმით, რომ კომპანიის 2000-2001 წლის ყოველწლიური ფინანსური ანგარიში გაყალბებული იყო და საკუთარი აქციები მომგებიან ფასად გაყიდა. მაშინ დევიდმა ოთხ მილიონზე მეტი დოლარი მოიგო. განსასჯელს ამ თანხის უკან დაბრუნება და დამატებით სამი მილიონ შვიდასი ათასი დოლარის ჯარიმის გადახდა მოუწევს. მეტიც: შესაძლოა, დილეინს სასამართლომ ათი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯოს.

### 11 სექტემბრის ტერაქტის გამოძახილი იტალიაში

ცნობილმა იტალიურმა ავიაგადაზიდვების კომპანიამ Alitalia-მ წლევანდელი წელი ოთხას მილიონზე მეტი ევროს ზარალით დაამთავრა. გასული წლის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 118 მილიონი ევრო იყო. შედეგად, კომპანია რესტრუქტურიზაციასა და თანამშრომელთა საშტატო ადგილების შემცირებას აპირებს და ახალი ინვესტიციების მოზიდვის ყველა შესაძლო გზას განიხილავს. კომპანიაში ზარალის ასეთი სწრაფი ზრდის მიზეზად 11 სექტემბრის ტერაქტს ასახელებენ. მათი განმარტებით, 11 სექტემბრის შემდეგ ბიზნეს-ტურისტების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, რაც კომპანიას თანამშრომელთა რაოდენობის 1500-ით შემცირებას აიძულებს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ იტალიური კომპანია შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსებას მხოლოდ 2005 წლისთვის შეძლებს.

### რუს ფინანსისტებს "დოიჩებანკი" იყიდის

გერმანული მედიის ცნობით, გერმანიის უმსხვილესი ბანკი "Deutsche Bank" მომავალ კვირას ხელს მოაწერს ერთ-ერთი რუსული კომპანიის, "გაერთიანებული ფინანსისტების ჯგუფის" აქციათა 40 პროცენტის შესყიდვის შესახებ თანხმობას. ხსენებული კომპანია რუსეთში ინვესტიციების რაოდენობის მიხედვით მეოთხე ადგილზეა. გასულ წელს კომპანიის სუფთა მოგებამ 11 მილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. "რუსული კომპანიის გერმანელ მყიდველს არ აშინებს "იუკოსის" გარშემო ატეხილი სკანდალი, რაც გარიგების სარფიანობას ამტკიცებს," - მიუთითებს გერმანული მედია.

### "გუგლი" "მაიკროსოფტთან" დამეგობრდება

ცნობილმა ამერიკულმა კოპანიამ "გუგლ"-მა, რომელიც ინტერნეტში ერთ-ერთ უმსხვილეს საძიებო სისტემას ფლობს, შესაძლოა კომპიუტერულ გიგანტ "მაიკროსოფტთან" ითანამშრომლოს. მოლაპარაკებები შესაძლო თანამშრომლობის შესახებ უკანასკნელი ორი თვეა აქტიურად მიმდინარეობს. გასულ კვირას კომპანიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ შესაძლოა მომავალი წლის პირველ ნახევარში მან საკუთარი აქციების 10-15 პროცენტი ბაზარზე გასაყიდად გაიტანოს.

### რუსულ-ამერიკული შაქარი

ამერიკულმა კორპორაცია Cargill-მა რუსეთის ერთ-ერთ შაქრის ქარხანაში საკუთარი დელეგაცია მიავლინა. რუსეთის ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამერიკულ კომპანიასთან გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემდეგ, შაქრის მსოფლიო ბაზარზე შესაძლოა ახალი ტექნოლოგიები გამოჩნდეს. Cargill-ის მოგებამ, რომელიც ინვესტიციებს, ძირითადად, სოფლის მეურნეობის სექტორში აბანდებს, წელს მილიარდზე მეტი დოლარი შეადგინა. მას რუსეთში 1991-2003 წლებში 150 მილიონი დოლარის ინვესტიცია აქვს განხორციელებული. რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, Cargill წელს დამატებით კიდევ 200 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას აპირებს. ამ ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი შაქრის ქარხნების შესყიდვას მოხმარდება.

## ტყუილი - ერთადერთი სააგიტაციო ტექნოლოგია

მაია ურუშაძე

პოლიტიკური პლაკატებით აჭრელებული საქართველო არჩევნების მოლოდინშია. ხელისუფლებას უცებ გაახსენდა გაღატაკებული ხალხი, გაუცემელი პენსიები და წყვდიადით მოცული საქართველო, მაგრამ არც ერთი პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ გადაჭრის თავი აღარ აქვს. ამიტომ, ხელისუფლება ხალხს ტყუილებით კვებავს.

წინასაარჩევნოდ სახელმწიფო მინისტრი იმ დივიდენდებზე საუბრობს, რაც რუსეთთან ენერგეტიკული პროექტების განხორციელებამ საქართველოს უნდა მოუტანოს.

"სატრანზიტო ფუნქცია ქვეყნისა, გარკვეულწილად, უკავშირდება საკმაოდ სერიოზული, ახალი ელექტროენერგეტიკული პროექტების განხორციელებას. საბოლოო ჯამში, მე ვფიქრობ, რომ თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო საკმაოდ სერიოზულად დაუკავშირდებიან ერთმანეთს, რაც გარანტიას მოგვცემს ენერგეტიკულ მდგრადობასთან დაკავშირებით და საშუალებას მოგვცემს, ქვეყანამ ტრანზიტიდან საკმაოდ სერიოზული შემოსავალი მიიღოს," – აი, ასეთ კომენტარს აკეთებს ავთანდილ ჯორბენაძე წინასაარჩევნოდ. ეს მაშინ, როცა ყველასათვის კარგად არის ნათელი – "რაო ეეს როსიის" ქართულ ბაზარზე უპირობო შემოყვანამ სწორედ ეს, დენის ტრანზიტიდან შემოსავლების მიღების შესაძლებლობა დააკარგვინა საქართველოს.

მეტიც: მთავრობამ სვლები ვერ გათვალა. მალე რუსული ენერგოგიგანტი კიდევ უფრო ოდიოზური და საშიში გახდება, ვიდრე გუშინ იყო. "რაოს" თავკაცს "იუკოსის" პრეზიდენტის ბედს უწინასწარმეტყველებენ. "რაოს" ფილიალებში ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ უკვე დაიწყო "შავი ლაქების" ძებნა. "პუტინი მაღლა აწეულ თავებს ამოკლებსო," – ამბობენ რუსეთში.


მაია ურუშაძის ფოტო

მთავრობამ სვლები ვერ გათვალა.

თუმცა, წინასაარჩევნოდ ჩვენი მთავრობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა ხდება მსოფლიოში. მთავრობისთვის არც ისაა მნიშვნელოვანი, რა მოხდება ხვალ. მთავარია – გარიგება შედგა და ყველამ თავისი მოგება უკვე ნახა. ვინ – რუბლები, ვინ - სავარძელი.

გაუთავებელი ტყუილებით თავმობეზრებულ ხალხს კი უკვე აღარაფერი უკვირს. არც ის, რომ მთავრობა საქართველოს გაყიდვისთვის მადლობას ითხოვს; არც ის, რომ ქვეყნის პრეზიდენტს ჩაბნელებულ ქვეყანაში ენერგოკრიზისი დაძლეული ჰგონია.

## ხელისუფლების ჭიბეში გამომწყვდეული ბიზნესი

პირველი გვერდიდან

ოპოზიციაში ჩადგომისა და დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის მცდელობა, ჯერ კიდევ გასული არჩევნების წინ, ქართული ლუდის მაგნატს გოგი თოფაძეს ჰქონდა. თუმცა, თოფაძის "გაოპოზიციონერების" კვალდაკვალ აშკარად გახშირდა საგადასახადო სამსახურების სტუმრობების ფაქტები მის საწარმოში, შესაბამისად - საგადასახადო დავები და ამ დავების შედეგად გაჩენილი დავალიანების ოდენობაც, დაახლოებით, 8 მილიონამდე გაიზარდა. შედეგად, მაშინ, როცა თოფაძის პოლიტიკური რეიტინგი ალმასვლით გამოირჩეოდა, ანუ მაშინ, როცა იგი გარკვეულ პოლიტიკურ საფრთხედ იქცა ხელისუფლებისთვის, საქართველოს პრეზიდენტმა საკმაოდ ღია მუქარა გაახმოვანა, შეახსენა რა თოფაძეს მისი დავალიანება. ეს საკმარისი გახლდათ "მრეწველთა" ლიდერისთვის, რომ შედარებითი "რადიკალიზმი" და პოლიტიკური ამბიციები დაეცხრო, მოგვიანებით კი ხელისუფლების ფაქტობრივ საპარლამენტო მოკავშირედ ქცეულიყო (გაიხსენეთ თანამშრომლობა ბიუჯეტის, საარჩევნო კოდექსის და ბევრი სხვა საკითხის დამტკიცების პერიოდში). თუმცა, როგორც საკმაოდ სანდო წყაროები ირწმუნებიან, გოგი თოფაძეს, რომელსაც დღეს უკვე პოლიტიკური რეიტინგის შედარებითი სიმცირის გამო, დამოუკიდებელი წინასაარჩევნო თამაშის რესურსები შეზღუდული აქვს, გასულ ზაფხულს ოპოზიციური მიმართულებით გადანაცვლების კიდევ ერთი მცდელობა ჰქონდა: საუბარია "ახლებისა" და "მრეწველების" გაერთიანების იმდროინდელ პერსპექტივაზე, რომელიც აგვისტოში გახმოვანდა. სხვათა შორის, ამბობენ, რომ მაშინ ეს გაერთიანება თოფაძის კანცელარიაში ვიზიტის და მისთვის გაკეთებული სახელისუფლებო გაფრთხილების შედეგად ჩაიშალა. ამ გაერთიანების ჩაშლიდან სულ რამდენიმე დღეში კი საქართველოს პრეზიდენტი ბაკურიანში სასტუმროთა კომპლექსის მშენებლობის დაწყების ცერემონიალს დაესწრო და თოფაძის და მისი პარტნიორების ბიზნეს-პროექტი წინასაარჩევნო ქულად ჩაითვალა, რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავდა, რომ თოფაძეს ამ პროექტის განხორციელებისას პრობლემები აღარ შეექმნება.

ამ კონტექსტში საინტერესო გახლავთ ასევე "ახალი მემარჯვენეების" ისტორია. ეს პოლიტიკური გაერთიანება, ძირითადად, სწორედ ბიზნესის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ სერიოზული პრობლემები შეექმნა "ალდაგს", რომელიც ამ პარტიის ლიდერის დავით გამყრელიძის სახელთან ასოცირდებოდა. მიუხედავად ამისა, "ახალი მემარჯვენეები" თითქმის ერთადერთი პოლიტიკური პარტიაა, ვისი მხარდაჭერაც ქართული ბიზნესის წარმომადგენლებმა, მაგალითად, ანტონ ინგოროყვამ და სხვებმა უკვე ბოლო დღეებში წარმოდგენილი ფინანსური დეკლარაციების მიხედვითაც დააფიქსირეს. სხვა პარტიებში ალაგ-ალაგ ბიზნესმენთა გვარების გამოჩენის მიუხედავად, ოპოზიციური პარტიების დაფინანსების შესახებ განცხადების ღიად გაკეთება თითქმის ვერც ერთმა სერიოზულმა ბიზნესმენმა ვერ გაბედა.

მაგალითად, თემურ ჭყონია, მართალია, გამოჩნდა "გაერთიანებული დემოკრატების" გარემოცვაში, მაგრამ "გაერთიანებული დემოკრატების" ოფიციალურ ფინანსურ წყაროებს შორის მისი შემოწირულობა მოხსენიებული არ არის, ისევე, როგორც პატარკაციშვილის გვარი არ გვხვდება "ახლების" ან სხვა პარტიის შემომწირველთა შორის. თავად "ლეიბორისტი" ფრიდონ ინჯიაც კი, ყოველ შემთხვევაში - ფინანსური დეკლარაციების თანახმად, "არ აფინანსებს" "ლეიბორისტებს". "ნაციონალებს" დაფინანსების წყაროებს შორის დეკლარაციაში, ძირითადად, მხოლოდ საკუთარ აქტივისტთა იურიდიული ფირმები ჰყავთ მოხსენიებული, დანარჩენი თანხა კი, "გაერთიანებული დემოკრატების" მსგავსად, კერძო მცირე შენატანების სახით აქვთ გაწერილი.

საერთოდ, ქართული ბიზნესისა და ქართული ხელისუფლების ურთიერთობაზე საუბრისას, განსაკუთრებით აღსანიშნავი გახლავთ გასული გაზაფხულის მოვლენები, როცა ქართველ ბიზნესმენთა ნაწილმა პოლიტიკური თამაშის წამოწყება სცადა და საქართველოს პრეზიდენტს წერილით მიმართა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ქართველ ბიზნესმენთა მიმართვა, რომელიც გადასახადის გადამხდელთა კავშირში გახმოვანდა, საკმაოდ მწვავე იყო, ხელისუფლების რეაქციაც - შესაბამისი: შევარდნაძე კი ისე დაემუქრა ბიზნესმენებს, რომ პოლიტიკური განცხადებების გაკეთების ხალისი აშკარად დაუკარგა. **"პარლამენტი და მთავრობა იმუნიტეტის მეშვეობით არ უნდა გახდეს ოლიგარქიულ დაჯგუფებათა თავშესაფარი და იმ ხალხის უშიშროების უზრუნველმყოფი, რომლებმაც უკანონო გზით დიდძალი ქონება მოიპოვეს..."** –რადიოინტერვიუში განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, უკვე ბრიფინგზე კი ბიზნესმენებს ურჩია, **"სინდისის კარნახით ემოქმედათ".**

საინტერესო დეტალია, რომ "უკანონოდ დაგროვებული ქონების" თემა საქართველოს პრეზიდენტმა მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ მომენტში, სულ ცოტა ხნით, კონკრეტული მიზნის მისაღწევად გაიხსენა და ამ მიზნის მიღწევისთანავე დაივიწყა. ამ თემის გახსენებას ნამდვილად არ ჩაუვლია უკვალოდ.

პრეზიდენტის ეს მუქარა და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული თანმდევი კომენტარები საკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა არა მხოლოდ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ბიზნესმენების უმრავლესობის "სინდისის გამოსაღვიძებლად", არამედ ბადრი პატარკაციშვილის სახელისუფლებო ბლოკისკენ მისატრიალებლად. რეალურად ხომ, ცალკე აღებულს, მხოლოდ ბადრი პატარკაციშვილს გააჩნდა ის ფული, რომელსაც არჩევნების საბოლოო შედეგზე შეეძლო ზეგავლენის მოხდენა. პრეზიდენტის მუქარის მაპროვოცირებელი სწორედ პატარკაციშვილის კომენტარი გახლდათ იმის თაობაზე, რომ იგი მხარს "გაერთიანებულ დემოკრატებსა" და "ახალ მემარჯვენეებს" უჭერს.

იმ დღიდან სახელმწიფო კანცელარიაში ქართული ბიზნესის თითქმის ყველა სერიოზული წარმომადგენელი დაიბარეს და ყველას - პატარკაციშვილით დაწყებული, ნიკო ლეკიშვილით დამთავრებული - აუხსნეს, რომ ოპოზიციური მისწრაფებები მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის მავნე იყო. შედეგად, ფაქტობრივად ერთადერთი, ვინც ედუარდ შევარდნაძეს სახელისუფლებო ბლოკის სახელით კენჭისყრაზე უარი უთხრა, ვანო ჩხარტიშვილი გახლდათ, რაც იმავე "ახლებისადმი" გამოხატული სიმპათიის ნიშანიც იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილი თითქმის ჩამოაცილეს "ახლებს" და თოფაძესთან გაერთიანებაც ჩაშალეს, ედუარდ შევარდნაძე ამ პოლიტიკურ ძალას განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მოსაქცევად, ჩანს, აღარ მიიჩნევს და ამიტომ დროდადრო მხოლოდ ირონიული კომენტარებით შემოიფარგლება ხოლმე, "მათ მიერ მიტოვებულ ბიზნესთან" დაკავშირებით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლება საგულდაგულოდ შემონახული "კომპრომატების" ამუშავებას არ შეეცდება. მაგალითად, თემურ ჭყონიას და მასთან ერთად ანზორ ბურჯანაძეს, პოლიტიკური სიმპათიების "ხათრით," ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს ხელისუფლებამ, კონტროლის პალატის სახით, კიდევ ერთხელ შეახსენა თურქული კრედიტის თემა.

ზემოთ უკვე მოყვანილი მაგალითებითა და გაფრთხილებებით ედუარდ შევარდნაძე საკმაოდ ღიად აფიქსირებს, რომ ბიზნესმენებს საკუთარი ფულის და საკუთარი ძალაუფლების მის წინააღმდეგ ამუშავების საშუალებას "ნებისმიერი მეთოდით" არ მისცემს და ამაში კონტროლის პალატას (როგორც ჭყონიასა და ბურჯანაძის შემთხვევაში), ან საგადასახადო ინსპექციას (როგორც, მაგალითად, თოფაძის შემთხვევაში) და უშიშროებას (როგორც თავის დროზე, მაგალითად, დამოუკიდებელ ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ში განხორციელებული რეიდის დროს) გამოიყენებს. აღარაფერს ვამბობთ სხვა ეკონომიკური ხასიათის ზეწოლაზე, არათანაბარი პირობების შექმნაზე, სახელისუფლებო უწყებებთან ხელოვნური პრობლემების შექმნაზე და ა.შ. მაგალითების ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს.

თუმცა ყველაფერი, რაც საპარლამენტო არჩევნების წინ და ამ არჩევნების კონტექსტში ხდება, მხოლოდ აჩრდილი და "წინასწარი მონახაზია" იმისა, რასაც ბიზნეს-საზოგადოება საპრეზიდენტო არჩევნების წინ უნდა მოელოდეს. ძალაუფლების დაკარგვის მოლოდინი და მემკვიდრის დატოვების მწველი სურვილი, სავარაუდოდ, ხელისუფლებას კიდევ უფრო მწვავე და რადიკალური ნაბიჯების გადასადგმელად განაწყობს. ხოლო იმისათვის, რომ ამ ნაბიჯების გადადგმა გაუადვილდეს, ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცდება, არსებული მანკიერი ბიზნეს-ურთიერთობები შეინარჩუნოს, არ დაუშვას ბიზნესის გათეთრება, არ დაუშვას არსებული კორუფციული გარემოს შეცვლა, რადგან სწორედ ეს გარემო აძლევს მას საჭირო ბერკეტებს მომავალში დაგეგმილი ქმედებების განსახორციელებლად.

## SAVE მეორე ფაზის განხორციელებას იწყებს

აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე გადამამუშავებელი წარმოების ხელშემწყობი ხუთწლიანი პროგრამის (SAVE) მთავარი მიზანია გადამამუშავებელი მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციის გზით, საქართველოში ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება.

საქართველოს აგრარულ სექტორს ეფექტური სისტემის შემუშავებასა და განხორციელებაში USAID (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო) ეხმარება.

პროექტის საქმიანობის პირველმა ფაზამ მოიცვა სექტორში არსებული მდგომარეობის შესწავლა, ამჟამად წარმოებული პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის დადგენა, საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტების შერჩევა.

პროექტის საქმიანობის მეორე ფაზაში აქცენტი გაკეთდება ისეთ სპეციფიკურ პროდუქციაზე, როგორიცაა ბიომეურნეობებში წარმოებული, ეკოლოგიურად სუფთა ხილი და ბოსტნეული, აგრეთვე, ტრადიციულად წარმოებული პროდუქტი.

SAVE–ის პროექტის ხელშეწყობით, ლაგოდეხისა და წყალტუბოს რაიონებიდან საფრანგეთში 100 ტონა წაბლის ექსპორტი ხორციელდება. ფერმერებს შესთავაზებენ მიმდინარე საბაზრო ფასის მაქსიმუმს წაბლზე, რომელიც ხარისხზე ფრანგი მომხმარებლების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

SAVE-ს დაგეგმილი აქვს, ჩამოაყალიბოს წაბლის შეგროვებისა და მარკეტინგის ასოციაცია, რომელსაც პროექტი რეგისტრაციასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში დაეხმარება. ასოციაცია ხელს შეუწყობს წაბლის მარკეტინგის განვითარებას, გააუმჯობესებს შემგროვებელთა შემოსავლებს, დაიცავს წაბლის ხეებს გაჩეხვისაგან და უზრუნველყოფს გამჭვირვალე კონკურენციას. SAVE აგრეთვე, დაეხმარება წაბლის მწარმოებლებსა და ექსპორტიორებს ინფორმაციული და ადმინისტრაციული პრობლემების გადაჭრაში.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე კომპანია "პი-ეი კონსალტინგ"-ის კავკასიის ბიუროს მენეჯერს დინ უაითს ღირსების ორდენით დააჯილდოებს. დინ უაითი ღირსების ორდენს საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმირებაში შეტანილი წვლილისათვის მიიღებს. აღსანიშნავია, რომ "პი-ეი კონსალტინგი" საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეგიდით ენერგეტიკული სექტორის რეფორმას 1995 წლიდან ახორციელებს. ჯგუფი მეშვიდე თვეა საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას მართავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილისობის" დღესასწაულზე დღეს საზეიმოდ გაიხსნა ჩინური კომპანია "ჰუვეი ტექნოლოჯის" უახლესი წარმოების ციფრული სატელეფონო სადგური. ახალი სადგური საბურთალოსა და დიდუბის რაიონების 80 000 მომხმარებელს მოემსახურება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერმა გოგი თოფაძემ, პარასკევს, თელავის რაიონის სოფელ ფშაველში საზეიმოდ გახსნა ხე-ტყის გადამამუშავებელი ქართულ-იტალიური ერთობლივი საწარმო "ყაზბეგი -ფშაველი - ფორესტი", სადაც საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტი ქართულ მხარეს, 50 პროცენტი კი - იტალიურს ეკუთვნის. წარმოების ასამოქმედებლად 500 ათასი ევროს ინვესტიცია განხორციელდა. ქარხნის სავარაუდო სიმძლავრე წელიწადში 10 ათასი კუბური მეტრია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 31 ოქტომბერს ჟენევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამუშაო შეხვედრაზე, ქართულმა დელეგაციამ რუსეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას მხარი არ დაუჭირა. როგორც "LENTY.RU" იუწყება, რუსული მხარე ქართული დელეგაციის ამ პოზიციას რუსეთისა და საქართველოს შორის არსებული გარკვეული უთანხმოებებით, კერძოდ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოუგვარებლობით ხსნის. როგორც ცნობილია, რუსეთს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ერთ-ერთი მთავარი მედიატორის ფუნქცია აკისრია. ჟენევაში გამართულ შეხვედრასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური კომენტარი, ჯერჯერობით, არ გაუკეთებია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შეუფერხებელი წარმართვისთვის რეგიონების საოლქო და საარჩევნო კომისიებს 2-3 ნოემბერს ელექტროენერგიას 24 საათის განმავლობაში მიაწვდის. ენერგოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა დევიდ სორნსტონმა 59-ივე რაიონული ფილიალების ხელმძღვანელებს მითითება მისცა, საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო ადმინისტრაციები გენერატორებით უზრუნველყონ. ქვესადგურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმები დაიცავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წყლის საერთაშორისო კოორპორაციის დაფუძნება გადაიდო.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ხელმძღვანელის მაია კაპანაძის განცხადებით, "საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაციის" დაფუძნება 1 ნოემბერს აღარ შედგება, როგორც ეს გათვალისწინებული იყო, რადგან აღნიშნულ საკითხს ჯერ არ გასცნობია საქართველოს წყლის დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელი თამაზ ჭოლოკავა, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საეთერო მაუწყებლობაზე ლიცენზიის გასაცემად გამოცხადებული კონკურსი, რომელიც გუშინ უნდა ჩატარებულიყო, გაურკვეველი ვადით გადაიდო. მიზეზი კომისიის თავმჯდომარის ვახტანგ აბაშიძის მიერ ერთი კვირის წინათ გადადგომის შესახებ გაკეთებული განცხადება გახდა. კონკურსში მონაწილეობას აპირებდნენ ტელეკომპანიები "იბერია", "მე-9 არხი" და "მზე". გამარჯვებულს თავისი გადაცემების მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელების შესაძლებლობა ეძლეოდა. ლიცენზიის საწყის ფასად 467 240 ლარი იყო გამოცხადებული. ვახტანგ აბაშიძის თანამდებობიდან გადადგომის მიზეზი 24 ოქტომბერს დანიშნულ კონკურსთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება გახდა. აბაშიძემ მაშინ განაცხადა, რომ კონკურსმა პოლიტიზებული სახე მიიღო და ორივე მხარე ლიცენზიის მოპოვებას კომისიაზე ზემოქმედების გზით ცდილობდა. შეგახსენებთ, რომ წინა კონკურსში ლიცენზიაზე ერთმანეთს "რუსთავი-2" და ჰოლდინგი „ტექნო-მედია" ეცილებოდნენ. აბაშიძემ თანამდებობიდან გადადგომაზე განცხადება პრეზიდენტის სახელზე დაწერა. პრეზიდენტს ამ განცხადებაზე ხელი, ჯერჯერობით, არ მოუწერია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში ყველა სახის საერთო სარგებლობის ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის მოცულობა, 2002 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 7,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ტვირთბრუნვა - 6,2 პროცენტით. როგორც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს, აღნიშნულ პერიოდში გადატანილია 29,9 მილიონი ტონა ტვირთი და შესრულებულია 4600,9 მილიონი ტონა-კილომეტრი ტვირთბრუნვა. 2003 წლის იანვარ-სექტემბერში საქალაქო ელექტროტრანსპორტის გარეშე გადაყვანილია 199,5 მილიონი მგზავრი. მგზავრთბრუნვამ შეადგინა 4614,2 მილიონი მგზავრთკილომეტრი. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 0,5 პროცენტით გაიზარდა, მგზავრთბრუნვა - 4,5 პროცენტით. საქალაქო ელექტროტრანსპორტით გადაყვანილია 84,4 მილიონი მგზავრი, რაც წინა წელს გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობასთან შედარებით 4,5 პროცენტით მეტია. მგზავრთა გადაყვანიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 16,5 მილიონი ლარი, ანუ 0,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 2002 წლის იანვარ-სექტემბერში. **პრაიმ-ნიუსი**

# ვოლოშინს დახურული ბრიფინგები არ აპატიეს?

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვის პროსახელისუფლებო პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ბოლო წვეთი პრეზიდენტის მოთმინების ფიალაში კრემლის ადმინისტრაციის შეფის ალექსანდრ ვოლოშინის მოუფიქრებელი მუქარა იყო უკრაინის დაბომბვის შესახებ, რომელიც მან ვითომ ხუმრობით "ჩააწვეთა" უკრაინელ ჟურნალისტებს. "რკინის სტალიევიჩი" საბოლოოდ მორბილდა, როცა უკრაინელი ჟურნალისტების შემდეგ დასავლეთის წამყვანი გაზეთების ჟურნალისტებს შეხვდა და რუსეთში არსებულ სისტემურ კრიზისზე მორიგი არაორდინარული ფრაზა წამოსცდა. "ბლუმბერგის" მოსოველი კორესპონდენტი ჯეიმს მუკი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ "ვოლოშინი დაბნეული და გაღიზიანებული ჩანდა. ეს იყო მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრებამდე ორი კვირით ადრე."

კრემლში დახურული ბრიფინგების ორგანიზატორი ვოლოშინი უცხოელ ჟურნალისტებში რუსეთისადმი გაუცხოებას თესავდა. ასეთი შთაბეჭდილება რჩებათ ამ ელიტარული ღონისძიების მონაწილე ჩვენს უკრაინელ კოლეგებს. უკრაინის "ინტერის" კორესპონდენტი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ ვოლოშინი გამომწვევად იქცეოდა, რითიც ჟურნალისტთა აშკარა პროვოცირებას ახდენდა.

"საუკეთესო სცენარი რუსეთისათვის," – ასეთი შეფასება მისცეს პოლიტიკურმა წრეებმა კრემლის ადმინისტრაციის უფროსის გადადგომას. თუმცა, ვოლოშინი ისეთმა კაცმა შეცვალა, რომელსაც პეტერბურგელ ძალოვნებთან ნაკლები საერთო აქვს. უბრალოდ, ადმინისტრაციის ახალ უფროსს, დიმიტრი მედვედევს "კაგებე"-ში არასოდეს უმუშავია. მაგრამ, სამაგიეროდ, მედვედევი "გაზპრომის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა, რაც მოსკოველ ანალიტიკოსებს აფიქრებინებს, რომ პუტინმა უბრალოდ, შესაკრებები გადაანაცვლა.

"24 საათთან" საუბარში რუსეთის სამხედრო–პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრ მარკედონსკი აღნიშნავს:

"უახლოეს მომავალში კრემლის პოზიციაში რაიმე ნოვაციებს არ უნდა ველოდოთ, რადგანაც ვოლოშინის დროს დაწყებული კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ პრეზიდენტის არჩევნებია, რისთვისაც პუტინი უკვე სერიოზულად ემზადება. ანუ კრემლი იგივე გზით აპირებს სიარულს."

მოსკოვში კრემლის ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელს რუსეთის მემარჯვენე ძალთა და ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების პარტიების ოფიციალურ მფარველად იცნობენ. მოსკოვში მომუშავე ჟურნალისტებმა იციან, რომ 36 წლის დმიტრი მედვედევი რუსეთში მრავალპარტიული სისტემის ლობისტი და გლობალიზაციის იდეების მქადაგებელიცაა. ამასთანავე, მედვედევი აქტიურადაა ჩართული პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ეთნოკონფლიქტების დარეგულირების პროცესშიც. მედვედევს, მაგალითად, დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარებაში რუსეთის ინეტერესების დაცვის მომხრედაც იცნობენ. ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციის ახალი უფროსის მოსვლით კრემლის სტრატეგიაში ბევრი არაფერი შეიცვლება, ჩვენთან საუბარში ფონდ "პოლიტიკას" პრეზიდენტმა **ვიაჩესლავ ნიკონოვმაც** დაადასტურა.

"ნებისმიერი ახალი პოლიტიკოსის გაჩენა კრემლში ფასადის კოსმეტიკურ რემონტს ნიშნავს. შინაარსი იგივე რჩება. მედვედევი და პუტინი წლების განმავლობაში ერთად მუშაობდნენ, მედვედევი პირადად ხელმძღვანელობდა ვლადიმირ პუტინის საარჩევნო შტაბს და ერთგულ ანალიტიკოსთა ძლიერი გუნდიც ჩამოაყალიბა. ვოლოშინის გადაყენება კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე რუსეთში უკვე საპრეზიდენტო კამპანია დაიწყო. "იუკოსის" თავკაცის, მიხაილ ხოდორკოვსკის პერსონასთან ზედმეტად დაახლოებული ვოლოშინი კი ვლადიმირ პუტინის მეორე ვადით არჩევაში მიზიდულობის მეორე, მანკიერი ცენტრი იქნებოდა. ამიტომ, პრეზიდენტმა იგი თავიდან მოიშორა".

# სპეცსამსახური საკუთარი პრეზიდენტის წინააღმდეგ

ლიტვის პრეზიდენტს როლანდას პაქსასს საკუთარი სპეცსამსახურები აუმხედრდნენ. მათ ქვეყნის პარლამენტს წარუდგინეს მოხსენება, სადაც პრეზიდენტ პაქსასს საერთაშორისო დანაშაულებრივ ჯგუფებთან კავშირი ბრალდება. თავად პაქსასმა ამ ფაქტს მის წინააღმდეგ პოლიტიკური შეთქმულების კვალიფიკაცია მისცა. **"მე ეჭვი არ მეპარება, რომ ოფიციალურ პირებს შეუძლიათ გაარკვიონ, თუ სად არის სიმართლე და სად არის პოლიტიკური თამაში,"** - განაცხადა პაქსასმა.

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, სპეცსამსახურების მიერ მოპოვებულ მასალებში, ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის რიამიგიუს აჩასის სახელიც ფიგურირებს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი პაქსასი ამ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს, მან თავისი თანაშემწე თანამდებობიდან მაინც გაათავისუფლა, იქამდე, ვიდრე მისი უდანაშაულობის საკითხი საბოლოოდ არ გაირკვევა.

სპეცსამსახურთა მოხსენება პრესაში არ გამოქვეყნებულა. მიუხედავად ამისა, მედიამ ამ დოკუმენტის ზოგიერთი დეტალის მოპოვება მაინც მოახერხა, რაც ლიტვის ტელევიზიაშიც გაშუქდა. კერძოდ, ამ მასალების თანახმად, პრეზიდენტის თანაშემწეს აჩასს მჭიდრო საქმიანი კავშირი გააჩნია რუსული კომპანიის "ასოციაცია XXI საუკუნის" ხელმძღვანელთან ანზორ კიკალიშვილთან, რომელიც კრიმინალურ საქმიანობაშია ეჭვმიტანილი. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს არაერთხელ დაემუქრნენ საერთაშორისო კრიმინალურ საქმიანობაში ეჭვმიტანილი პირები.

ამ მოხსენებაზე კომენტარი ლიტვის პარლამენტის ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გააკეთა. მისი თქმით, პარლამენტში საგანგებო კომისია შეიქმნება, რომელიც მოხსენებაში მოყვანილ ფაქტებს გამოიძიებს.

დიდი ხანია, ქვეყანაში არაჯანსაღ მითქმა-მოთქმას იწვევს პრეზიდენტის ახლო მეგობრობა ქართველ "ნათელმხილველ", ვინმე ლოლიშვილთანაც.

დამკვირვებლების თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ ლიტვა 2004 წელს ევროკავშირისა და ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი უნდა გახდეს, ეს სკანდალი შესაძლოა, დიდი დარტყმა იყოს არა მხოლოდ პრეზიდენტ როლანდას პაქსასისთვის, არამედ მთელი სახელმწიფოსათვის.

# რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალი შეფი

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციას უკვე ახალი შეფი ჰყავს. ამ პოსტზე დმიტრი მედვედევი დაინიშნა, რომელიც მანამდე ადმინისტრაციის აწ გათავისუფლებული ხელმძღვანელის ვოლოშინის მოადგილედ მუშაობდა. მედვედევი, ამასთანავე, "გაზპრომის" დირექტორთა საბჭოს წევრიცაა.

მისი მოკლე დოსიე ასე გამოიყურება:

დაიბადა 1965 წელს ლენინგრადში; 1987 წელს დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რის შემდეგაც ასპირანტურაში განაგრძო სწავლა, რომელიც 1990 წელს დაამთავრა. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1990-99 წლებში ლექციებს კითხულობდა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1990-95 წლებში ასევე მუშაობდა სანკტ-პეტერბურგის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მრჩევლად და იყო მერიის საგარეო საქმეთა კომიტეტის ექსპერტი.

1999 წელს, როდესაც ვლადიმირ პუტინი რუსეთის პრემიერ-მინისტრი გახდა, მედვედევი მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა. იმავე წლის დეკემბერში ის უკვე პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე აღმოჩნდა. წინა საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმირ პუტინის წინასაარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. ჰყავს მეუღლე და ვაჟი.


დმიტრი მედვედევი

მისი დოსიეს წაკითხვისას უკვე ცხადი ხდება, რომ მედვედევი პრეზიდენტ პუტინის "პეტერბურგული" გარემოცვის აქტიური და ერთგული წევრია. ადმინისტრაციის შეფად მისი დანიშვნით ამ გარემოცვის მიერ სახელისუფლებო წრე საბოლოოდ შეიკრა.

თუმცა, მას სპეცსამსახურებთან არცთუ ახლო კავშირები გააჩნია. ამიტომაც, დამკვირვებელთა თქმით, მედვედევის კანდიდატურა თანამედროვე კრიზისულ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი იყო. მას ხომ უშიშროების ორგანოებში არასდროს უმუშავია და ლიბერალებთან და ოლიგარქებთან საუბარი გაუადვილდება. მედვედევს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს თავად მისი წინამორბედი ვოლოშინი, რომელიც "ელცინის ოჯახის" ერთგული ჩინოვნიკის სახელით "სარგებლობს." სააგენტო "ბიბისისთან" ინტერვიუში ალექსანდრ ვოლოშინმა განაცხადა, რომ მედვედევი კრემლის ამჟამინდელ ადმინისტრაციაში ერთ-ერთი ყველაზე საღად მოაზროვნე პიროვნებაა. ასეა თუ ისე, კრემლის დერეფნები ელცინის "ოჯახის" ერთგული ჩინოვნიკებისგან უკვე თითქმის თავისუფალია.

# კალიფორნიელები წვიმის იმედად დარჩნენ

კალიფორნიის შტატის მეხანძრეები მძვინვარე ხანძართან ბრძოლაში კვლავ უძლურნი არიან. ცეცხლის სტიქიამ უკვე 20 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის ერთი მეხანძრეა. ასევე ცეცხლმა შთანთქა 2000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი თუ სხვა შენობა-ნაგებობა და 246,400 ჰექტარი მიწა გადაწვა. სადაზღვევო თანხებმა, რომლებიც ხანძრის შედეგად იქნება გასაცემი, მთლიანობაში უკვე 100 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. ხანძარმა კი 2 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი ღირებულების ქონება შთანთქა. კალიფორნიის ახლადარჩეული გუბერნატორი არნოლდ შვარცნეგერი გუშინ სასწრაფოდ გაემგზავრა ვაშინგტონში, რათა ცენტრს ცეცხლის სტიქიასთან საბრძოლველად დამატებითი ფინანსები სთხოვოს.




გუშინწინ ხანძარი ტბისპირა კურორტ "ბიგ ბეარს" მისწვდა. ხელისუფლება იძულებული გახდა, ამ რაიონიდან 40 ათასი ადამიანის ევაკუირება მოეხდინა. კურორტი "ბიგ-ბეარი" ლოს-ანჯელესიდან 160 კილომეტრში მდებარეობს. სულ კალიფორნიის შტატში ხანძრის 9 დიდი კერა მოქმედებს. თავდაპირველად, ხანძარი ექვს სხვადასხვა ადგილას გაჩნდა. სტიქიასთან ბრძოლას ძლიერი ქარიც ართულებს.

კალიფორნიაში მეხანძრეთა რაოდენობა 13 ათასამდე გაზარდეს. თუმცა, მეხანძრეებიც აცხადებენ, რომ სტიქიის ლიკვიდაციის იმედი ჯერჯერობით არ არსებობს. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ერთადერთი იმედი კალიფორნიელებს გუშინ გაუჩნდათ. ეს იმედი ოკეანის სიღრმიდან დაძრული ნისლი და წვიმის ღრუბელია, რომელსაც კალიფორნიაში უკვე დღეს ელოდებიან.

ხანძარს, რომლის მსგავსიც კალიფორნიის ისტორიაში არ ახსოვთ, მოსახლეობა სავსებით სამართლიანად, "თანამედროვე აპოკალიფსს" უწოდებს. მოუვლენს თუ არა ღმერთი კალიფორნიელებს მხსნელად წვიმას, ამას დღეს ვნახავთ.

# მალაიზიის სკანდალური პრემიერ-მინისტრი პოლიტიკიდან წავიდა

ლევან ღირსიაშვილი

ხელისუფლების სათავეში ყოფნის 22-წლიანი პერიოდის შემდეგ, მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა მოჰამად მაჰათირმა პოსტი დატოვა. მან ეს განცხადება გუშინ გააკეთა და თავის მემკვიდრედ აბდულა ბადავი დატოვა, რომელიც მანამდე მის მოადგილედ მუშაობდა.

გუშინ, პარასკევის ლოცვის რიტუალის ჩატარების შემდეგ, მაჰათირ მოჰამადი და მისი მემკვიდრე აბდულა ბადავი მალაიზიის მეფის საიდ სირაჯუდინ პოტრ ჯამალულაილის სასახლისაკენ გაეშურენ, რათა მონარქის წინაშე ახალ პრემიერ-მინისტრს ფიცი დაედო. ახალი პრემიერ-მინისტრის ინაუგურაცია მალაიზიის ნაციონალური ტელევიზიის მიერ პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა.

აწ უკვე ყოფილი პრემიერის მაჰათირის პოსტიდან წასვლა რამდენიმედღიანი ცერემონიების თანხლებით მიმდინარეობდა. უკანასკნელ მოვლენად პარლამენტის წინაშე მისი საანგარიშო გამოსვლა იქცა.

ამ ქვეყნის ისტორიაში ეს არცთუ უმნიშვნელო მოვლენაა, რადგან მაჰათირი პრემიერ-მინისტრის პოსტზე საუკუნის თითქმის მეოთხედი პერიოდი იმყოფებოდა. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, მალაიზიის მოქალაქეთა თითქმის 40 პროცენტი მაჰათირის მმართველობის ეპოქაშია დაბადებული. მაჰათირმა გაცილებით უფრო მდიდარი და განვითარებული ქვეყანა დატოვა, ვიდრე 22 წლის წინ ჩაიბარა.

პარლამენტის წინაშე წარმოთქმულ გამოსამშვიდობებელ სიტყვაში, მოჰამად მაჰათირმა ორ ძირითად თემაზე ისურვა ყურადღების გამახვილება. მან უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპებსა და მიღწევებზე ისაუბრა. ამის გარდა, იგი დემოკრატიის თემასაც შეეხო და მალაიზიელ პარლამენტარებს ანდერძად დაუტოვა, რომ დემოკრატიულ ღირებულებებს ქვეყნის ანარქიამდე მიყვანა შეუძლია.


მოჰამად მაჰათირი

მაჰათირი დემოკრატიისადმი და დასავლეთისადმი თავისი არცთუ კეთილგანწყობით ცნობილი პოლიტიკოსია. ბოლო მისი დემარში 16 ოქტომბერს მალაიზიაში გამართული ისლამური ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციაზე განხორციელდა. მან მუსულმანურ სამყაროს ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა, რადგანაც ისინი **"მსოფლიოს მართავენ."**

**"ევროპელებმა 12 მილიონი ებრაელიდან 6 მილიონი გაანადგურეს. მაგრამ დღეს ებრაელები მთელ მსოფლიოს მართავენ. თუმცა, რამდენიმე მილიონ ებრაელს 1,3 მილიარდი მუსულმანის დამარცხება არ შეუძლია... ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი მსოფლიოში რეალურ ძალად იქცა. ჩვენ მათთან ბრძოლა მხოლოდ ძალით არ შეგვიძლია. ჩვენ ტვინიც უნდა გამოვიყენოთ... ყურანი გვასწავლის, რომ როდესაც მტერი გვთავაზობს მშვიდობას, ჩვენ ამას უნდა გამოვეხმაუროთ. მართალია, ჩვენთვის შემოთავაზებული შეთანხმება საუკეთესო არ არის, მაგრამ ჩვენ ეს შეგვიძლია მოლაპარაკებებზე განვიხილოთ, როგორც ამას წინასწარმეტყველი აკეთებდა,"** - განაცხადა მაჰათირმა. მან თავის გამოსვლაში ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი მუსულმანურ ქვეყნებში განათლების დონის ამაღლებაზე გააკეთა. მისი თქმით, რელიგიური საკითხების გარდა, დიდი ინტერესი უნდა დაეთმოს მათემატიკას და სხვა ზუსტი მეცნიერებების შესწავლას. **"ეს იმისათვისაა საჭირო, რომ ჩვენ თავდაცვისათვის ავტომატები და რაკეტები, ბომბები და თვითმფრინავები, ტანკები და სამხედრო გემები გვჭირდება,"** - განმარტა მალაიზიის ლიდერმა.

აღსანიშნავია, რომ ამ გამოსვლას დიდი საერთაშორისო სკანდალი არ მოჰყოლია. მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაჰათირმა ამ განცხადებისათვის ბოდიში მოიხადა, თუმცა, მან თავად ბოდიშის მოხდის ფაქტი უარყო.

ახლა კი, მოჰამად მაჰათირი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. თუმცა, მისი მმართველობის პერიოდი მალაიზიაში კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ.

# საქართველოს შანსი

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება რუსეთს. ის, რომ რუსები დღეს უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ხუთი წლის წინ, უფრო ნავთობზე მაღალი ფასებით აიხსნება, ვიდრე მათი ახალი პრეზიდენტის განსაკუთრებული ნიჭიერებით. პუტინმა დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, რაც, პირველ რიგში, თავისუფალი მას-მედიის დამორჩილებაში და საფონდო ბირჟის წინააღმდეგ გატარებულ პოლიტიკურ აქციებში გამოიხატა. .

ბელარუსში ლუკაშენკოს მიერ მიღწეულ "წარმატებებზე" სიტყვის გაგრძელება არ ღირს, აქ ისედაც ყველაფერი ნათელია.

ვერც კუჩმა იქცა ქვეყნის ჭეშმარიტ ლიდერად, პირიქით, ბოლო წლებში იგი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ოდიოზურ პრეზიდენტად ითვლება.

ხუთივე ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში პრეზიდენტები სტაბილურობის შენარჩუნებისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევის ლოზუნგებით მოვიდნენ. ხუთივემ ხელისუფლების განმტკიცება იმით სცადა, რომ თავისუფალ მედიას შეუტია.

ხუთივე შემთხვევაში, ხელისუფლება თავის თავსაც და ხალხსაც იმით ამშვიდებს, რომ მათ სტაბილურობა შეინარჩუნეს. მაგრამ, ფაქტია, რომ ამგვარი სტაბილურობა ამ ქვეყნებს განვითარების საშუალებას უსპობს.

არსებობს ბევრი მიზეზი, რის გამოც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სამწუხარო ტენდენცია გაგრძელდება და მათი შემდგომი ლიდერები წინამორბედებზე კიდევ უარესი იქნებიან.

ხუთივე ქვეყნის პრეზიდენტს ერთი რამ აერთიანებს – არც ერთი მათგანი ხელისუფლებაში თავისუფალი არჩევნების შედეგად არ მოსულა. მართალია, ზოგმა მეტად გააყალბა და ზოგმა ნაკლებად, ზოგმა მეტი სისხლი დაღვარა და ზოგმა ნაკლები, მაგრამ შედეგი, საბოლოო ჯამში, ყველგან ერთნაირი მივიღეთ.

ხელისუფლებასა და ხალხს შორის უფსკრული გაჩნდა. ისინი ერთმანეთს აღარ ენდობიან და ერთმანეთის იმედი აღარა აქვთ. პოლიტიკა სასახლის კარის ინტრიგებად იქცა, რომელზეც ამომრჩეველს ნაკლები გავლენა აქვს, და შესაბამისად, ხელისუფლებაც მას სულ უფრო ნაკლებ უწევს ანგარიშს.

ხელისუფლებასა და ხალხს შორის არსებულ უფსკრულზე ერთადერთი ხიდი შეიძლება გაიდოს – თავისუფალი არჩევნები. რომელმაც შესაძლოა, ჩამოყალიბებულ "სტაბილურობაში" მცირედი ცვლილებები შეიტანოს, მაგრამ საბოლოო ჯამში იმაზე გაცილებით უფრო პროგრესულ სისტემას შექმნის, ვიდრე დღეს არსებობს.

ხვალინდელი არჩევნები საქართველოს აძლევს შანსს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი ტენდენცია დაარღვიოს, დემოკრატიული არჩვენების პრეცედენტი შექმნას და პირველი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას ღია და თავისუფალი საზოგადოების შესაქმნელად. იმ საზოგადოების, სადაც პოლიტიკას ხალხი ქმნის და არა ცალკეული კორუმპირებული ადამიანები.

# კი-უესტის შეთანხმება ყარაბაღის საკითხზე

2001 წელს სომხეთი და აზერბაიჯანი "დაუჯერებლად ახლოს" იყვნენ ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტასთან, – ნათქვამია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ახლახან გამოქვეყნებულ მასალებში.

"რადიო თავისუფლების" ხელში აღმოჩნდა 2002 წელს აშშ-ს ეროვნული სადაზვერვო საბჭოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის სადაზვერვო-კვლევითი ბიუროს მიერ ჩატარებული კონფერენციის ანგარიშები.

"კი-უესტის შეხვედრის შემდეგ ზოგიერთებმა დაასკვნეს, რომ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. სინამდვილეში კი, მხარეების პოზიციები დაუჯერებლად ახლოა ერთმანეთთან. ყველა პრინციპული საკითხი გადაწყვეტილია, გადასაჭრელია მხოლოდ ტექნიკური პრობლემები," – ამბობს რუდოლფ პერინა 2002 წლის სექტემბერში გამართულ კონფერენციაზე.

იგი არ საუბრობს სომხურ-აზერბაიჯანული შეთანხმების პირობებზე, მხოლოდ აცხადებს, რომ 2003 წლის არჩევნები კონფლიქტის გადაჭრას სერიოზულ ბიძგს მისცემს. როგორც ჩანს, ამ დროს პერინა ვარაუდობდა, რომ ჰეიდარ ალიევი ხელისუფლებაში დარჩებოდა. ახლა კი არავინ იცის, გამოუცდელი ილჰამის ხელისუფლებაში მოსვლა სამშვიდობო მოლაპარაკებების მომავალზე რა გავლენას იქონიებს.

აზერბაიჯანის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს "კი-უესტის შეთანხმების" არსებობას. სომხები კი პირიქით, ბრალს სდებენ აზერბაიჯანს იმაში, რომ მან უარყო მიღწეული შეთანხმება და 2002 წელს ალიევ-კოჩარიანის სამშვიდობო შეხვედრა ჩაშალა.

რაზე შეთანხმდნენ მხარეები კი-უესტში, საზოგადოებისათვის უცნობია. სომხური მხარის თქმით, საუბარი იყო აზერბაიჯანულ-ყარაბაღულ "საერთო სახელმწიფოზე". ეს ფორმულა ჯერ კიდევ 1998 წელს შექმნეს "მინსკის ჯგუფის" ამერიკელმა, რუსმა და ფრანგმა თანათავმჯდომარეებმა. ის იდეა, რომელიც ალიევმა საბოლოოდ უარყო, ყარაბაღს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას და სომხეთთან შემაერთებელ დერეფანს აძლევდა.

სომხური ოპოზიციური დაჯგუფებების, მათ შორის, ტერ-პეტროსიანის მომხრეთა მტკიცებით, გარიგების პირობები მთლად ასეთი არ ყოფილა. მათი თქმით, სომხეთი მიიღებდა ყარაბაღს, მაგრამ სამაგიეროდ, აზერბაიჯანისათვის მეღრის ოლქი უნდა გადაეცა. "ეს ვარიანტი დღესაც განიხილება," - ამტკიცებს უშიშროების ყოფილი მინისტრი, დავით შახნაზარიანი.

შარშან პერინა ამბობდა, რომ შეთანხმების ახალი ვარიანტები, თუ ისინი შეიქმნება, არ იქნება ძველისაგან რადიკალურად განსხვავებული, რადგანაც ლამის ყველა შესაძლო იდეა უკვე განხილულია მხარეების მიერ. შეიძლება ველოდოთ მათი შესწორებული ვარიანტების გამოჩენას, მაგრამ პრინციპულად ახალი უკვე აღარაფერი იქნება.

პერინას თქმით, ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული გადაუწყვეტელი კონფლიქტების მთავარი მიზეზი მხარეების უკომპრომისო პოზიციაა. "ხალხი ელოდება, რომ მოხდება რაღაც, რაც მათ კომპრომისზე წასვლისაგან იხსნის. რასაკვირველია, ასეთი რამ შეუძლებელია. ჩვენ კი ვარწმუნებთ სეპარატისტულ რეჟიმებს იმაში, რომ მათ დამოუკიდებლობას არასოდეს არავინ აღიარებს, მაგრამ მათ ამის დაჯერება არ სურთ".

ყველა აღიარებს იმას, რომ ზევრია დამოკიდებული გარეშე ძალებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთი, რომელსაც დასავლეთში ბევრი მშვიდობისათვის მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევს.

"ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ კონფლიქტების გადაჭრა რუსეთის მონაწილეობის გარეშე არ მოხერხდება. ეს ცხადია. თუმცა, თავიდან ჩვენ გვეგონა, რომ ამას რუსეთის გარეშეც გავაკეთებდით, რადგან რუსეთი თავად იყო პრობლემა," - ამბობს ჯო პრესელი. მას ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს, რადგან 1994-97 წლებში ვაშინგტონის წარმომადგენელი იყო კონფლიქტების მოგვარების საქმეში.

იმ მოსაზრებას, რომ კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთს განსაკუთრებული როლი ეკისრება, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, ენ ჰერიც იზიარებს. თანაც, მისი აზრით, ბოლო დროს რუსეთის საგარეო პოლიტიკას უფრო მეტად განსაზღვრავს ეკონომიკური ინტერესები, ამიტომ იგი უფრო მეტად უნდა იყოს დაინტერესებული კავკასიის სტაბილურობით.

და მაინც, აგრძელებს პრესელი: "რუსები არ ენდობიან ამერიკელებს, ისინი ყოველთვის ფიქრობენ, რომ ამერიკელები მათ გაცურებას აპირებენ. რუსების მიდგომა მთიანი ყარაბაღისადმი დამოკიდებულია იმაზე, ბიუროკრატიის რომელ ნაწილს ესაუბრები და იმაზეც, კვირის რომელ დღეს ელაპარაკები მათ".

რაც შეეხება დანარჩენ ორი მეზობელს, ირანსა და თურქეთს, სადაზვერვო უწყებების წარმომადგენლებმა ერთხმად განაცხადეს, რომ მათი როლი მინიმალურია.

პერინამ ნათლად განაცხადა, რომ აშშ ვერ ჩაერევა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტაში ისე აქტიურად, როგორც, მაგალითად, ბოსნიაში გააკეთა. ამიტომ, არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ამერიკა მეორე მხარეს კომპრომისზე წასვლას აიძულებს.

"ეს კონფლიქტები საბოლოოდ გადაიჭრება, მაგრამ რაც უფრო დიდხანს გაჭიანურდება მათი მოგვარება, მით უფრო დამანგრეველი იქნება მათი შედეგები. ნავთობით მდიდარ აზერბაიჯანს კარგი ეკონომიკური პერსპექტივები აქვს. დანარჩენი ორი კი მოუგვარებელ კონფლიქტებს ვერ გაუძლებს. ეს ჩვენ ძალიან გვაწუხებს, რადგან თუ რომელიმე ქვეყანა აფეთქდა, ამას ძალიან სერიოზული შედეგები მოჰყვება," – აცხადებს პერინა.

*რადიო თავისუფლება*

# ფიქრობენ, ხალხი "პახმელიაზე" იქნება და ვერ მოვაო...

*"დღეს არავის გვაქვს გულგრილობის უფლება – არც შენ და არც ჩვენ... გთხოვ – ნუ დაიზარებ, წადი არჩევნებზე და შენი ერთი ხმით შეცვალე შენი მომავალი!" – მოგვიწოდებენ პარტიები. ზვალ არჩევნებია. ყველა დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩევლებს აყვავებულ ქვეყანაში ცხოვრებას ჰპირდება.*

თამარ დვალი

**იური ხარშილაძე, მეწაღე:**
მართალი გითხრათ, არჩევნების ხსენებაც არ მინდოდა და არც ნასვლას ვაპირებდი, მაგრამ მერე რომ დავფიქრდი, ვის ვუჯობინე ამით? მივხვდი, რომ ისევ ჩემ თავს და ჩემ შვილებს გავუკეთებ ცუდს. ბოლოს და ბოლოს, ხალხმა უნდა შეიცნოს, რომ ეს მათი ქვეყანაა და ამ მინიმალური მაინც უნდა ეცადონ რაღაცის გამოსწორებას, რასაც საარჩევნო ურნებამდე მისვლა ჰქვია. ისე, ხელისუფლებამაც კარგად გაიჯიკა. არჩევნების წინა დღეს თბილისობის აღნიშვნა მოინდომეს. ოქტომბერში რაც შეუძლიათ ხელი? ფიქრობენ, ხალხი "პახმელიაზე" იქნება და ვერ მოვაო, მაგათ ჯიბრზე ყველა უნდა მივიდეს და ეგენი გადახაზოს...

**გულნაზი ბიძინაშვილი:**



მე სამაჩაბლოდან ლტოლვილი ვარ და ისეთ პირობებში ვცხოვრობ, ყველაფრის იმედი დაკარგული მაქვს. ვერცერთი პარლამენტისგან ვერ დავინახე გაკეთებული საქმე. კანონი არ კანონობს, ვისაც რა მოესურვება იმას აკეთებს. სასტუმრო "აფხაზეთში" ვცხოვრობ და სულ რიგ-რიგად მოდიან ეს დეპუტატობის კანდიდატები - მე მომეცით ხმაო. ამდენ ლაპარაკს ერთი კობი მაინც შეეკეთებინათ ჩვენთვის ის ოჯახებში. ისე, მართალი რომ გითხრა, ნინო ბურჯანაძის მიმართ მაქვს სიმპათიები, მაგრამ ისეთმა ხალხმა შეაფარა მაგის პარტიას თავი, რომ....

**პოლიციელი (ვინაობა არ დაასახელა):**
"აუ, არჩევნები არ მიხსენო. მომკლეს, ამათი... მთელი ზაფხული სიებს მაწერინებდნენ. აღარც მახსოვს, რამდენჯერ გადამაწერინეს. მარტო, ბიჭო, ცოლი შემეყარა ხელში. ახლა კიდე, ერთი კვირის წინ, ყველაფერი თავიდან უნდა გადაგვეკეთებინა და თანაც ხელით კარდააკი უნდა აღგვენერა. გამაგიჟეს.
არჩევნების დღეს სისხამ დილიდან ღამემდე ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე უნდა ვიდგე, პოსტია. ჩემ უბანზე ხმის მისაცემად ვერც კი მივალ და, თუ სიმართლე გინდა, ფეხებზე მკიდია. თუ გინდა, მითხარი და ვისაც შენ გინდა, იმას მივცემ ხმას, იქ სადაც ვიქნები."

**ბახვა გოგობერიშვილი, მკერავი:**



მე, შვილო, ვალდებული ვარ არჩევნებზე წავიდე. მინდა რომ ჩემმა შვილიშვილებმა კარგ ქვეყანაში იცხოვრონ. ამით ხომ ჩემს პირად ნებას დავაფიქსირებ. რომელიც პარტიაც მომწონს იმას მივცემ ხმას. საუკეთესო პენსიების დარიგებას დაგვპირდნენ და თუ გაამართლებს კარგია. 69 წლის კაცი ვარ, აფრა ვკერავ, ახლა მაღაზიაში ვდგავარ და ასე ვინახავ ოჯახს.

**მარინა თეთრუაშვილი, პედაგოგი:**
მე ახალგაზრდებთან ვმუშაობ და თითქმის ყოველდღე მიწევს მათთან იმაზე საუბარი, რომ დღეს თუ ხვალ ქვეყანაში ვითარება გამოსწორდება. მოსწავლეების უმეტესობა ოცნებობს საზღვარგარეთ წავიდეს საცხოვრებლად და იქ გააკეთოს კარიერა. ეს ახალგაზრდები ასე თუ იფიქრებენ, მაშინ საქართველოში ვინღა დარჩება? ეს თაობა, ეს რაღაცით დავაინტერესოთ, მომავლის იმედი უნდა ჩავუნერგოთ. ყველა თუ იმას იფიქრებს, რომ მას არაფერი შეცვლის, მაშინ არაფერი შეიცვლება ჩვენს ცხოვრებაში.

**ხათუნა ფოჩხუა, ფარმაცევტი:**



ჩვენ მთელი ოჯახი მივდივართ არჩევნებზე. თუ არავინ წავა, ასე ხომ 100 პროცენტიანი გაყალბების შესაძლებლობას მივცემთ ჩვენს ხელისუფლებას. დაპირებების მჯერა და იმიტომ მივდივარ-თქო ვერ გეტყვით. კანდიდატები ყოველ არჩევნებზე სულ ასე გვპირდებიან, მაგრამ მე ჩემს მოქალაქეობრივ ვალს მოვიხდი. ისე, ყველაზე მეტად მაინც ლეიბორისტების მხარეზე ვარ. მაგათი დაპირების უფრო მჯერა.

# არჩევნები ძველად იყო, თუ იყო!

## ყოფილი აგიტატორის გახსენება

*70 წლის ჯუსტალი ფანჩულიძეს თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრი არჩევნები გადახდენია თავს, მაგრამ დღეს მხოლოდ რამდენიმე პატარა ამბავს იხსენებს.*

ზაზა ფარუაშვილი

**შესავალი**

არჩევნები მაშინ იყო, თუ იყო. ნამდვილი "პრაზდნიკი". არც ნერვიულობა და არც თავის ტკივილი, აბა ვინ ავირჩიოო. გეტყოდენ, ა, ესაა ჩვენი დეპუტატიო და მორჩა. საარჩევნო უბანზე ტყვილა არ მიგიყვანდნენ. კაი ტაშ-ფანდური დაგხვდებოდა და ბუფეტსაც ადრიანად აღებდნენ. ვინც პირველი მივიდოდა, იმას აჯილდოვებდნენ.

მოვკიდებდი ჩემ ბიულეტენს ხელს, გოუვლიდი ტოლ-ამხანაგებს და წევიდოდით კანტორაში. მუსიკა შორიდანვე ისმოდა. ჩავაგდებდით ამ ქაღალდს და "იტანცავე" რამდენი გინდა. ხალხი მთელი დღე იჯდა და ქეიფობდა.

**აგიტატორი**

ტეხნიკუმის მერე ტყვარჩელის მაღაროში გამაგზავნეს სამუშაოდ. ერთმა არჩევნებმა იქაც მომისწრო. ამირჩიეს აგიტატორად და გამაგზავნეს სოფლებში, არჩევნებზე ხალხი ჩამეიყვანეო. სახლში არავინ დარჩებოდა - ან მოუსვლელობას ვინ გაბედავდა, ან ამისთანა "პრაზდნიკს" ვინ გამოტოვებდა, მარა შეჯიბრი იყო. რომელი უბანიც ადრე დაამთავრებდა არჩევნებს, ის იყო გამარჯვებული.

წევედი მარა, რა წევედი; მარა, რათ გინდა, აგიტატორი მევიდაო და უპატივცემლოდ ვინ გამოგიშვა. ისეთი ნაქეიფრები ჩამევედით, ღირდა ერთ საყვედურათ.

**დემოკრატია**

ერთხელ სოფლის საბჭოს დეპუტატიც ვიყავი და... უნდა ევირჩიოთ საბჭოს თავმჯდომარე. დაგვიძახეს კრებაზე. მივედით, მევიდა რაიკომის მდივანი და, ჩვენო ვიმსჯელეთო და გადავწყვიტეთ, რომეო, ეს კაცი უნდა იყოს საბჭოს თავმჯდომარეო.

წადი, შენი-მეთქი და, ავდექი და გამოვტრიალდი.

- სა მიხვალ, ამხანაგო, შენ! – მიყვირა მდივანმა.

- სა, მივალ და სახლში მივალ-თქვა. შენ თუ გქონდა ყველაფერი გადაწყვეტილი, მე რაღას მომიყვანე აქანა-თქვა, - მივაძახე.

ამას გიზამ, იმას გიზამო, დეიწყო ბოდიალი. ფეხებს ვერ მომჭამ ძირში-თქვა და მაგის უფლება რო არ გქონდა, აქეთ განახებ სეირს-თქვა, დევემუქრე ვითომ.

მეერიდა მაინც ზედმეტ გახმაურებას და კაცი მომიგზავნა. კაი კაცი იყო, ერთი, სევასტია. რათ გინდა, ახლა, ჯუსტალია, რას მეიგებ მაგითიო, დეიწყო საწყალმა.

გემეცინა.

**ჯარი**

ჯარშიც მაგრა გვიხაროდა არჩევნები. იმ დღეს დემოკრატიის დღეს უძახდნენ, არ გვამუშავებდნენ, ერთი საათით მეტს გვაძინებდნენ, "პადიომს" არ ყვიროდნენ, მუსიკით გვაღვიძებდნენ, "პარადნი" ფორმას გვაცმევდნენ, "სტრაევოითი" არ გვატარებდნენ, კარაქს ორმაგს გვაძლევდნენ და კაი "პრაზდნიჩნი" ნამცხვრებსაც გვირიგებდნენ. "უვალნენიაშიც" მივყავდით. მეტი რა გვინდოდა "სალდატებს".

**რუსეთი**

რუსეთში რო ვმუშაობდი, "შახტაში", ერთი უფროსი გვყავდა, თბილისელი სომეხი.

არჩევნებია და... მევიდა ამოწკეპილ "აზიაცკებში" გამოპრანჭულ ცოლ-შვილთან ერთად. ჩააგდო ქაღალდი. ვართ ახლა შეკრებილი, უსმენთ მუსიკას და იწყება უცებ ჩვენებური საცეკვაო. ამ სომეხს მიუცია "ზაკაზი". გადმოხტა წრეში და მიძახის, გამოდი ჯუსტალია, ამგენის დედა ვატირე, ვანახოთ, რა ბიჭები ვართო. ვიცეკვეთ, მარა რა ვიცეკვეთ. გადავრიეთ რუსი ქალები.

**გამოსავალი**

ახლა ბიჯო... ვაი მაგენის პატრონს?!

ამომრჩეველი

# ხელისუფლების ცვალებადობა - დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპი

ბორის ცოცხალაშვილი

"ქვეყნის დემოკრატიული მმართველობა შეიძლება არ არის უნაკლო, მაგრამ უკეთესი კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია" - ეს სიტყვები ეკუთვნის XX საუკუნის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს უინსტონ ჩერჩილს.

ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე პლატონი, 25 საუკუნის წინ ცდილობდა, ჩამოეყალიბებინა იდეალური სახელმწიფოს მოდელი. მან განიხილა სახელმწიფო მოწყობის ხუთი შესაძლო ვარიანტი და დემოკრატია მეოთხე პოზიციაზე დააყენა, მხოლოდ ტირანიაზე მაღლა.

იცვლება დრო, იცვლება შეხედულებები. კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დემოკრატია, რომელიც დიდად არ განსხვავდება პლატონისეულისაგან, მართვის საუკეთესო ფორმად არის მიჩნეული, განსაკუთრებით - თუ უზენაესი ძალაუფლების მქონე "დემოსი", ხალხი, თვითშეგნების დონით სრულად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს.

დემოკრატიულ წყობას ნამდვილად გააჩნია მრავალი მიმზიდველი მხარე და ამათგან უპირველესია არჩევნების მეშვეობით მოსახლეობის უშუალო მონაწილეობა ქვეყნის მართვის პროცესში. მოსახლეობა ირჩევს ქვეყნის წინამძღოლებს, აღჭურავს სათანადო უფლებებით, მაგრამ იმავდროულად აკონტროლებს მათ ქმედებებს. და თუ არჩეულები ვერ ამართლებენ ნდობას და ღალატობენ მას, ხალხს აქვს სხვა არჩევანის, ანუ ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობა.

როგორც წესი, ხელისუფლების შეცვლა არ არის თვითმიზანი, ის განპირობებულია რიგი ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებით. ცნობილია, რომ თითოეული ადამიანი კონკრეტული პიროვნული თვისებების მატარებელია. ხდება ხოლმე, რომ მშვიდ ვითარებაში სიდინჯითა და გამჭრიახობით გამორჩეული მმართველი იბნევა და კარგავს წონასწორობას ექსტრემალურ სიტუაციაში, დიდი მეომარი შეიძლება უსუსური იყოს მშვიდობიანი ყოფითი საკითხების გადაწყვეტაში, წარმატებული ფინანსისტი ვერ ერკვეოდეს პოლიტიკის ნიუანსებში, ბრწყინვალე მეცნიერი ვერ ფლობდეს ქვეყნის მართვის საიდუმლოებებს და ა.შ. ყოველ პიროვნებას საკუთარი ადგილი აქვს მისაგნები საზოგადოებრივ იერარქიაში და მისი კვალი ისტორიაში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად სწორად მოახერხებს ამის გაკეთებას...

დავუბრუნდეთ დემოკრატიის თემას. ზოგადად დემოკრატია არ გამორიცხავს შეცდომას და ქვეყნის სათავეში უუნარო ან უღირსი ადამიანების მოსვლას. ეს შეიძლება მრავალი მიზეზით იყოს გამოწვეული. მაგრამ დემოკრატიის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს შეცდომის დროულად გამოსწორების შესაძლებლობაში, ითვალისწინებს რა ხელისუფლების პერიოდულ ცვალებადობას მშვიდობიანი გზით.

არის მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც ხელისუფლება აქტიურად, ყველა ხერხით ეწინააღმდეგება მის შეცვლას - თუ ის კორუმპირებულია (მართებულად მიუთითებს რუსი მწერალი ედუარდ ტოპოლი: "არც ერთი კორუმპირებული ხელისუფლება არ გამოაცხადებს თვითლიკვიდაციას და არ გადადგება"), ან თუ ეს არის ტირანია - არც ერთი ტირანი არ დათმობს ძალაუფლებას ნებაყოფლობით. ნიშანდობლივია, რომ დიქტატორული (მაგრამ არა ტირანიული) რეჟიმები თავად გამოსულან დემოკრატიული რეფორმების განხორციელების ინიციატორებად, მაგალითად გენერალი პინოჩეტი ჩილეში ან ფრანკო - ესპანეთში.

ხელისუფლების შეცვლა განსაკუთრებით მიზანშეწონილი და აუცილებელიც არის სამ შემთხვევაში:

1. თუ ქვეყნის პრობლემები ქრონიკულ ხასიათს იძენს და არსებული მმართველობა ვერ (ან არ) აგვარებს მათ;

2. თუ კორუფციის დონე აჭარბებს კრიტიკულ ზღვარს და ხელისუფლება ვერ (ან არ) ახერხებს მის დაძლევას;

3. თუ ხელისუფლება კარგავს ხალხის ნდობას, ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს და ამუხრუჭებს მის განვითარებას.

ასეთ შემთხვევებში წარმოიქმნება და ღრმავდება კონფლიქტი ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რაც იწვევს ჯერ მოსახლეობის ცალკეული ფენების უკმაყოფილებას, შემდეგ კი საყოველთაო პროტესტს, რომელიც ანტაგონისტურ დაპირისპირებაში გადაიზრდება ხოლმე და რევოლუციებით მთავრდება.

ნათელია, რომ საქართველოს რეალობაში ჩამოთვლილი ფაქტორები სახეზეა და მდგომარეობა წლიდან წლამდე არ უმჯობესდება. ხელისუფლებამ გაცილებით ნაკლები გააკეთა, ვიდრე მოეთხოვებოდა. ქვეყნის უახლესი ისტორიის უკანასკნელი პერიოდის ზერელე ანალიზიც კი ადასტურებს კრიზისული ვითარების შექმნას. აშკარაა, რომ მართვის სტრუქტურა და მეთოდები, რომლებიც 1997-98 წლამდე კიდევ ახერხებდნენ მეტ-ნაკლებად წარმატებულ ფუნქციონირებას, აბსოლუტურად არაეფექტური გახდა, 2004 წლისთვის ქვეყანა შევიდა სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩიხში.

მოუგვარებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. როგორც ირკვევა, ხელისუფლებას არ გააჩნია ქმედითუნარიანი გეგმა, რომელიც რეალურ შედეგს გამოიღებს. პასიური დაკმაყოფილება იმით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები აღიარებენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, არ არის საკმარისი დაკარგულ რეგიონებზე იურისდიქციის გასავრცელებლად, პრობლემის გაჭიანურება დროში კი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მუშაობს.

სერიოზული დაფიქრების საგანია გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაცია და გართულებული ურთიერთობები რუსეთთან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლების კურსის და პოზიციის ხშირი ცვლა არის ერთგვარი დაბნეულობისა და მოვლენების არასწორი შეფასების შედეგი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მთავრობის არათანმიმდევრული დამოკიდებულება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და შეიარაღებული ფორმირებების, მათ შორის სამშვიდობო ძალების მიმართ. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ქართული სახელმწიფო სრულყოფილად ვერ შედგება, სანამ მის ტერიტორიაზე იმყოფება რომელიმე სხვა ქვეყნის შეიარაღებული შენაერთები.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქართული ეკონომიკის არსებული მდგომარეობა. წლების მანძილზე ვერ შემუშავდა ეკონომიკური გაჯანსაღების პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სტრატეგიულ პრიორიტეტებზე და პოტენციურ შესაძლებლობებზე, რაც უზრუნველყოფდა ეკონომიკის ჰარმონიულ განვითარებას. ძირითადი აქცენტის გაკეთება არასამეწარმეო სფეროზე, ნავთობ და აირსადენებზე და "ტრასეკას" სატრანსპორტო დერეფანზე, მავნებელია ქვეყნის მომავლისათვის და შეურაცხმყოფელი - მოსახლეობისათვის, რომლის გონებრივი და შემოქმედებითი უნარი გაცილებით მეტს იმსახურებს.

ვისაც მიაჩნია, რომ 10-12 წელიწადი არასაკმარისია ეკონომიკის აღორძინებისათვის, შევახსენებ, რომ მეორე მსოფლიო ომში თითქმის მთლიანად თუ ნაწილობრივ განადგურებულ გერმანიაში, იაპონიაში, იტალიაში ორმოცდაათიანი წლების შუაგული, 1953-55 წლები, ხასიათდება, როგორც ეკონომიკური ბუმის პერიოდი და სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ამ ქვეყნების დღევანდელ ძლიერებასა და კეთილდღეობას.

ხელისუფლებამ ვერ შეძლო, პრაქტიკულად, ვერც ერთი პრობლემის (ენერგეტიკა, წიაღისეულის მოპოვება, გადამამუშავებელი მრეწველობა და სხვა) მოგვარება. ის, რაც გაკეთდა, არის ცალკეული მეწარმეების დიდი ძალისხმევისა და მეცადინეობის შედეგი, რიგ შემთხვევაში მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად და არა ხელშეწყობით.

ანალოგიური მდგომარეობაა სოციალურ სფეროშიც. ძირითადი სოციალური პრობლემების სიმწვავე, საერთო სიდუხჭირის ფონზე, ძალზე მძიმე მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობას, განსაკუთრებით - პენსიონერებს და მოზარდებს.

ახლა კიდევ ერთხელ გავიაზროთ, არის თუ არა შესაცვლელი ხელისუფლება? ვერავინ უარყოფს, რომ ხელისუფლება მოქმედებს შაბლონური სტერეოტიპებით და იმეორებს ერთსა და იმავე შეცდომას, თუნდაც (და არა მარტო) საბიუჯეტო სფეროში. კორუფციის დონემ მიაღწია უზარმაზარ ნიშნულს და მთავრობა, ფაქტობრივად, აღიარებს საკუთარ უძლურებას. წლების მანძილზე არ იფარება ხელფასებისა და პენსიების დავალიანებები და ეს იმ დროს, როდესაც მათი ოდენობა სიმბოლურ ხასიათს ატარებს და ოდნავადაც არ შეესაბამება ცხოვრების დონეს.

ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ სახელმწიფო ვერ უქმნის მოსახლეობას თავისი შესაძლებლობების სრული გამოყენების პირობებს. მეცნიერები, კვალიფიციური სპეციალისტები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, სპორტსმენები ვერ სარგებლობენ სახელმწიფოსაგან სათანადო ხელშეწყობით და ისევე, როგორც შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი, იძულებული ხდებიან, დატოვონ სამშობლო და სხვა ქვეყნებში იმოღვაწეონ.

მკითხველი თავადაც მრავალ მაგალითს და ფაქტს გაიხსენებს ყოველივე ზემოთქმულის დადასტურებისათვის.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს "გონება გაუნათდებათ და თვალები აეხილებათ". მომდგარი არჩევნები რაღაცის შეცვლის შანსია, შესაძლოა ძალზე მცირეოდენის, მაგრამ შეცვლისა. არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით, არ აღიქმება კატასტროფად და ტრაგედიად, რადგან ეს პროცესი თვით დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპით არის გათვალისწინებული.

ხელისუფლების პერიოდული ცვალებადობა კი:

1. წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უცილობელ პირობას;

2. გამორიცხავს მართვის სტერეოტიპული მეთოდების დამკვიდრებას;

3. არის კორუფციის დონის შემცირების მთავარი ფაქტორი;

4. იძლევა ქვეყნის განვითარების სხვა ხედვისა და პროგრესული იდეების განხორციელების საშუალებებს;

5. ხელს უწყობს ქრონიკული პრობლემების გადაწყვეტას ახალი გზებისა და მეთოდების გამოყენებით;

6. განაპირობებს საზოგადოების "ინტელექტუალური ელიტის" პოტენციალის წარმართვას არა რომელიმე კონკრეტული მმართველის, არამედ მთლიანად ქვეყნის ინტერესებისაკენ;

7. აფართოებს ქვეყნის მმართველობაში მონაწილეთა წრეს;

8. გამორიცხავს მოსახლეობის ფართო ფენებში ე.წ. "მონური ფსიქოლოგიისა და აზროვნების" დანერგვა-დამკვიდრებას;

9. ამაღლებს ადამიანთა პასუხისმგებლობისა და ღირსების გრძნობებს;

10. აძლევს გადამდგართ საშუალებას, გაანალიზონ და შეაფასონ საკუთარი შეცდომები.

და კიდევ მრავალ პოზიტიურ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე.

მე შორს ვარ აზრიდან, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლა უზრუნველყოფს სასწრაფო ცვლილებებს და ხვალვე ყველაფერი გამოსწორდება, მით უმეტეს, რომ პოლიტიკურ ძალთა განლაგება და პრეტენდენტთა წრე არ იძლევა განსაკუთრებული ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ ეს იქნება პირველი ნაბიჯი გზაზე, რომელიც აუცილებლად არის გასავლელი.

დავფიქრდეთ ამაზე...

# "...და მიცურავს გემი..."

## ერთად გადავდგათ (ერთს+ათი) ნაბიჯი თავისუფლებისაკენ

მერაბ ხვიჩია

წინასაარჩევნოდ განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა მაძიებელთა მოჭარბება-გააქტიურება. ნახევარი საქართველო იბრძვის სანუკვარი მანდატისთვის, მეორე ნახევარი კი გაოგნებული შესცქერის ამ საშინელებას, წვერებიანი და საოცრად უგემოვნო კლიპების სახით. ვის არ შეხვდებით პრეტენდენტთა შორის. უმთავრესი მიზანი, ალბათ, საკუთარი პერსონისა და ქონების ხელშეუხებლობის გარანტია გახლავთ. ხოლო ხელშესახები და ბორკილდასადები, მაძიებელთა შორის, მნიშვნელოვანი პროცენტია.

სამწუხაროა, რომ არაეთიკურად და პროფესიული უვიცობის მაჩვენებლად ითვლება წინასაარჩევნოდ კონკრეტული საუბრები. მრავალ მოსაზრებათა გამო, იძულებული ხდები ისაუბრო მინიშნებებით, იმედად კი მკითხველის მიხვედრის უნარი დაგრჩენია. ვნახოთ, მოხერხდება თუ არა ამ შემთხვევაში.

შესავალი და წინასიტყვაობა შემთხვევით არ კეთდება. ცხოვრება გვარწმუნებს, იმაშიც, რომ შემთხვევით არაფერი ხდება, ძალა-უფლებისა და ქონების შენარჩუნებაზე საუბარიც არ იყო შემთხვევითი. საქმე ის გახლავთ, რომ ა. წ. 15 ოქტომბერს, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კინოს სახლში გამართულ შეხვედრაზე, გამოხატეს საკუთარი ნება ეთანამშრომლათ არჩევნებში გამარჯვებულ იმ პარტიებთან და პიროვნებებთან, რომლებიც გაიზიარებდნენ მათ მიერ შეთავაზებულ ათ ნაბიჯს, თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნულ ათ ნაბიჯს აკლდა ერთი უმთავრესი, რომლის გარეშეც დანარჩენის გადადგმა ვერ მოხერხდება. ეს ერთი კი შემდეგში მდგომარეობს: ახლადარჩეულმა პარლამენტმა პირველივე სხდომაზე უნდა გააუქმოს იმუნიტეტი როგორც პარლამენტის წევრს, ისე ყველა პოლიტიკური თანამდებობის პირს ქვეყანაში. ალბათ, იდეის ავტორებიც დამეთანხმებიან, რომ შეუძლებელია სხვათა გონებასა და პასუხისმგებლობაზე საუბარი, საკუთარი პასუხისმგებლობის განსაზღვრის გარეშე. მგონი არ იქნება ურიგო, აღნიშნულ ათ ნაბიჯს ერთიც დავუმატოთ თუ თავში არა, ბოლოში მაინც. თქვენ ჯვარი გწერიათ და ბოლშევიკური პროგრამა, სწორედ იმიტომ აღმოჩნდა უტოპიური და განუხორციელებელი, საკუთარი პასუხისმგებლობის ჩადება რომ დაავიწყდათ, თორემ იცოცხლე, კარგია, მიწაგლეხს, ქარხანა-მუშას, თანასწორობა, ძმობა, ერთობა - ზღაპარი საშინელი სინამდვილით.

### არჩევანი თქვენ, ანუ განსნეულება.

როგორ და რა პრინციპით უნდა იხელმძღვანელო, რათა საბოლოოდ მოიცილო ავადმყოფობა, უმნიშვნელოვანესი საკითხია. პრობლემებით გადაღლილი ადამიანებისათვის, რომლებსაც ფიქრის დროც არა აქვთ, რთულია სწორი გადაწყვეტილების მიღება, მით უფრო მაშინ, როცა ყველა გპირდება და გაიმედებს. იმასაც არ გაემტყუნება, უკიდურესი გაჭირვების გამო, სამოწყალოდ გადადებულ ლუკმას რომ დახარბდება და გაიყიდება, თან ნანობს, რამდენიმე ადამიანად რომ არ მოევლინა ქვეყნიერებას. მათთვისაც არის გამოსავალი, უარყოს მომსყიდველი, არ უღალატოს საკუთარ თავს და პრინციპებს, გადამწყვეტ მომენტში მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. პირადად ჩემი არჩევანი ცალსახა და მკაფიოა, სულ ორი-სამი ძალა იქნება-თანაბრად რომ ვანდობდი ქვეყნის ბედ-იღბალს. იმდენად მწირია არჩევანი, რომ მათ გარდა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ქვეყნის ერთგულ ძალას ძნელად მოძებნი. გადაწყვეტილებამდე მისასვლელად, ერთი პრინციპით ვიხელმძღვანელე, რომლის შესახებ მსურს გიამბოთ.

ფეხბურთში საქართველოს პირველობის ერთ-ერთ შეხვედრას ვესწრებოდი "დინამოს" სტადიონზე. ერთ, ცნობილ, ფეხბურთში მოღვაწე თბილისელთან ვიჯექი ტრიბუნაზე. ჩვენი იქ ყოფნის მანძილზე მრავალი ნაცნობი შეხვდა, ყველა ეკითხებოდა ამა თუ იმ ახალგაზრდა ფეხბურთელის შესახებ, რას იტყვი, გამოვა მისგან ფეხბურთელიო? ჩემი ნაცნობი ხელებს შლიდა და ღიმილით პასუხობდა: აბა, მე რა ვიციო. როცა ერთი და იგივე რამდენჯერმე განმეორდა, ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ვკითხე: "თუ არ იცი, რატომ გეკითხებიან?" მან მიპასუხა: "ადრე რამდენჯერმე მაქვს ნათქვამი, ვისგან არ დადგებოდა მოთამაშე, გაამართლა და ამათ ჰგონიათ, იმის გამოცნობაც შემიძლია, ვისგან დადგება ფეხბურთელი, ეს ორი კი, აბსოლუტურად განსხვავებული პროგნოზია, მე რომ ეგ შემეძლოს, რაღა მიჭირდა, ფეოლა ვიქნებოდი".

მართლაც, ძალზე რთულია იმის წინასწარ განჭვრეტა, ვინ ივარგებს და ვისგან დადგება ქვეყნის მომავალზე მზრუნველი პოლიტიკური ძალა თუ მოღვაწე. ამას ხომ დაპირებებით ვერ განსაზღვრავ, პროგრამებიც იდეალურია, მოდი და იმარჩიელე, მაგრამ იმის მიხვედრა კი ნამდვილად შესაძლებელია, ვისგან აღარ დადგება არაფერი და ვის აღარ შეიძლება ვენდოთ. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ცალკეული პარტიებისა და პიროვნებების მიერ განვლილ გზას და კარგად ჩავუკვირდებით მათივე ცხოვრების წესს. მივყვეთ გამორიცხვის მეთოდს და ადვილად დავასკვნით, რომ აღარ უნდა ვენდოთ იმას, ვინც:

არაფერი იღონა იმისათვის, რათა ელემენტარული პირობები შეექმნა მოსახლეობისთავის (იგულისხმება შუქი და სითბო, პური და წყალი);

გააფთრებული ზრუნავდა საკუთარი შემოსავლების გაასმაგებაზე, ხოლო უმწეო პენსიონერებისათვის 14 ლარის გაორმაგებაც კი არ მოინდომა;

დანგრეულ და გალატაკებულ ქვეყანაში, თანამდებობაზე დანიშვნას რომ ხვევნა-კოცნითა და ტაშ-ფანდურით აღნიშნავდა (ნეტა რა ახარებდა, უნდა წყენოდა);

დანიშვნიდან სამი-ოთხი თვის შემდეგ, წონაში რომ სამმაგად იმატებდა და ტელევიზორის ეკრანზე აღარ ეტეოდა;

ორასლარიანი ხელფასით მილიონებიანი ქონება რომ დააგროვა და მაინც ვერ გაძღა (უკაცრავად);

სამოქალაქო დაპირისპირების მაპროვოცირებელი და გამჩაღებელი იყო;

ქვეყნის ტერიტორიები გაანიავა (პირდაპირ თუ ირიბად) შორეულ თუ ახლო წარსულში;

პანკისისა და კოდორის პრობლემები შექმნა;

საკუთარი ქვეყნასა და ხალხს მრავალჯერ უღალატა;

არასრულწლოვან მაწანწალათა და მეძავთა მფარველი იყო;

ნარკობიზნესსა და მსგავს სიბინძურეებს მფარველობდა;

თბილისი ბაზარ-ქალაქად გადააქცია;

ისევ საბჭოური წესის მიმდევარი და დიადი საბჭოეთის აღდგენის (ნუ გაგეცინებათ) მსურველია;

ანაბრებისა და საპენციო თანხების მიმთვისებელია;

ქვეყნისთვის განკუთვნილი კრედიტებისა და დახმარებების დამტაცებელია;

მატყუარებს, დემაგოგებს, მრავალ სხვა ცრუს, ფსევდოს და მიტმასნილს, რომელთა გახსენებაც საჭირო აღარაა, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ რაიმე გამომრჩა, ჩემდაუნებურად. ყველას შეუძლია, თავისი ჩაამატოს და ისე იფიქროს. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ თუ კი არსებობენ ძალები, რომლებიც მსგავს დანაშაულებებში არ არიან შემჩნეულნი, სწორედ მათ უნდა დავუჭიროთ მხარი და ნდობა გამოვხატოთ. ასეთის მოძებნა, ალბათ, ძალიან ძნელია, თუმცა - შესაძლებელი. მგონი არ უნდა იყოს ურიგო, არჩევანისას აღნიშნული პრინციპით ხელმძღვანელობა.

### ნიჰილიზმი

მაინც მგონია, რომ ნიჰილიზმს, დიდი ხნის მანძილზე უნამუსობასა და უსამართლობის ატმოსფეროსა და გარემოში ცხოვრება წარმოშობს. ჩვენს შემთხვევაშიც ეს უნდა იყოს მიზეზი. მაგრამ, მიუხედავად დღევანდელობისადმი უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულებისა და უდიდესი დოზით ნიჰილიზმის არსებობისა, ვერ ვიტყვი უარს მოვალეობის მოხდაზე ქვეყნისა და მომავლის წინაშე. ამასვე ვურჩევ ყველა ნიჰილისტს საქართველოში, მოსახლეობის 40%-ს რომ შეადგენენ. ამის თქმის საფუძველს, 1992 წლიდან დღემდე ჩატარებული ყველა არჩევნების სტატისტიკური მონაცემები იძლევა, 60%-ზე მეტი არც ერთ არჩევნებში არ მისულა. გარკვეული ფიქრის შემდეგ, ვაღიარე, რომ უმრავლესობა ნიჰილისტებისა ჩვენში იარაღის ძალით თავზე დამხობილი, საკუთარი ხმის, ნებისა და ხელისუფლების შეურაცხყოფას დღემდე ვერ შეეგუა. აუცილებელი იყო თუ არა, ამ სახით მსგავსი პრეცენდენტის დაშვება, ეს საკითხის მეორე მხარე და ცალკე სერიოზული მსჯელობის საგანია. ხელისუფლებამ ადამიანები იმის ღირსად მაინც უნდა ჩათვალოს, რომ დაარწმუნოს გადაწყვეტილების აუცილებლობაში, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ გაკეთებულა, ყოველ შემთხვევაში, ძლიერი და დამაჯერებელი არგუმენტები არ გამოთქმულა. ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ნიჰილიზმის დანერგვა ქვეყანაში.

დღეს ხშირად გაიგონებთ კამათს იმაზე, თუ ვის აქვს გამარჯვების მეტი შანსი არჩევნებში. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ის ძალა, რომელიც ამ ადამიანებს რწმენას დაუბრუნებს და პოლიტიკურად აქტიურს გახდის, მუდამ გამარჯვებული იქნება. მხოლოდ "მსურველებმა" ერთი რამ უნდა გაითვალისწინონ - მათ მოტყუებას და გაბრიყვებას ნურავინ მოინდომებს, ეს შეუძლებელი იქნება, იმდენად თავმოყვარე და წესიერ ადამიანებთან გექნებათ საქმე. ვიცი, რომ ერთ რიგით მოკვდავს არაფრის შეცვლა არ შეუძლია, თუმცა იმის იმედი, რომ ეს ადამიანები, ძალიან მნიშვნელოვან მომენტს იგრძნობდნენ და შემობრუნდებოდნენ, ყოველთვის არსებობდა. დაღესაც არსებობს. ყოველ შემთხვევაში დღეს ეს ისეთი აუცილებელია, როგორც არასოდეს.

### "... და მიცურავს გემი..."

საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს, კარგად უნდა ახსოვდეთ ფედერიკო ფელინის ფილმი, სიურეალიზმის ჭეშმარიტი ნიმუში, ფილმი ყველაფერზე და იმავდროულად არაფერზე, მანკიერებებზე და იმავდროულად სიკეთეზე. განსაკუთრებულია ფილმის ფინალი: განათებული და განსაკუთრებულად ლამაზი გემი ნისლში მოცურავს. გემიდან უხვად იღვრება სადღესასწაულო განწყობილებები, ვერ ვხედავთ პერსონაჟებს, არ კონკრეტდება დრო და ადგილი, მიეხეტება თითქოს ყველაფრისაგან მოწყვეტილი და არ იცის, საით. სიცილ-ხარხარითა და მუსიკის თანხლებით ჩაუვლის მწარე რეალობას, ცხოვრება რომ ჰქვია. არავინ იცის, თუ ვის და რას ემსახურება გემი მოჩვენება.

სამწუხაროა, მაგრამ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, რაღაც ამ გემის მსგავსი დაცურავს ქართულ წყლებში. ხან გადის, ხან შემოდის. პერსონაჟებიც უფრო რეალური და კონკრეტულია თითქოს. ჩვენს გემზე მხიარულობაც მეტია. გემზე მყოფი მგზავრები არ განსხვავდებიან დიდად - სხვათა ხარჯზე სიამოვნებების მაძიებელნი, უსაზღვრო ძალაუფლების მოსურნენი, სხვათა უბედურების არად ჩამგდებნი. ალბათ, დადგა დრო, როცა გემი (იგულისხმება ჩვენი), რომელსაც ჩემი ღრმა რწმენით, კაპიტანი არ ჰყოლია და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა (რადგან ჩვენში ყველა ადმირალია), ნისლს უნდა გავაყოლოთ, მშვიდად მოვაცილოთ ქართულ სინამდვილეს. იცუროს სადაც უნდა, თან გაიყოლოს ყოველგვარი მანკიერი და ბინძური. მართალია, საერთოდ გემის გარეშე დავრჩებით, მაგრამ ნამდვილად გვიღირს, თუ გავითვალისწინებთ, გემზე მყოფთა "მნიშვნელობას". არავითარი ისტერია, შურისძიება და ხმაური. მხოლოდ ერთადერთი კატეგორიული მოთხოვნა - ისინი აღარასოდეს დაბრუნდებიან იმ ქვეყანაში, სათარეშოდ რომ გაიხადეს წლების განმავლობაში. სადმე სხვაგან ააშენონ თავისთვის ახალი ქვეყანა. გაივლის დრო და მათ ისე გავიხსენებთ, როგორც უსიამოვნო სიზმარს ან საშინელებათა ფილმს.

რაც შეეხება რიგით მოკვდავებს, იმათ ვისაც არასოდეს გაუმართლა, ვინც ვერასოდეს შეძლო გემით სეირნობა და კრუიზები, თხოვნით მივმართავ, კვლავ ერთგულად განვაგრძოთ წვალება-შენების პროცესი. შევეცადოთ, აღარ დავუშვათ საშინელების განმეორება; გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ უნიჭიერეს და ულამაზეს მომავალს, რომელიც გვეზრდება; აღარასოდეს ჩავუგდოთ ხელში მეკობრეებს ამ ქვეყნის ხვალინდელი დღე. საშიშროებას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ავიცილებთ თავიდან, თუ ერთხელ და სამუდამოდ მოვიცილებთ სნეულებას, თუკი ყველა ერთად გავაკეთებს ერთადერთ სწორ არჩევანს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
საია GYLA
Georgian Young Lawyers' Association

## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გაცნობებთ:

# კანონი გაძლევს უფლებას! დაიცავი ეს უფლება!

# შვიდი ნაბიჯი

## არჩევნებში ხმის მისაცემად







**არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საკმარისი არ არის გვქონდეს ხმის მიცემის უფლება, სასურველია ვიცოდეთ ხმის მიცემის წესი და პროცედურა, რაც ჩვენი საარჩევნო უფლების რეალიზების რეალური გარანტიაა.**

კენჭისყრა იმართება არჩევნების დღეს 8 საათიდან 20 საათამდე. კენჭისყრის ჩატარების დრო და ადგილი, როგორც ამომრჩეველს, უნდა გეცნობოთ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა ამომრჩევლის ბარათის გადმოცემით.

**თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. არავის აქვს სხვის ნაცვლად ხმის მიცემის უფლება.**

კენჭისყრის ოთახში შესვლის შემდეგ, თქვენ უნდა მიხვიდეთ იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში თქვენი რიგითი ნომერი.

არჩევნებში მონაწილეობა შეგიძლიათ მიიღოთ იმ შემთხვევაში, თუ თან გაქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი დოკუმენტი:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
- საქართველოს პასპორტი, ასევე სსრ კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტი, თუ მასში აღნიშნულია რეგისტრაციის ადგილი;
- სამხედრო ბილეთი;
- დევნილის მოწმობა;
- შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ამომრჩევლის მოწმობა;

ხმის მიცემის პროცედურა უნდა ჩატარდეს შემდეგი წესისა და თანმიმდევრობის დაცვით:

### ნაბიჯი პირველი

კენჭისყრის ოთახში შესვლამდე, ყველა ამომრჩეველი აუცილებლად **გადის შემოწმებას მარკირების არარსებობის დასადასტურებლად.**

### ნაბიჯი მეორე

მარკირების არარსებობის შემოწმების შემდეგ, კენჭისყრის ოთახში უნდა შეხვიდეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ სარეგისტრაციო მაგიდასთან სამზე ნაკლები ამომრჩეველი დგას.

### ნაბიჯი მესამე

ამომრჩეველთა სიაში სათანადო მონაცემების შეტანის შემდეგ, ხელმოწერით უნდა დაადასტუროთ საარჩევნო ბიულეტენების მიღება. ბიულეტენების გაცემისას რეგისტრატორმა ხელი უნდა მოაწეროს ამომრჩეველთა სიას და ბიულეტენის უკანა გვერდზე სათანადო გრაფას.

### ნაბიჯი მეოთხე

მიღებული ბიულეტენები უნდა მიიტანოთ განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, სადაც მას ხელმოწერით დაამოწმებს შესაბამისი კომისიის წევრი;

### ნაბიჯი მეხუთე

ბიულეტენების დამოწმების შემდეგ, უნდა შეხვიდეთ ფარული კენჭისყრის კაბინაში და შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი. შევსების შემდეგ, ბიულეტენი უნდა დაიკეცოს ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა.

### ნაბიჯი მეექვსე

დაკეცილი ბიულეტენი უნდა მიიტანოთ თვალსაჩინოდ მდგარ მაგიდასთან, სადაც დამმოწმებელი კომისიის წევრი სპეციალური ბეჭდით ამოწმებს ბიულეტენის უკანა გვერდზე ხელმოწერების არსებობას და, მათი არსებობის შემთხვევაში, სპეციალური ბეჭდით დაამოწმებს მას. თქვენ უნდა გადმოგეცეთ ხელმოწერილი და იმავე ბეჭდით დამოწმებული სპეციალური კონვერტი (სპეციალურ კონვერტს ასევე ხელი უნდა მოაწეროს იქვე მყოფმა საამისოდ წილისყრით გამოვლენილმა კომისიის წევრმა.) **ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს მარკირება:**

**რას გულისხმობს მარკირება?** მარკირების პროცედურა ითვალისწინებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი და თვალით უხილავი ქიმიური საღებავის წასმას ამომრჩევლის მარჯვენა ხელის საჩვენებელი ან ცერა თითის ფრჩხილზე.

თუ საარჩევნო კომისიის წევრს ან დამკვირვებელს ეჭვი შეეპარება მარკირების სისწორეში, მას უფლება აქვს და თქვენც ვალდებული ხართ, განმეორებით გაიაროთ მარკირების პროცედურა.

**მარკირების გავლის შემდეგ, უფლება არ გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ კენჭისყრაში იმავე ან სხვა საარჩევნო უბანზე.**

### ნაბიჯი მეშვიდე

დამოწმებული ბიულეტენი უნდა ჩადოთ სპეციალურ კონვერტში და ჩააგდოთ საარჩევნო ყუთში.

**იკრძალება საარჩევნო ყუთთან ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა.**

საარჩევნო ყუთთან უნდა იდგეს საარჩევნო ყუთზე ზედამხედველი კომისიის წევრი. მას დახურული უნდა ჰქონდეს კონვერტის ჩასაგდები ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ თქვენ მხოლოდ ერთი კონვერტი გაქვთ ხელში.

საარჩევნო კოდექსით აკრძალულია საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას სხვა პირის დასწრება, მაგრამ თუ თქვენ არ შეგიძლიათ დამოუკიდებლად შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, შესაძლებელია ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა; კანდიდატისა; საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა; დამკვირვებლისა;

თუ საარჩევნო ბიულეტენი ხმის მიცემის დროს **გაგიფუჭდათ,** ამის შესახებ უნდა აცნობოთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და ჩააბაროთ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი, ასევე კონვერტი და მიიღოთ ახალი. გაფუჭებულ ბიულეტენს თქვენი თანდასწრებით უნდა ჩამოეჭრას კუთხე, წაეწეროს "გაფუჭებულია", რის შემდეგაც მას ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.

თუ თქვენ ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე კომისიის წევრი ან დამკვირვებლები მოგთხოვენ უჩვენოთ, რომ ხელთ გაქვთ მხოლოდ კანონით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და კონვერტი, მათ ამის უფლება აქვთ და თქვენც ვალდებული ხართ დააკმაყოფილოთ მათი მოთხოვნა.

არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობა დაიკეტება 20 საათზე. თუ თქვენ ამ დროისათვის დგეხართ ამომრჩეველთა რიგში, შეგიძლიათ განახორციელოთ ხმის მიცემა.

თქვენ, როგორც ამომრჩეველი, შეგიძლიათ იმყოფებოდეთ კენჭისყრის შენობაში ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

**კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანში უნდა არსებობდეს ჩანაწერთა წიგნი, სადაც შესაძლებელია შეტანილ იქნას კენჭისყრის მიმდინარეობის თაობაზე პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები.**

თქვენ, როგორც ამომრჩეველს, უფლება გაქვთ კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები შეიტანოთ ჩანაწერთა წიგნში, მიუთითოთ მოწმეები (მათი არსებობის შემთხვევაში), ვალდებული ხართ ჩანაწერთა წიგნში მიუთითოთ თქვენი გვარი, სახელი და მისამართი (რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით.)

**არავის აქვს უფლება, ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე რომელიმე პირს ჩანაწერი შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში.**







## შს მინისტრის საარჩევნო საჩუქარი პოლიციელებს

*შინაგან საქმეთა მინისტრმა ორი ნოემბრის არჩევნების კანონიერად ჩატარებისთვის პოლიციელებს, რომლებიც საარჩევნო უბნებში იქნებიან მობილიზებულნი, სპეციალური ბუკლეტი – პოლიციელების სამახსოვრო დაურიგა. არჩევნების დღეს ქუჩაში გამოსული პოლიციელები ბუკლეტში გაეცნობიან მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და წესებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ არჩევნების დღეს.*

- პოლიციის მუშაკს უფლება აქვს და ვალდებულია, მოქალაქეს წესრიგის დაცვა მოსთხოვოს, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, იმ შემთხვევაში, თუ ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პოლიციელს უფლება აქვს, განახორციელოს მოქალაქის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, დოკუმენტებისა და პირადი ნივთების ჩამორთმევა.

- პირადი ნივთების გასინჯვა წარმოებს ნივთების მფლობელის თანდასწრებით. გადაუდებელ შემთხვევაში ნივთები შეიძლება გაისინჯოს მესაკუთრის გარეშე, ორი დამსწრის მონაწილეობით.

- იმ შემთხვევაში, თუ დაკავების, პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს აუცილებელია აღმოჩენილი საეჭვო ნივთების და დოკუმენტების ჩამორთმევა, მათ ინახავენ სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე. საქმის განხილვის შემდეგ მათ დადგენილი წესით გაუკეთებენ კონფისკაციას ან გაანადგურებენ, ან დაუბრუნებენ მფლობელს.

- ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევისას აუცილებლად უნდა შედგეს ოქმი ან უნდა გაკეთდეს ჩანაწერი.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე პოლიციის მიერ შედგენილი მასალები უნდა გადაეცეს სასამართლოს.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკავებული პირის მოთხოვნით მის ადგილსამყოფელს აცნობებენ ნათესავებს, სამუშაო ადგილისა თუ სასწავლებლის ადმინისტრაციას.

- ადმინისტრაციული დაკავება სამ საათზე მეტ ხანს დაუშვებელია.

- დაკავებული შეიძლება იქნეს პირი, რომელიც ჩაიდენს წვრილმან ხულიგნობას ან დაარღვევს კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციის ორგანიზაციისა და ჩატარების წესს. პირი შეიძლება დაკავებული იქნეს მოსამართლის ან შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის, ან უფროსის მოადგილის მიერ საქმის განხილვამდე.

- დაუშვებელია შეკრებებისა და მანიფესტაციების აკრძალვა და შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს მოწოდებებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და დარღვევისკენ, კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და ძალადობით შეცვლისკენ, ასევე, ადგილი აქვს ომისა და ძალადობის პროპაგანდას.

## ძალოვანები განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშავებენ

გუშინ, ორი ნოემბრის არჩევნების მშვიდობიანად ჩატარების მიზნით, ძალოვანი უწყებები მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდნენ და რამდენიმე დღის განმავლობაში ამ რეჟიმით იმუშავებენ.

ძალოვანი მინისტრების განცხადებით, სტაბილურობის შესანარჩუნებლად მათი უწყებები მაქსიმალურად იქნება მობილიზებული არჩევნების წინა პერიოდში, განსაკუთრებით - არჩევნების დღეს.

პოლიციის გაძლიერებული დანაყოფები გაამაგრებენ ყველა საარჩევნო უბანს, მოსახლეობის თავშეყრის ადგილებსა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებს. სამართალდამცველები გააკონტროლებენ ცენტრალურ ავტომაგისტრალებს. თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს ცნობით, საგზაო პოლიციის 500-მდე თანამშრომელი სამი დღის განმავლობაში გზებზე წესრიგის დასამყარებლად ქუჩაში გამოვა.

საქართველოს მასშტაბით მობილიზებული იქნება შსს-ს სრული შემადგენლობა – დაახლოებით 40 ათასი პოლიციელი გააკონტროლებს სიტუაციას.

რამდენიმე დღის წინ გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც საარჩევნო მობილიზაციას მიეძღვნა, სპეციალური დირექტივა მიიღო შს მინისტრმა. არჩევნების დღეს ძირითადი დატვირთვა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე გადავა.

უშიშროების მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, 2 ნოემბრის არჩევნებთან დაკავშირებით სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებთან განსაკუთრებული ტექნიკის მობილიზება მოსალოდნელი არ არის, თუმცა მინისტრი ამბობს, რომ მისი უწყება ყველაფრისათვის მზად იქნება.

არჩევნების დროს უშიშროების სამინისტროს 1800 ოფიცერი გაძლიერებული რეჟიმით იმუშავებს. მათი მონაცემები კარგა ხნის წინ გადაეგზავნა ცესკო-ს. უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები ხმას მისცემენ საკუთარი ოფისების მდებარეობის მიხედვით, 4 საარჩევნო ოლქში, 10 საარჩევნო უბანში.

უშიშროების სამინისტროს ოფიცრები განაწილდებიან საარჩევნო უბნებში და "გადაცმულები" მოსახლეობისთვის შეუმჩნევლად იმოქმედებენ.

უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორის ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, წინასაარჩევნო პერიოდში უშიშროების სამინისტროში ორ ნოემბერს მოსალოდნელი ექსცესების თაობაზე შესულმა ინფორმაციის რიცხვმა კოლოსალურად მოიმატა. **"მოსალოდნელი არეულობის თაობაზე უშიშროების სამინისტროს გააჩნია ოპერატიული ინფორმაციები, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო არ ვაკონკრეტებთ. თეორიული შანსი იმისა, რომ ექსცესები მოხდეს, არსებობს, ამიტომაც უწყება ყველაფრისთვის მზად არის,"** – აცხადებს ნიკა ლალიაშვილი.

განსაკუთრებული რეჟიმით იმუშავებს თავდაცვის სამინისტროც. მართალია, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო შენაერთები დისლოკაციის ადგილს არ დატოვებენ, მაგრამ მოსალოდნელი არეულობის დროს სამხედრო მზადყოფნაში იქნებიან. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართველმა მესაზღვრეებმა ვალეს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს ცხრაკაციანი ჯგუფი, რომელიც ყალბი პასპორტების გამოყენებით თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას ცდილობდა. დაკავებულთაგან ყველა საქართველოს მოქალაქეა და ქუთაისის მაცხოვრებლები არიან. საქმე შემდგომი მოკვლევისთვის შინაგან საქმეთა და უშიშროების შესაბამის სამსახურებს გადაეცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში დანიშნული გლდანის ეპარქიის თავკაცის ბასილ მკალავიშვილის სასამართლო პროცესი არ შედგა. სხდომა მკალავიშვილის ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე გაურკვეველი ვადით გადაიდო. განსასჯელის ადვოკატის დავით ჯალაბაძის განცხადებით, ბასილ მკალავიშვილი ამ დროისთვის მკურნალობის კურსს გადის და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ექიმის შესაბამისი დასკვნა ჯერ არ მოიპოვება, ამიტომ პროცესის გამართვა გამართლებული არ არის. მკალავიშვილის ადვოკატი განსასჯელის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას მოითხოვს. ბასილ მკალავიშვილს 2002 წლის თებერვალში ვაშლიჯვარში სხვადასხვა სექტების კუთვნილი ლიტერატურის დაწვაში ადანაშაულებენ. მას ბრალი "სხვისი ქონების განზრახ განადგურების" მუხლით წაუყენეს, რაც 4-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მკალავიშვილს აღნიშნული ბრალდებისთვის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ წინასწარი აღმკვეთი ღონისძიება - სამთვიანი პატიმრობა მიმდინარე წლის 4 ივნისს უკვე შეუფარდა, რაც 9 ივნისს საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოში აღირიცხა 14 დანაშაული, გახსნილია - 8. მოხდა მკვლელობის მცდელობისა და ჯანმრთელობის დაზიანების თითო შემთხვევა; ხულიგნობისა და ძარცვის თითო შემთხვევა გახსნილია; მოხდა ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა; ქურდობის სამი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ეკონომიკის სფეროში ჩადენილი ერთი დანაშაული გახსნილია; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით დაფიქსირდა ხუთი შემთხვევა; ამოღებულია ორი ცეცხლსასროლი იარაღი; დაკავებულია ხუთი ძებნილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროსა და სენაკის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქურდობისათვის ძებნილი, 59 წლის გურამ ჟვანია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრებნი, 37 წლის ზურაბ ჯოგლიძე და 42 წლის გელა გობიანიძე, რომლებსაც ჩამოართვეს პისტოლეტი „ტტ" ორი მჭიდით, რვა ვაზნით და პისტოლეტი „მაკაროვი" ერთი მჭიდითა და 8 ვაზნით. **მედია-ნიუსი**

# ვის სასარგებლოდ მუშაობს დამნაშავეთა სამყარო

პირველი გვერდიდან

ქუცნაშვილის იურისტებს ყველაზე მეტი კრიმინალი "ნაციონალური მოძრაობის" მიერ საარჩევნო კომისიებში დანიშნულ წევრებს შორის აღმოუჩენიათ. თავად "ნაციონალური მოძრაობის" წევრებს სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლისგან მსგავსი განცხადების გაკეთება, ცოტა არ იყოს, აკვირვებთ:

**"კრიმინალები თუ ციხეში არ არიან, ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ბრალია,** - ამბობს "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გივი თარგამაძე, - **მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ საკუთარი ცოდვების ჩვენთვის გადმობრალება სურთ. თავად განსაჯეთ, რაიონებში ვის უჭერენ მხარს კრიმინალური ავტორიტეტები, ან პირიქით, როგორ უჭერს მხარს ხელისუფლება კრიმინალურ წრეებთან დაახლოებულ პირებს. მეტსაც გეტყვით, ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბონდო შალიკიანი, რომელსაც ხელისუფლება უჭერს მხარს, ფაქტობრივად, ყველასათვის ცნობილი ტარიელ ონიანის შვილობილია. სამაგიეროდ, საგარეჯოში, ადიგენში, ყველგან, სადაც სერიოზული კრიმინალური ავტორიტეტის მქონე ხალხი იმყოფება, ეგრეთ წოდებული, კანონიერი ქურდები, ხელისუფლების კანდიდატების სასარგებლოდ მუშაობენ".**

სხვათა შორის, მავანთა მიერ "კანონიერი ქურდების" წინასაარჩევნო პროცესში ჩართვაზე საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყეს ლაპარაკი. ეს იმ პერიოდზეა საუბარი, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის პირველ მოადგილეს თბილისის კანონიერი ქურდებისგან გაწმენდის დავალება მისცა. ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა ხმები ერთ-ერთი სახელისუფლებო კანდიდატის მხარდასაჭერად კრიმინალურ წრეებში ძალზე წონიანი რეპუტაციის მქონე "ქურდის" რუსეთიდან ჩამოსვლის შესახებ. როგორც ამბობენ, მაშინ მას, აეროპორტიდან თბილისისკენ მომავალს, ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე მყოფმა ზურაბ ჩხაიძემ ხალხი დაახვედრა და უკან დაბრუნება სთხოვა.

ამჟამად კი, ზურაბ ჩხაიძის შემცვლელი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე კრიმინალური პოლიციის დარგში რუბენ ასანიძე კვლავაც კრიმინალური სამყაროს საარჩევნო პროცესში ჩარევაზე საუბრობს:

**"ჩვენთან არსებული ინფორმაციით, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები, ამა თუ იმ პირის თხოვნით იქნება ეს, თუ გარკვეული ანაზღაურების საფასურად, დეპუტატობის ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ მუშაობენ და იმ ხალხს, ვისზეც გავლენა აქვთ, აიძულებენ, ამ კანდიდატს დაუჭირონ მხარი. ვერ ვიტყვი, რომ კრიმინალების დახმარებით მხოლოდ რომელიმე ერთი, კონკრეტული ძალა სარგებლობს. დამნაშავეთა სამყარო ერეოდა და ერევა არჩევნებში, მავანი პოლიტიკური ძალის, პიროვნების თუ სტრუქტურის ზემოქმედების შედეგად",** - აცხადებს ასანიძე, თუმცა ამატებს, რომ სერიოზული გავლენის მქონე კრიმინალები ამ პროცესებში მონაწილეობას არ ღებულობენ: **"ისინი საკუთარი საქმეებით არიან დაკავებულნი, არჩევნების საქმეებზე კი, ძირითადად, წვრილფეხობა დარბის".**

ხელისუფლების დაუფარავი მხარდამჭერი რუბენ ასანიძე, ცხადია, არ გაამხელდა, რომ, გარკვეული ინფორმაციის თანახმად, "სერიოზული კრიმინალები" სწორედაც რომ სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლოდ ცდილობენ თავიანთი გავლენის გამოყენებას.

ეგრეთ წოდებული "კანონიერი ქურდების" ინსტიტუტის შექმნის ისტორიაში ზერელედაც რომ ჩავიხედოთ, პირველი, რაც ზედაპირზე ამოტივტივდება, სწორედ მასების მართვის ხელისუფლებისეული ინტერესია.

ისე კი, კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტების არჩევანის კატალიზატორად თავისუფლად გამოდგება ის ბიულეტენები, რომლებიც საპატიმრო ადგილებში გახსნილ საარჩევნო უბნებში ჩაიყრება.

ვის მიცემს ხმას 2008 პატიმარი თუ მათი უმეტესობა, მრავლისმეტყველი იქნება. უნდა ითქვას, იმავე წარსული გამოცდილების თანახმად, კანონიერი ქურდები პატიმრებს ციხის ადმინისტრაციის ნებას ახვევენ ხოლმე თავს.



www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# გამარჯვებულებს არ ასამართლებენ?!

*გუშინ ბაქოში ილჰამ ალიევის ინაუგურაცია შედგა. საქართველოს პრეზიდენტმა ხელიდან არ გაუშვა შანსი ილჰამ ალიევისთვის პრეზიდენტად არჩევა უკვე პირადად მიელოცა. სპეციალურად "24 საათისთვის" დაწერილ წერილებში კი ჩვენმა ბაქოელმა კოლეგებმა 15-16 ოქტომბრის მოვლენების დღევანდელი გადასახედიდან დანახვა სცადეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აზერბაიჯანი არ არის, ამ დღეებში ძალიან ბევრი ითქვა იმ პარალელებზე, რომლის გავლებაც ორ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციებს შორის შეიძლება. როცა ბაქოელ ჟურნალისტებს ჩვენი გაზეთისთვის სტატიების მომზადება ვთხოვეთ, ისიც გავითვალისწინეთ, რომ თითოეული მათგანი სრულიად განსხვავებულად აღიქვამდა მომხდარს. წერილები 25 ოქტომბერსაა დაწერილი. სისხლიანი მოვლენებიდან ათი დღის შემდეგ ბაქოში სიტუაცია თანდათან წყნარდება, ხედვის კუთხე კი ერთმანეთს უახლოვდება, რაც ძალიან საგულისხმო ფაქტი გახლავთ, განსაკუთრებით - ქართული ოპოზიციისთვის და ქართველი ხალხისთვის, რომელსაც საკუთარი არჩევანის დაცვა მოუწევს.*



ქემალ ალი



ელჩინ ჰუსეინოვი

## ტრაგედია დასაწყისისა და დასასრულის გარეშე

ქემალ ალი
გაზეთ „ბირჟა პლიუსის" მთავარი რედაქტორი

ადვილია, ისაუბრო მომხდარზე ახლა, არჩევნებიდან ათი დღის შემდეგ; ისაუბრო იმ არჩევნებზე, რომლის შედეგები ასე გამოიყურება – ორი დაღუპული, ათობით დაჭრილი, ასობით დაპატიმრებული და ერთი – საპრეზიდენტო ტახტს დაპატრონებული.

მაშინ, იმ დღეებში, ემოციები ბატონობდა... დღეს კი, მოდით, შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ 16 ოქტომბრის ბაქოს ტრაგედია.

ჰეიდარ ალიევს პრეზიდენტის სავარძლის დაუფლებაში მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე – აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი დაეხმარა. ორგანიზაციამ ვერ გაართვა თავი სახელმწიფოებრივ ამოცანებს და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე, ძმათამკვლელ სისხლისღვრამდე და რუსეთ-სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩვენი მიწების დაპყრობის საფრთხემდე მიიყვანა. ალბათ, მადლობა უნდა გადავუხადოთ ექსპრეზიდენტ აბულფაზ ელჩიბეის, რომელმაც თავიდან აიცილა მოვლენების თბილისური სცენარით განვითარება.

1993 წელს, ჰეიდარ ალიევის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ნათელი გახდა, რომ იგი კომუნისტურ-პარტოკრატიული მეთოდებით იმოქმედებდა – სხვა მეთოდები მისთვის უცხო იყო. თუმცა, იმ წლებში მისი ვაჟიშვილი, წარუმატებელი მოსკოველი ბიზნესმენი ილჰამი იმდენად შეუმჩნეველი ფიგურა იყო, რომ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა აზერბაიჯანის პოლიტიკურ ოლიმპზე მის ელვისებურ აღმასვლას. ერთადერთი, რაც ალიევ-უმცროსის რეპუტაციას "ზურგს უმაგრებდა", ეს მისი სკანდალური თავგადასავლები იყო რუსეთსა და თურქეთში. სხვათა შორის, ასეთი ისტორიები ჩვენამდე ახლაც მოდის.

ამის მიუხედავად, ილჰამ ალიევი საკუთარი მამისგან ბეჯითად სწავლობდა ყველაფერს – ამაზე ბევრი რამ მეტყველებდა. თუნდაც ის, რომ იგი სულ უფრო გამართულად საუბრობდა მშობლიურ ენაზე, ეუფლებოდა უცხოელებთან მოლაპარაკებების ტაქტიკასა და აზერბაიჯანული ნავთობის საზღვარგარეთ გაყიდვისთვის აუცილებელ ეშმაკობებს. ამ ყველაფერს იგი იმ დროს ეზიარა, როდესაც აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო. შემდეგ კი აუცილებელი გახდა მისი მსოფლიოს წინაშე წარდგენა და ილჰამ ალიევი ევროსაბჭოში აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელი გახდა. ინგლისური ენის კარგად ცოდნის წყალობით, რაც იშვიათობაა პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკოსებისათვის (რაც არ უნდა იყოს, უმცროს ალიევს დაეტყო საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში გატარებული წლები), იგი თბილად მიიღეს ევროსაბჭოში.

მას პოპულარობა ქვეყნის შიგნითაც ესაჭიროებოდა; განსაკუთრებით - ახალგაზრდებში. ამიტომაც იგი ნაციონალური კომიტეტის პრეზიდენტი ხდება. ქვეყანაში ოლიმპიური დარბაზების რიცხვი სოკოებივით მატულობს. არავის აინტერესებს, რა სახსრებით შენდება ეს დარბაზები, ვინ აფინანსებს ჩვენი სპორტსმენების მგზავრობას საზღვარგარეთულ ტურნირებში. მთავარი ის იყო, რომ ისინი თითქმის ყოველთვის შინ გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ, ეს კი, ავტომატურად, ილჰამ ალიევის გამარჯვებასაც ნიშნავდა.

ძალზე ჭკვიანურად დაიგეგმა მასმედიასთან მუშაობის საკითხიც. მოკლე დროში შეიქმნა ოთხი, ვითომ დამოუკიდებელი ტელევიზია საკუთარი FM-რადიომაუწყებლობებით. გამოჩნდნენ ახალი აზერბაიჯანული და რუსულენოვანი გაზეთები. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ისინი ილჰამ ალიევის ინტერესებს ემასუხურებოდნენ. მაგრამ, ვინ აფინანსებდა ამ პერიოდულ გამოცემებს? მოარული ხმების თანახმად, კვალი მაღალჩინოსნებისკენ მიდიოდა. თუმცა, ერთი რამ ცხადია – მედიის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი მანათიც კი არ გამოყოფილა.

2003 წლის დასაწყისიდან უკვე აქტიურად დაიწყეს საუბარი საპრეზიდენტო არჩევნებში ილჰამ ალიევის მონაწილეობის თაობაზე. მამამისის შერყეული ჯანმრთელობა ვაჟიშვილის "წისქვილზე ასხამდა წყალს". ჰეიდარ ალიევის ნაადრევი სიკვდილის შემთხვევაში აუცილებელი იყო, რომ ახალ არჩევნებამდე ვაჟიშვილს გადაცემოდა ძალაუფლება კონსტიტუციური გზით, ამიტომაც ილჰამ ალიევი სასწრაფოდ დაინიშნა პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

არჩევნებამდე ერთი თვით ადრე და არჩევნების დროს ოთხივე ტელეარხი მთლიანად გადაერთო ახალი პოლიტიკოსის პროპაგანდაზე და ამით საკმაოდ დააზარალა დანარჩენი კანდიდატები. ამუშავდა პიარის ყველაზე ბინძური მეთოდები. ერთი ოპოზიცონერი კანდიდატი საპრეზიდენტო ბრძოლას მას მერე გამოეთიშა, რაც მას ღიად დასდეს ბრალი ჰომოსექსუალიზმში. ორი კანდიდატი სახელისუფლებო ბანაკში გადაბარგდა, დანარჩენი სამი თავიდანვე საკმაოდ სუსტი იყო. შედეგად კი თითქმის მთელი აზერბაიჯანული მედია, მათ შორის მართლაც დამოუკიდებელი ტელევიზიები და გაზეთები, იძულებულნი გახდნენ, დროებით დაევიწყებინათ ჟურნალისტური პრინციპები და ამუშავდნენ მხოლოდ ილჰამ ალიევზე. ალიევის ერთადერთი რეალური ოპონენტი – ყველაზე ძველი, ასი წლის ისტორიის მქონე აზერბაიჯანული პარტია "მუსავათი" იძულებული გახდა, დაკმაყოფილებულიყო მცირედი თანხით, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ იყო გამოყოფილი და იმ პუბლიკაციებით, რომელიც ყველაზე პოპულარულ გაზეთში – "ენი მუსავათში" იბეჭდებოდა (გაზეთის ტირაჟი ყოველდღიურად 15 ათასი ეგზემპლარია).

ამასთან, უნდა ვაღიაროთ – აზერბაიჯანის უახლეს ისტორიაში ეს არჩევნები ყველაზე დემოკრატიული იყო. პირველად იყო გამოყენებული გამჭვირვალე საარჩევნო ყუთები, საარჩევნო კონვერტები, ბიულეტენების ნუმერაცია თითოეულზე ორ-ორი ბეჭდით. ჟურნალისტებს და დამკვირვებლებს პირველად მიეცათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნების ყველა ეტაპზე. ბაქოში, სადაც ოპოზიციური და დამოუკიდებელი კანდიდატების დამკვირვებლები საარჩევნო პროცედურებს მაქსიმალურად აკონტროლებდნენ, "მუსავათის" ლიდერმა ისა გამბარმა და ილჰამ ალიევმა, შესაბამისად, ხმების 35 და 45 პროცენტები დააგროვეს.

პროვინციებში კი ხელისუფლების წარმომადგენლის უპირატესობა აშკარა იყო. ამავე დროს, როგორც ადგილობრივი დამკვირვებლები აცხადებენ, სწორედ რეგიონებში იყო აღმოჩენილი ყველაზე მრავალრიცხოვანი დარღვევები.

რომ არა გაყალბება, გამბარიცა და ალიევიც მეორე ტურში უნდა გასულიყვნენ. ძნელია იმის თქმა, როგორც განვითარდებოდა მოვლენები მეორე ტურში. მით უფრო, რომ იგი არ შედგა.

დღეს უკვე ნათელია, რომ მუსავათი მართალი იყო, როდესაც აზერბაიჯანში დამყარებული ნეომონარქიის წინააღმდეგ გამოდიოდა. ამან გადაარჩინა ჩვენი ეროვნული რენომე მსოფლიოს თვალში. თუმცა, მუსავათი შეცდა, როდესაც დაუშვა საკუთარი მომხრეების მხრიდან ძალისმიერი გამოსვლები, რასაც მოქალაქეებისა და პოლიციელების ცემა და ორი მათგანის სიკვდილი მოჰყვა. ამით პარტიამ ხელისუფლებას საკუთარი მხარდამჭერების ტოტალური დევნა-შევიწროების საბაბი მისცა. ეს პროცესი აზერბაიჯანში დღესაც გრძელდება. პარტიას წაართვეს შტაბბინა, რომელიც ბაქოს ცენტრში მდებარეობს, გამბარის ყველა მოადგილე კი დაპატიმრებულია.

მინდა საგანგებოდ ვისაუბრო ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ. დღეს აზერბაიჯანში ყველას მიაჩნია, რომ ამ ქვეყნებმა უღალატეს აზერბაიჯანის დემოკრატიულ ოპოზიციას. ამერიკისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ისა გამბარის მრავალრიცხოვანი შეხვედრების მიუხედავად (მათ შორის - ვაშინგტონში), არჩევნების დროს ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა – "როგორც ყოველთვის, ადგილი ჰქონდა დარღვევებს, მაგრამ პროგრესი სახეზეა...." ილჰამ ალიევი კი დე-ფაქტო აღიარებულია. მას ყველა მსოფლიო ლიდერმა მიულოცა არჩევნებში გამარჯვება.

რატომ? პასუხი ყველასთვის ნათელია: ილჰამ ალიევი ხელს აწერდა ხელშეკრულებებს სხვადასხვა ნავთობის ფირმასთან აზერბაიჯანული ნავთობის დაზვერვის, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის თაობაზე. ილჰამ ალიევი პირობას იძლეოდა, რომ გააგრძელებდა მამამისის მიერ აღებულ კურსს ყარაბახთან დაკავშირებით, რაც სამშვიდობო მოლაპარაკებების უვადო გაგრძელებაში მდგომარეობს. ეს კი დასავლეთს საშუალებას აძლევს, უპრობლემოდ მოიპოვოს ჩვენი ნავთობი, რადგან ომის პირობებში მას ამის გაკეთება ნამდვილად გაუჭირდება.

ოპოზიციამ არაერთხელ განაცხადა, რომ სამშობლოს გათავისუფლება ნავთობიდან მიღებულ დოლარებზე მნიშვნელოვანია. დასავლეთმა კი კიდევ ერთელ მოახდინა დემოკრატიის ორმაგი სტანდარტების დემონსტრირება და დაარწმუნა კიდეც აზერბაიჯანელები ამაში. დემოკრატია მხოლოდ იქ, იმ ქვეყნებში ბატონობს, ჩვენ კი მათთვის მხოლოდ აზია ვართ.

საკუთარი მმართველობის პირველივე დღეებში ილჰამ ალიევმა ყველა გააოცა, როდესაც თურქ გენერალთან შეხვედრისას განაცხადა, რომ შეუძლია უარი თქვას ეუთო-ს მისიის ჯგუფის დახმარებაზე, რომელიც დიდი ხანია აწარმოებს უშედეგო მოლაპარაკებებს ყარაბახში - "ჩვენ ჩვენი მიწა ძალის გამოყენებითაც შეგვიძლია დავიბრუნოთო..."

ილჰამ ალიევმა ამის ნაწილობრივ გაკეთებაც რომ შეძლოს, მისი პოპულარობა ყველა მოლოდინს გადააჭარბებს და ხალხი თვალს დახუჭავს იმ ნეგატიურზე, რაც ალიევების კლანს უკავშირდება. მეორეც – უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში ქვეყანაში ბევრს საუბრობენ ეროვნულ შერიგებაზე. ბაქოში ემიგრაციიდან დაბრუნდა პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის პოპულარული მეთაურის როვშან ჯავადოვის ვაჟიშვილი, რომლის მამაც საკუთარი რაზმით ჰეიდარ ალიევის წინააღმდეგ გამოვიდა და რომელიც პუტჩის დროს მოკლეს; ელოდებიან ახალი პრეზიდენტის ახალ აქციებს, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების დაშოშმინებას.

პროცესი გრძელდება. ჰეიდარ ალიევმა, რომელიც 2003 წლის ივლისიდან აზერბაიჯანის მოსახლეობას ცოცხალი არ უნახავს (არც ვიდეოფირზე), უზრუნველყო საკუთარი შვილისთვის ძალაუფლების გადაცემა. მათ, ვისაც ეს არ სურდა, ამის წინააღმდეგ ყველაფერი იღონა...

## ქვეყანა, რომელსაც შეეშინდა ცვლილებების

ელჩინ ჰუსეინოვი
სააგენტო "ტრენდის" პოლიტიკური რედაქტორი

აზერბაიჯანში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არც თუ ცოტა დრო გავიდა, თუმცა მისი შედეგები და ასევე კენჭისყრის შემდეგ განვითარებული მოვლენები დღემდე რჩება ყველაზე აქტუალურ თემად აზერბაიჯანში და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასე დარჩება უახლოეს თვეებშიც. დღევანდელი ზღვა ინფორმაციის პირობებში ძალიან ბევრი სტატიის წაკითხვა შეიძლება ამ თემაზე, თუმცა პრობლემა მდგომარეობს არა ინფორმაციის სიმცირეში, არამედ მის სამართლიანობაში, რადგან საინფორმაციო საშუალებების უმრავლესობა, როგორც ცნობილია, გარკვეული პოლიტიკური სიმპათიის მატარებელია. შევეცდები, მაქსიმალურად სამართლიანად მოგიყვეთ აზერბაიჯანში განვითარებული მოვლენების შესახებ.

### ექსკურსი უახლოეს ისტორიაში

ყველასათვის ცნობილია, რომ 1993 წლიდან აზერბაიჯანს მართავს ჰეიდარ ალიევი და ბოლო პერიოდამდე ახერხებდა, უპრობლემოდ "გამკლავებოდა" საკმაოდ არაორგანიზებულ ოპოზიციას, თუმცა არა უცხოეთის ქვეყნებისა (პირველ რიგში, საუბარია აშშ-ზე). უცხოეთში მცხოვრები ექსპოლიტიკური ლიდერების დახმარების გარეშე ოპოზიციურმა პარტიებმა ბოლოს და ბოლოს დაიწყეს განვითარება. მათგან (სულ 40 პოლიტიკური პარტიაა) ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია პარტია "მუსავატმა" და მისმა ლიდერმა ისა გამბარმა. განსაკუთრებულად დაჩქარდა ეს პროცესი ჰეიდარ ალიევის ჯანმრთელობის გაუარესებასთან ერთად, რომელიც 8 ივლისიდან სამკურნალოდ იმყოფება თურქეთში, შემდეგ კი აშშ-ში. იმ პერიოდიდან აზერბაიჯანელები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ტელეეკრანებზე საკუთარი პრეზიდენტის ყოველ დღე ხილვას, მოკლებულნი არიან ასეთ საშუალებას. ხოლო თურქულ პრესაში გავრცელებული ჭორები პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ ხელს აძლევდა ოპოზიციას მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ალიევების უახლოესი გარემოცვა და მისი ოჯახი იმედოვნებდნენ, რომ ალიევი გამოჯანმრთელდებოდა ოქტომბრის თვემდე, თუმცა, როგორც აღმოჩნდა - უშედეგოდ. ამიტომ ჰეიდარ ალიევმა ოქტომბრის დასაწყისში მოხსნა კანდიდატურა შვილის - 43 წლის ილხამ ალიევის სასარგებლოდ (თუმცა, ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ მას თავად ამის გაკეთება უკვე აღარ შეეძლო).

### არჩევნები და არეულობა

15 ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა საკმაოდ წყნარ სიტუაციაში და ელექტორატის აქტიური მონაწილეობის პირობებში - ასეთ სიურპრიზს არავინ ელოდა.

მთავარ პრობლემად, დამკვირვებელთა აზრით, რჩებოდა სიებში ზოგიერთი ამომრჩევლის არყოფნა. ყველაფერი კი დაიწყო დაახლოებით 7 საათისთვის (საარჩევნო უბნების დახურვის მომენტისთვის), როცა ისა გამბარის მომხრეები შეიკრიბნენ "მუსავატის" შტაბბინასთან და დაიწყეს საკუთარი ლიდერის "გამარჯვების აღნიშვნა". აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ამ მომენტამდე - 5 საათისთვის - "მუსავატის" შტაბბინასთან იყო მობილიზებული პოლიცია, თუმცა, თავდაპირველად, ისინი არ ერეოდნენ "დღესასწაულში", სანამ მან არ მიიღო ხმაურიანი მიტინგისა და არეულობის სახე. სწორედ აქ მოხდა პირველი ნეგატიური ფაქტი, როცა პროილჰამისტურად მიჩნეული ტელეარხის კორესპონდენტი სცემეს (მიიღო ტვინის შერყევა და ჩამტვრეული აქვს ნეკნები ქაღალდში გახვეული რკინის ჯოხებით ცემისაგან) ჯერ შტაბბინის შიგნით, შემდეგ - შტაბბინიდან გამოთრევის მომენტში. ეს გააკეთეს "მუსავატის" წევრებმა, როცა ისა გამბარმა ჟურნალისტებს მოუხმო პრესკონფერენციაზე. მას შემდეგ, რაც პოლიციამ შეკრებილებს არაერთხელ მოუწოდა დაშლისაკენ, "მუსავატის" ლიდერებმა კი - "გამარჯვებამდე სისხლის ფასად", პოლიციამ გამოიყენა ძალა და დააპატიმრა რამდენიმე მონაწილე.

"მუსავატის" ბობოქრობა, ოპოზიციური პარტიების ნაწილთან ერთად, ბაქოში 16 ოქტომბერსაც გრძელდებოდა. ბევრი ცდილობს, შეტაკებების დასაწყისი წარმოადგინოს იმ მომენტიდან, როცა პოლიცია თავს დაესხა "მუსავატის" შტაბბინას და სურს, ამაში დაარწმუნოს საერთაშორისო ექსპერტები. ყველაფერი ეს კი დაიწყო გაცილებით ადრე და ამაშია მთელი არსი. 14.00 საათისთვის "მუსავატის" დაახლოებით 300-400-მა აქტივისტმა დაიწყო არასანქცირებული შეკრება ბაქოს ბულვარში ("მუსავატის" შტაბბინიდან ხუთი წუთის სავალში), რომელზეც ითხოვდნენ ილჰამ ალიევის გადადგომას. აქ მოვიდნენ პოლიციის ნაწილები და შეკრებილებს დაშლა მოსთხოვეს. ამის ნაცვლად მომიტინგეები დაიძრნენ პარტია "მუსავატის" შტაბბინის მიმართულებით. მომიტინგეებმა დაიწყეს მანქანების ფანჯრების მტვრევა, სახელმწიფო უწყებების ვიტრინების ჩამტვრევა, თავდასხმა მიმავალ ავტობუსებზე და მგზავრების მიმართ მოწოდებები, რომ ისინი შეერთებოდნენ მათ. შემთხვევის ადგილზე იყო მობილიზებული შინაგანი ჯარისა და პოლიციის დაახლოებით 30 ავტობუსი და სატვირთო ავტომანქანა. მომიტინგეებმა დაიწყეს მათზე თავდასხმა და შეძლეს მათი უკუქცევაც კი. შემდეგ კი დაიძრნენ "თავისუფლების" მოედნისკენ და ისევ ანადგურებდნენ შემხვედრ მანქანებსა და შენობების ვიტრინებს. ამ მომენტისთვის მიტინგის მონაწილეთა რიცხვმა 3000-ს მიაღწია. "მუსავატის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სანამ ისა გამბარი არ მოვიდოდა ხელისუფლებაში, აპირებდნენ საპროტესტო აქციების გაგრძელებას. მომიტინგეები გადავიდნენ თავდასხმაზე, ხელში ჩაიგდეს რამდენიმე სატვირთო მანქანა, რომლითაც მოიყვანეს შინაგანი ჯარის ნაწილები. პოლიციამ გამოიყენა ცრემლმდენი გაზი. მომიტინგეებმა კი სატვირთო მანქანები მიმართეს პოლიციელებზე და გაიტანეს დაახლოებით 8 პოლიციელი, რომელთაგანაც ერთი მანქანის ქვეშ დარჩა. ამის შემდეგ პოლიცია გადავიდა შეტევაზე და თავი წარმოაჩინა "მთელი თავისი მომხიბვლელობით", მათ დაიწყეს ყველა შემხვედრის დარბევა, მათ შორის - ჟურნალისტებისაც (დაზარალებულია 60-მდე ჟურნალისტი), რომლებიც თავის მოვალეობას ასრულებდნენ.

ამის შემდეგ მომიტინგეები გაიშალნენ ქალაქში და, სხვადასხვა გათვლებით, 1 მილიონ დოლარამდე ზარალი მიაყენეს ქვეყანას.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა, რომელიც ყოველთვის აკრიტიკებდა პოლიციას მოსახლეობის მიმართ ძალადობის გამოყენების გამო, ამ შემთხვევაში პოზიტიურად შეაფასა მისი მოქმედება. რადგან მასზე ძალიან სერიოზულად იმოქმედა იმ ფაქტების ნახვამ, რომელიც არაერთხელ გადმოიცა ტელევიზიით.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი გათვლები, ივარაუდება, რომ ორივე მხრიდან არის რამდენიმე ასეული დაზარალებული. შეტაკებაში დაიღუპა ორი ადამიანი - ერთი პოლიციელი და ერთი ბავშვი, რომელიც გადათელეს.

### შედეგები

თითქმის ყველა საერთაშორისო დამკვირვებელმა განაცხადა იმის შესახებ, რომ კენჭისყრა წარმატებით ჩატარდა. მათ მაღალი შეფასება მისცეს ცესკო-ს მიერ კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნების გამჭვირვალეობას. მათ განაცხადეს, რომ იყო დარღვევებიც. კერძოდ, ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა ჯოვანი კესლერმა განაცხადა, რომ გაყალბებას ადგილი ჰქონდა ხმების დათვლისა და მათი ცხრილებში შეტანის დროს. პოლიციის მხრიდან იყო დაშვებული ძალადობის ფაქტები; ოპოზიციის მხრიდან კი გაისმოდა მოწოდებები ძალადობისკენ. ასევე ადგილი ჰქონდა დაშინებებს, დამკვირვებლების მოკლევადიან დაკავებებს, ოპოზიციური პარტიების მიტინგების "ლიმიტირებას". ეუთო-ს დამკვირვებელთა მოკლევადიანი მისიის ხელმძღვანელმა პიტერ აიკერმა კი განაცხადა, რომ დამკვირვებლები ძალიან აღაშფოთა მუქარებმა (არ დაუზუსტებია - ვისი მხრიდან), რომელთაც ადგილი ჰქონდა კენჭისყრის დროს, პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის არათანასწორი პირობების შექმნამ და ოპოზიციური მიტინგების გამართვის შეზღუდვამ. ასევე, მისი თქმით, დამკვირვებლებმა რამდენჯერმე დააფიქსირეს წინასწარ გამზადებული ბიულეტენების ჩაყრის ფაქტი საარჩევნო ურნებში, პროტოკოლების შექმნის მომენტისთვის ფალსიფიცირების ფაქტები და ა.შ.

ამ დროს კი შსს და პროკურატურა დაკავებულნი იყვნენ მასობრივი დაჭერებით (დაჭერილია 60 ადამიანზე მეტი, დაკავებულია – 400-ზე მეტი არეულობის მომწყობი ადამიანი). მათ შორის, ალბათ, ბევრია შემთხვევითი გამვლელი, თუმცა, მიუხედავად ამისა, სულ 150 ადამიანი გაათავისუფლეს. შეშფოთება გამოიწვია იმანაც, რომ დაკავებებიც ძალადობის გამოყენებით ხორციელდებოდა. მე უკვე აღარ ვსაუბრობ იმაზე, რა შეიძლება ხდებოდეს იზოლატორებში, მათი დაკითხვის დროს.

### შედეგი

ამ თემის "შევსება" საინტერესო დეტალებით კიდევ შეიძლება, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ არჩეულმა პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა, რომელმაც, ოფიციალური მონაცემებით, 76 პროცენტზე მეტი მოაგროვა, შეძლოს ოპერატიული რეაგირება საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნაზე და უახლოეს პერიოდში ობიექტურად განმუხტოს სიტუაცია (რამდენადაც ეს შესაძლებელია). ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება ის, რომ დემოკრატიის დამცველები ჯერ დეტალურად გაერკვნენ სიტუაციაში და მხოლოდ შემდეგ წამოაყენონ კონკრეტული ბრალდებები.

და კიდევ ერთი - თავად აზერბაიჯანშიც ბევრი არ ამართლებს ხელისუფლების შვილისთვის გადაცემის ფაქტს, თუმცა, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ამას მაინც მხარს უჭერენ. რატომ? ამის გაგება შეუძლია მხოლოდ იმ ქვეყნის მოსახლეობას, რომელსაც ეშინია კარდინალური ცვლილებების, რასაც ჰპირდებოდა მათ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ილჰამ ალიევის გარდა. იგი კი გამოდიოდა მამის "კურსის" გაგრძელების პირობით, რომელმაც, შესაძლოა, არა ყოველთვის დემოკრატიული გზით, მაგრამ მაინც მიაღწია სტაბილურობას. "სიწყნარეს" კი, როგორც ბევრი ფიქრობს, გაფრთხილება სჭირდება.



ასეთი იყო ბაქო არჩევნების დღეს.

ბიძინა მაყაშვილის სვეტი



## ერთი დღით ადრე

გუშინ მეგობარმა დამირეკა. დიდხანს მელაპარაკა. ჯერ თავის გასაჭირზე მომიყვა, მერე, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, არჩევნებს, ეროვნულ და საერთაშორისო პოლიტიკასაც შეეხო.

მისი გასაჭირი, მისივე პროფესიიდან მომდინარეობს: ის 40 წელს მიღწეული როკ-მუსიკოსი, ანუ 25 წლის სტაჟის მქონე პროფესიონალი უსამუშაოა. ამ ხნის განმავლობაში თავგამოდებით იბრძვის ქართული როკის (საკუთარი შემოქმედების) საერთაშორისო ასპარეზზე გასატანად, მაგრამ, ჯერჯერობით რაც მოახერხა, ის არის, რომ საქართველოს გარდა, მეზობელ სახელმწიფოებში და დასავლეთ ევროპის რომელიღაც ქვეყანაში გაიგეს მისი სიგიჟის ამბავი. დღეს კი ისევ იმაზეა გაგიჟებული, რომ ქართულმა პოპ-მუსიკამ შეჭამა ტელევიზია, რადიო, პრესა; ახალგაზრდებს გემოვნება გაუფუჭა და ახლა მთავრობაშიც მიძვრება.

ამაზე რა უნდა მეპასუხა, როცა მე თვითონ უამრავი რამ მაგიჟებს?! მაგალითად, ვერაფრით ვერ გამიგია იმ პოლიტიკური ძალის, რომელიც თვლის, რომ დათო ხუჯაძის მიპყრობით, ამომრჩეველთა კეთილგანწყობას მიიპოვებს. ცხადია, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავების სოციალური თუ პოლიტიკური აქტივობა დასავლეთისთვის ახალი არ არის. მათი აქტიურობა გამართლებულია, იმიტომ რომ ისინი ნამდვილი ვარსკვლავები არიან და რეალურად შეუძლიათ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა; განსხვავებით ჩვენებურებისგან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით მხოლოდ უბრალო ანეკდოტების სამიზნეები ხდებიან. სიმართლე რომ ვთქვათ, მასმედიის სარკასტული დამოკიდებულება არც ნამდვილ ვარსკვლავებს აცდით, მაგრამ როგორც ყველაფერი სხვა, ეს ასეთი ამბებიც მსუბუქად ჩაივლის ხოლმე. მაგალითად, როცა სტინგმა, მგონი მთელი მსოფლიო დარაზმა - ამაზონის აუზში ტროპიკული ტყის საფარი ნადგურდებაო, ერთმა პოპულარულმა ჟურნალისტმა მუსიკოსს დაუწერა - შენ გირჩევნია, საკუთარ თმის საფარს მიხედოო. მეორეს მხრივ, მათი აქტიურობა მართლა რეალურ თანხებით და შედეგებით გამოიხატება. მხედველობაში რომ არ მივიღოთ 80-იანი წლებიდან პოპულარული უამრავი საქველმოქმედო როკ-აქცია, რომლების მეშვეობით გარკვეული თანხა შეგროვდა პლანეტის გაჭირვებული რეგიონების სასარგებლოდ (მათ შორის იყო სომხეთი სპიტაკის მიწისძვრის შემდეგ), საკუთარი თვალით მაქვს ნანახი იერუსალიმის უნივერსიტეტის ერთ-ერთი სასწავლო კამპუსი, რომლის არსებობა ბარბრა სტრეიზენდის დამსახურებაა.

მერე გუბერნიია, არჩევნებსაც შეეხო და მკითხა - ხალხი ვის აძლევს ხმას და ბაქოს ამბები თუ გამეორდება აქაო? მოკლედ, ნამდვილი ინტერვიუერი მომიხდა.

მშვენივრად იცის, რომ ამ ამბებისგან ძალიან შორს ვარ, მაგრამ, ეტყობა, მაინც ერ ძლევს იმ სტერეოტიპს, ჟურნალისტის პროფესიას რომ ახლავს: ითვლება, რომ ჟურნალისტმა ყოველთვის ცოტათი იმაზე მეტი იცის, ვიდრე საზოგადოებას ეუბნება. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ არის - ნეტა ის იცოდეს ჟურნალისტმა წესიერად, რასაც ამბობს.

თვითონ ჩემი მეგობარი ამ სოციალურ ფენას წარმოადგენს და იმ ფასეულობებს ეთაყვანება, რომ წესით ან "ნაციონალებს" უნდა მისცეს ხმა, ან "დემოკრატებს". თუმცა, როგორც ყველა შემოქმედი, ისიც ძალიან ემოციურია. ჰოდა არ არის გამორიცხული, რომ თავისი ფაფიოლო პატარა იალღომში რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს და ხმა "ლეიბორისტებს" ან "აღორძინებას" მიაცემინოს. სამთავრობო ძალებს მისი ხმის იმედი არ უნდა ჰქონდეთ: ჯერ ერთი რომელი როკ-მუსიკოსი გინახავს (პრესლის გარდა, რომელმაც ნარკოტიკებით გატაცებული კოლეგები ნიქსონს ჩაუშვა), არსებული წყობით და ხელისუფლებით კმაყოფილი რომ ყოფილიყოს?! მეორეც - სწორედ მაშინ დამირეკა, როცა "ლოკომოტივზე" "ახალი საქართველოსთვის" შეკრებილიყვნენ, გასული საუკუნის 30-იანი წლების ფიზკულტურულ-მუსიკალურ-სპორტული ღონისძიება მახსენეს. თანაც, როგორც ამბობს, ძალიან მობეზრდა მთელი შეგნებული ცხოვრება (30 წელი) მხოლოდ ერთი კაცის გონება.

დიდად აღფრთოვანებული არც "შენარჩუნებით" და "ახლებით" არის. "შენარჩუნებამ" რამდენჯერმე უარი უთხრა მისი როკ-აქციების დაფინანსებაზე (ჯერ გაიგო ამ კაცმა, რომ სამბლარის მოლაღ უგემოვნობა ეს ფინანსდება), "ახლებმა" კი ძირითადად ის პრობლემა აქვს, რომ "გრძნობადიადი" მადალობელ(?) ვიდეო-კლიპებს ვერ იღებს.

ყველა დანარჩენი კი ეზიზღება. ეზიზღება იმიტომ, რომ ჩემი არ იყოს, იცის - წინასაარჩევნო ქართველები ერთმანეთს საქართველოს სიყვარულით კი არ ცემდნენ, არამედ ისეთ საარჩევნო ენებზეც, რომლებიც მათ დამამართ, ბუასილან ტრაკებს კიდევ ოთხი წლით აიტანენ.

საუბრიდან შეიძლება აიტანოს, მაგრამ მე, ჩემი შვილი და ჩემი მეგობარი ვეღარ ავიტანთ. რატომღაც მგონია, რომ ხვალიდან საქართველოში რაღაც დამთავრდება. და ძალიან მინდა, რომ ყველაფერი ისე ინტელიგენტურად დამთავრდეს, როგორც ის "კონკორდი" შთაბეჭდა. 30-იოდ წლის წინ, როცა "ბუმბერაზი "კონკორდი" კარიერას იწყებდა, ეტყობა, ერთმა აფრიკაში როცა ბრიტანელმა ტელენ რეფლექსივად მდებარე მიდიოდა: "ის, ვინც "კონკორდიში" ხმაურობდა, მაგრამ მასავით ლამაზი არ არის".

დღეს "კონკორდი" პენსიაზე გაუშვეს, იმიტომ რომ, ფრანგებს და ინგლისელებს ძალიან ძვირი უჯდებოდათ მისი შენახვა. მაგრამ არ მგონია, იმაზე ძვირი, ვიდრე მე, ჩემს შვილს და ჩემს მეგობარს დაგვიჯდა ჩვენი ხელისუფლება.

მოკლედ

### "ბითლომანია" ახალგაზრდავდება

ნილსენის ამერიკული კვლევის ფონდის მიერ შესრულებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ საგრძნობლად გაიზარდა იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც "ბითლზებით" არიან დაინტერესებულნი. 2000 წელს გამოშვებულ ლეგენდარული ოთხეულის ჰიტების ნაკრებს (რომლის სახელწოდებაა "1") მყიდველთა თითქმის 33 პროცენტი 18-24 წლის მოლომბები არიან.

გამოკითხვა ამ ალბომის გამოსვლამდეც ჩატარდა. მაშინ აღმოჩნდა, რომ ლივერპულელი ოთხეულის შემოქმედებას ბრიტანელი ახალგაზრდობის 18,5 პროცენტი უსმენდა. ბითლომანების ძირითადი მასა ორმოც წელს გადაცილებული მსმენელია. ისინი ბითლომანების საერთო რაოდენობის 40 პროცენტს შეადგენენ. გამოკითხვის ორგანიზატორები "ბითლზის" პოპულარობის გაზრდის მიზეზად იმასაც ასახელებენ, რომ საუკეთესო სიმღერების კრებულს "1" ბრიტანეთში ახალგაზრდები საშობაო საჩუქრად ყიდულობდნენ. "თუმცა, ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან "ბითლზით", - ამბობენ ისინი.

### ბრიტანელებისთვის საუკეთესო

ბრიტანელებმა კიდევ ერთი მუსიკალური გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნეს. ამჯერად, გამოკითხვის ინიციატორი გაზეთი "გარდიანია". მკითხველს უნდა დაესახელებინა ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფები და კოლექტივები ბრიტანეთის მუსიკალური სცენიდან. შედეგების სათავეში ჩაუდგა ოთხეული The Libertines. ჯგუფმა ყველაზე მეტი – 90 ქულა დააგროვა. The Libertines-ს კი გამოკითხვაში მიჰყვებიან ისეთი ცნობილი ჯგუფები და შემსრულებლები, როგორებიც არიან: "რედიოჰედი", ფი ჯეი ჰარვი, "ბლური", დევიდ ბოუი და სხვები.

# დედა უფრო გიყვარს, თუ მამა?

*1. შეცვლის თუ არა რაიმეს რეალურად არჩევნები?*
*2. ამ სიტუაციაში რამდენად აქტიური უნდა იყოს ხელოვანი? (აქტიურ პოზიციას ამჯობინებს თუ პასიურს)*
*3. ხედავთ თუ არა რეალურ ძალას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს არსებული სიტუაცია?*

**ვახუშტი კოტეტიშვილი:**



თუ ნორმალურად ჩატარდება, რასაკვირველია, შეცვლის.

თუ სამშობლოსათვის საჭირო იქნება, ინტელიგენტი ეშაფოტზეც უნდა ავიდეს და სიცოცხლეც უნდა გასწიროს, იმიტომ, რომ პასიურობასა და ინერტულობას სასიკეთო არასოდეს არაფერი მოუტანია. ახლანდელი პასიურობა გამოწვეულია იმით, რომ აქამდე აქტიურობამ შედეგი ვერ გამოიღო. ცნობილი ფაქტია, რომ რევოლუციას ყოველთვის ინტელიგენტები იწყებენ და ნაძირალები ასრულებენ და, ბუნებრივია, ძალაუფლებაც მათ ხელში გადადის. ეს ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება. ამიტომ რევოლუციას ევოლუცია სჯობია.

მე ვხედავ, რომ არიან ისეთი ძალები, რომელთაც მართლაც უნდათ რაღაცის შეცვლა და ამის უნარიც შესწევთ (ცხადია ოპოზიციას ვგულისხმობ). საერთოდ, ამ პარტიულობისა არ მწამს და საშინელი წინააღმდეგი ვარ პარტიული სიებით დეპუტატების არჩევის. პარტიებში, ბლოკებში თითზე ჩამოსათვლელი პიროვნებები არიან, რომელთაც რეალურად უნდათ ამ ყველაფრის შეცვლა. შემიძლია, ჩამოგითვალოთ: მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია, კობა დავითაშვილი, დავით ბერძენიშვილი და კიდევ სხვები. ჩვენ უნდა ვირჩევდეთ პიროვნებებს და არა ბანდებს. სწორედ ამ რჩეულთა გაერთიანება იქნება ის ძალა, რომელიც ამ სიტუაციას რეალურად შეცვლის.

**ლადო ბურდული:**



1. აუცილებლად. თუ არ შეცვალა, საქართველო გახდება ბანანის რესპუბლიკა ბანანების გარეშე. რომ არ შეცვალოს, წაიშალა ქვეყანა. უნდა შეცვალოს. სხვა გზა არ არის.

2. პოლიტიკური პარტიის დროშა არ უნდა ეჭიროს, არც ძალიან პასიური არ უნდა იყოს. უბრალოდ, მოქალაქეობრივი პოზიცია უნდა გამოხატოს. განზე დგომა ისეთი სისულელეა, როგორც რადიკალური პონტები.

3. კი ვხედავ - სააკაშვილი მიხეილი ერთადერთია, ვინც რეალურად რაღაცებს აკეთებს. რასაც მე ვაკეთებდი შემოქმედებაში, მიშა იმას აკეთებს ქართულ პოლიტიკაში. რომ ვუყურებ, ასე მგონია, სიზმარს ვხედავ, როგორი ვიყავი 20 წლის წინათ

**ვაჟა გიგაშვილი:**



მე პესიმისტურად ვუყურებ ამ სიტუაციას. ერთადერთი, შეიძლება, შეიცვალოს ის, რომ პოლიტიკური ძალების ბალანსი სხვანაირი გახდება. პოზიციისა თუ ოპოზიციის გამოსვლები მხოლოდ "ტუფტა ლაპარაკია" და საოცრად ჰგავს ერთიმეორეს. ამიტომ ეს ყველაფერი ჩვენი – მოქალაქეების შეურაცხყოფაა.

თქვენ მეკითხებით, ამ შემთხვევაში ხელოვანმა, ინტელიგენტმა უნდა იაქტიუროს თუ არა? მე თუ მკითხავთ, ისეთი აქტიურობა, როგორ მაგალითებსაც დღეს ვხედავთ, უზნეობაა და მეტი არაფერი. თუ თავისუფალი შემოქმედი და თავმოყვარე ადამიანი ხარ, არ შეიძლება ვიღაცას მხარი დემონსტრაციულად დაუჭირო, მხოლოდ იმიტომ, რომ მან შენი წიგნი გამოსცა ან საღამო მოგიწყო.

ერთადერთი რეალური ძალა, რომელსაც ყველაფრის შეცვლა შეუძლია, ეს გაზსადენია. ამ უზარმაზარ სისტემაში შანსი გვეძლევა, რომ საქართველო ერთი პატარა რგოლი იყოს. როცა ეს გაზსადენი საქართველოზეც გაივლის და წავა ავსტრიაში, მოგვაწესრიგებენ, სახელმწიფოს დაგვამსგავსებენ, ნატო-შიც მიგვიღებენ და ევროკავშირშიც. მერე აფხაზეთი თვითონ შემოცუნცულდება ჩვენთან. აი, დაახლოებით ისე, კვიპროსზე როგორც მოხდა: მას შემდეგ, რაც ბერძნული ნაწილი ევროკავშირში მიიღეს, თურქები ცდილობენ, ბერძნული პასპორტები მიიღონ, რომ ევროპაში თავისუფლად გადაადგილდნენ. ასე რომ, ჩვენ დასავლეთი თუ გვაქცევს ნორმალურ სახელმწიფოდ, ისიც იმიტომ, რომ ეს მასვე სჭირდება; ჩვენ თვითონ ხომ სულელები და მატრაკვეცები ვართ - როგორც დავით კლდიაშვილის პერსონაჟები.

**ირაკლი ჩარკვიანი:**



1. დარწმუნებული ვარ, შეცვლის იმიტომ, რომ თუ მივეცით შანსი საქართველოს, დაინახოს საკუთარი თავი, ის უკვე დაიწყებს ცვლილებებზე ფიქრს. არჩევნები არის სარკე. გაყალბება მრუდე სარკეა. აქამდე ქვეყანას არ აძლევდნენ შანსს, დაენახა ზუსტი სახე. ქვეყანამ უნდა დაინახოს საკუთარი თავის ანარეკლი სარკეში. ადამიანი, როცა ჩაიხედავს სარკეში და დაინახავს, რომ თვალს ქვემოთ შავი საღებავი აქვს წასმული, ხომ ეცდება მის მოშორებას.

2. ხელოვანი აქტიური უნდა იყოს, როგორც ამომრჩეველი. უფრო ფართო და გლობალური უნდა ის თავის ხელოვნებაში და არ უნდა გამოიყენონ პოლიტიკურმა პარტიებმა.

3. როგორ არ ვხედავ - მაშინ აბსოლუტურად უიმედო იქნებოდა ქვეყანა. ყველაზე რადიკალური ძალები ყველაზე რეალურია. არ დავაკონკრეტებ, მაგრამ მაქსიმალური რადიკალიზმი რეალური გამოსავალია.

**ლაშა ბაქრაძე:**



1.იმედია, შეცვლის. ყოველ შემთხვევაში, მოამზადებს ბაზას მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა პრეზიდენტზეა მორგებული და, პარლამენტის არჩევნებს ისეთი დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც წესიერ, დემოკრატიულ ქვეყანაში უნდა იყოს.

2.აქტიური უნდა იყოს, ოღონდ პოზიცია არაა – აქაოდა, მამღერებენ და მეც ვმღერიო. ვინც დღეს სახელისუფლებო ღონისძიებებში მონაწილეობს, მერე ნუ დაიწყებს, – ეგენი გულზე არ მეხატებოდნენო. ვინც საბჭოთა კავშირში კუდს აქიცინებდა, დღეს ყველა მკერდში მჯიღს იკრავს და იფიცება, - ყოველთვის ოპოზიციონერი ვიყავიო. ეს დრო ოდესმე უნდა დამთავრდეს.

3. მეტ-ნაკლებად - კი. რადიკალურად განწყობილი ადამიანები, რომლებიც, ამავე დროს, თანამედროვედ აზროვნებენ და ადათწესების აღდგენაზე არ ოცნებობენ, ჩემში მეტ სიმპათიას იმსახურებენ. "არც მწვადი დაწვა და არც შამფურის" პოლიტიკამ დღევანდელ ჩასკორებულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა - მწვადიც დაიწვა და შამფურიც.

საერთოდ კი, პოლიტიკურ ელიტაში კადრების დეფიციტი იგრძნობა.

# როგორ დაგვაკვირდებიან

ივლიანე ხაინდრავა

ცნობილია, რომ 2 ნოემბერს ჩვენ უნდა ავირჩიოთ; ცნობილია, აგრეთვე, ისიც, რომ ხმის მიცემის, დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესს დააკვირდებიან. შემდეგ კი გაგვიზიარებენ ჩვენ და დანარჩენ მსოფლიოსაც დაკვირვების შთაბეჭდილებებს. ასეთია წესი. ყოველ შემთხვევაში – იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც "პრობლემურს" უწოდებენ ხოლმე (ახლა, არ მითხრათ, - უპრობლემო ქვეყანა ვართო).

დაკვირვების მსურველები მრავლად მოიძებნებიან ხოლმე და, შესაბამისად, მრავალნაირები არიან. შევჩერდეთ უცხოელებზე; ამათგან კი, რუსების მიერ დამკვიდრებული ახალი გეოგრაფიული განზომილების მოშველიებით, ახლო საზღვარგარეთიდან ჩამოსულებით დავიწყოთ.

დსთ-დან შვიდი ათეული დამკვირვებელი გვეწვია. ესენი, კლებლივ, კაი ხალხია: კაი სმა უყვართ, კაი ჭამა, კაი დროსტარება და ჩახუტებაც კარგი იციან საბოლოოდ. 2 ნოემბერს საუზმესა და ლანჩს შორის მონაკვეთში დაკვირვების მეთოდიკაზე მოილაპარაკებენ, ლანჩსა და სადილს შორის მონაკვეთში – დაკვირვების ობიექტებს დაინაწილებენ, სადილსა და ვახშამს შორის მონაკვეთში – დაგვაკვირდებიან და, ვალმოხდილნი, ვახშმის სუფრას მიუსხდებიან. ვახშამი შეუმჩნევლად (დასკვნით განცხადებაზე თავაუღებელი მუშაობის თანხლებით) საუზმეში გადავა და 3 ნოემბრის ლანჩის დროისთვის დასკვნის გამომზეურების ჟამიც შემოჰკრავს. დასკვნა უაღრესად კეთილგანწყობილი და ჭეშმარიტად თანამეგობრული იქნება და სადღეგრძელოს ფორმით ჩამოყალიბდება უეჭველად (დაახლოებით ისეთით, ჩვენმა პრეზიდენტმა ამასწინ თავის რუს კოლეგას რომ მიუძღვნა). 15 ოქტომბერს აზერბაიჯანში, მაგალითად, იქაური საპრეზიდენტო არჩევნები "იდეალურად" (დედას ვფიცავარ!) შეფასდა დსთ-ის დამკვირვებლების მიერ და სტუმარიცა და მასპინძელიც (ახალგამომცხვარი პრეზიდენტი იგულისხმება, რომელიც, თუმცაღა, ძველი პრეზიდენტის გვარს ატარებს) ნამეტანი კმაყოფილები დარჩნენ ერთმანეთისა. ასე რომ, ამ ფრონტზე ყველაფერი იმთავითვე კარგად არის და მშობლიურ ხელისუფლებასაც სანერვიულო არაფერი აქვს (ცხადია, თუკი სუფრას არაფერს დააკლებს).

სანუგეშო აქ ისაა, რომ არც დანარჩენ (არასახელისუფლო) საქართველოს აქვს რაიმე სანერვიულო: დსთ-ის მეთვალყურეთა დასკვნას არავინ და არსად აინუნშიც არ აგდებს, რადგანაც მათ მიერ გამოყენებული ზემოხსენებული სადამკვირვებლო მეთოდიკაცა და საბოლოო დასკვნებიც (აზერბაიჯანში იქნება ეს, ბელარუსში, ყაზახეთში, სომხეთში თუ საქართველოში) უნიფიცირებულ-უნივერსალური ფორმით ჩამოყალიბდა საკუთრივ დსთ-ის ჩამოყალიბების პარალელურად და უცვლელი სახით ევლინება დანარჩენ მსოფლიოს ბოლო ათწლეულის მანძილზე. ამდენად, თუ კაცს ოდესმე დსთ-ის სადამკვირვებლო მისიის ერთი დასკვნა მაინც წაგიკითხავს, შეგიძლია დარწმუნებით (როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე – სრული პასუხისმგებლობით) განაცხადო, რომ ყველა მომდევნო (და წინა) დასკვნების შინაარსიც გცოდნია ზედმიწევნით.

განსხვავებულად გვაკვირდებიან შორეული საზღვარგარეთიდან მოვლენილი მისიები, რომელთაგან უმთავრესი ეუთო გახლავთ. ესენი იმდენს ვერც სვამენ, ვერც ჭამენ, დროსტარება ხომ სახლში უკეთესი აქვთ და ნამდვილი ჩახუტების კულტურაც მათთვის უცხოა. უნდა ნახოთ, როგორ მუშაობენ ეუთო-ს დამკვირვებლები! აუფ, რას მუშაობენ!! მხოლოდ მათი დამკვირვებლების მიერ დაკვირვების პროცესში შესავსები ფორმები რომ განახათ, მთლად ჭკუაზე გადახვიდოდით!!!

თავად განსაჯეთ: თითო ფორმა სამგვერდიანია; სულ 21 კითხვაზეა პასუხი გასაცემი; ამ 21 კითხვიდან ზოგში ორი ქვეკითხვაა, ზოგში – ოთხი, ზოგშიც – რვა. ზოგ კითხვას, სასურველია, ფართო განმარტება დაერთოს ცალკე ფურცელზე. ეს შევსებული ფორმები არჩევნების დღისა და ღამის განმავლობაში მკაცრად დადგენილი პერიოდულობით (არანაკლებ სამჯერ) უნდა გაეგზავნოს ფაქსით (!) მისიის საინფორმაციო ცენტრს. ზოგი კითხვა, ბოდიში და, ნამდვილად პროვოკაციულ ხასიათს ატარებს. მაგალითად: რამდენი ამომრჩეველია კონკრეტულ საარჩევნო უბანში (ოლქში)? აბა, ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი რომ იყოს საქართველოში, განა დამკვირვებლები დაგვჭირდებოდა საერთოდ? და თუკი მთელმა ხელისუფლებამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თამადობითა და ოპოზიციური და არაოპოზიციური პარტიების მონაწილეობით, ვერასგზით დაადგინა საქართველოში ამომრჩეველთა მიახლოებული რაოდენობაც კი, ერთმა-ორმა უცხოელმა დამკვირვებელმა როგორ უნდა დაადგინოს ეს რიცხობრიობა ერთ დღე-ღამეში? ისღა დარჩენიათ, დაიჯერონ, რომ ზუსტად 18 წლის წინ აჭარაში მოხდა დემოგრაფიული ბუმი, რომლის შედეგად 1985 წელს საქართველოს ამ ნაყოფიერი კუთხის მოსახლეობა ერთბაშად 20 პროცენტით გაიზარდა. ნეტა, რამდენი წლის იყო მაშინ აჭარის უპირველესი ქომაგი ბატონი ასლან აბაშიძე?

მაგრამ, დავუბრუნდეთ ეუთო-ს დამკვირვებლის საანგარიშო ფორმას. აქ ასეთი კითხვაც არის: კომისიის მუშაობაზე ხომ არ ახდენდა გავლენას რომელიმე გარეშე პირი? კარგი კითხვაა. მართლაც, ხომ არ ხდება საქართველოში (და მისნაირ ქვეყნებში) იმგვარი სასწაული, რომ ვიღაც გარეშე, ბოდიში და – როჟა, რამენაირად ახდენდეს გავლენას საარჩევნო კომისიაზე, ან მის ცალკე აღებულ რომელიმე წევრზე? ჩვენ კი ვიცით, რომ მსგავსი უმსგავსობა, სამწუხაროდ, უიშვიათესი გამონაკლისის სახით, კი ხდება, მაგრამ ვინმე, ბოდიში და, ნორვეგიელმა, არც ჩვენი ადათი რომ იცის და არც (პოსტ)საბჭოური წესი, როგორ უნდა დაადგინოს, რომ უცხო არავინ შემოპარულა საარჩევნო კომისიის სამუშაო ტერიტორიაზე და არც ფარული რჩევა-დარიგება მიუცია კომისიის რომელიმე წევრისათვის? ხომ შეიძლება, რომ სადმე მიყრუებულ (საქართ) ადგილას ხდებოდეს კანონით გაუთვალისწინებელი კონტაქტი? და როგორ უნდა დააფიქსიროს, ბოდიში და, ნორვეგიელმა, რომ სწორედ ეს აქაური, ბოდიში და, როჟა არაფორმალურად წარმართავს კომისიის მუშაობას?



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ივლიანე ხაინდრავა

სხვა საბედისწერო კითხვებიც მრავლადაა ზემოხსენებულ ფორმებში. თუნდაც ასეთი: უწყვეტად თუ მიმდინარეობდა არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში? წარმოიდგინეთ, რა მიამიტი ტიპები არიან ამ კითხვის ავტორები: ახლა, პურიც აღარ ჭამოს ქართველმა კაცმა (თუნდაც საარჩევნო კომისიის წევრმა)? ვთქვათ, დასანაყრებლად თუ შეწყვიტა კომისიამ თავისი საქმიანობა – განა დარღვევაა ეს? ან თუ გული წაუვიდა კომისიის რომელიმე წევრს (წინასწარი შედეგების დამნახავს, ან სხვა რამ საპატიო მიზეზით), კოლეგებმა კი პირველი დახმარება აღმოუჩინეს, ჩაითვლება ეს შეჯამების პროცესის გაწყვეტად, თუ არა? როგორ მოიქცეს ამგვარ ვითარებაში, ბოდიში და, ნორვეგიელი მეთვალყურე?

მოკლედ, განსაკუთრებული ერუდიცია, გამჭრიახობა და მზვერავისათვის დამახასიათებელი თვისებების მთელი თაიგული უნდა ახასიათებდეს, ბოდიში და, ვინმე ნორვეგიელ დამკვირვებელს, რათა ამომწურავად უპასუხოს რამდენჯერმე დღე-ღამეში ეუთო-ს ფორმაში დასმულ შეკითხვებს და ადგილზე ორიენტირების უზადო უნარიც უნდა გამოამჟღავნოს, რათა უკვე შევსებული ფორმა იმავე დღე-ღამის მაძილზე რამდენჯერმე ფაქსით გააგზავნოს, ბოდიში და, რომელიმე ლენტეხიდან. თუმცა, თუ ფაქსს ვერ მიაგნო, ტელეფონითაც შეუძლია უკარნახოს ინფორმაციის მიმღებს საკუთარი დაკვირვების შედეგები. ამას ხომ 2-3 საათზე მეტი დრო ნამდვილად არ დასჭირდება.

აქ მხოლოდ ერთი რამ რჩება გაუგებარი: იმ, ბოდიში და, ნორვეგიელ დამკვირვებელს, საკუთრივ, დასაკვირვებლად დრო თუ დარჩება, თუ ოდენ ფორმების შევსებაა მისი (ბოდიში და) მისია?

ისე კი, გულწრფელად გეტყვით, რომ არც ამ ფორმებს და არც თავად დამკვირვებლებს (მათ შორის - ბოდიში და, ნორვეგიელებს) არც არაფერი ესაქმებათ აქ სინამდვილეში. ხომ ცნობილია, რომ ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია თავის წინასწარ დასკვნას 3 ნოემბრის ნაშუადღევს გამოაქვეყნებს. ამ დროს ჯერ არამც თუ შედეგების შეჯამება (არჩევნების შედეგების და თანმხლები რეფერენდუმი იგულისხმება), ხმების დათვლაც კი არ იქნება მრავალ უბანსა და, მით უმეტეს, ოლქში დასრულებული. დასკვნა კი იქნება - იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს დასკვნა უკვე არსებობს. და ამ დასკვნის შინაარსიც შემდეგ მოსაზრებებს დაემყარება:

რაკი სომხეთში გაზაფხულზე გამართული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ცუდად კი ჩატარდა, მაგრამ აღიარებულ იქნა ცივილიზებული სამყაროს (დასავლეთის დემოკრატიების) მიერ;

რაკი აზერბაიჯანში 15 ოქტომბერს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები კიდევ უფრო უარესად ჩატარდა, ვიდრე სომხეთში, მაგრამ მაინც აღიარებულ იქნა ცივილიზებული სამყაროს (დასავლეთის დემოკრატიების) მიერ;

რაკი საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო კიდევ უფრო დემოკრატიული ქვეყანაა, ვიდრე სომხეთი და აზერბაიჯანი ერთად აღებული (ამ უკანასკნელის წარმოდგენა კი, ბოდიში და, ძნელია);

რაკი საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთად აღებული (რაც, ბოდიში და, კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია, ვიდრე სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთად აღება) გაცილებით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ცენტრალური (ყოფილი შუა) აზიის ქვეყნები ერთად თუ ცალ-ცალკე აღებული;

რაკი დასავლეთს, კარგა ხანია, ბოდიში და, სულ ფეხებზე ჰკიდია ჩვენში დემოკრატიის განვითარება, ოღონდაც კვლავ ერთმანეთს არ დავერიოთ;

და ა.შ.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში, ძირითადად, დადებითად შეფასდება ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მიერ. რომელ შეფასებასაც სრულად გაიზიარებენ ცივილიზებული სამყაროს (დასავლეთის დემოკრატიების) ხელმძღვანელი პირები.

რაც, არსებითად, სულ რაღაც ორნახევარი კვირის წინ მოხდა მეზობელ აზერბაიჯანში, როცა გარეთ ხელისუფლება საკუთარ ხალხს სასტიკად უსწორდებოდა, ხოლო ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელობა ფეშენებელურ ოტელში იმას ჰყვებოდა, თუ რა "წესიერების ფარგლებში" ჩატარებულა არჩევნები ამავე ქვეყანაში. ამ ხელმძღვანელობას არ შერცხვა, როცა ეუთო-ს "ქოლგის ქვეშ" (ასეთი იყო ოფიციალური ფორმულირება) მომუშავე აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის ინსტიტუტის 188 დამკვირვებელმა (მათ შორის ჩვიდმეტმა – საქართველოდან) განსაკუთრებული აზრი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ 15 ოქტომბერს აზერბაიჯანში მომხდარს საერთოდ ვერ მიუდგება ტერმინი "არჩევნები". არც მაშინ შერცხვათ, როცა ორიოდ დღეში აზერბაიჯანისავე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 600-მდე უბანში გააუქმა არჩევნების შედეგები და ნაგავსაყრელზე მოისროლა 600 ათასი ამომრჩევლის ხმა (ცხადია, არა საკუთარი ჭარბი დემოკრატიულობის, არამედ იმის გამო, რომ ამ უბნებზე მომხდარი ამ კომისიისავე დადგენილ "ჩარჩოებშიც" კი ვერ ჩაეტია).

ცხადია, აზერბაიჯანის მსგავსად, აქაც ცალკეულ ნაკლოვან მხარეებზე მიგვითითებენ, გამოსწორებისკენ მოგვიწოდებენ, საერთაშორისო სტანდარტებს მოიხსენიებენ, იმედსაც გამოთქვამენ. და წავლენ თავ-თავიანთ სახლებში, მათ შორის – ბოდიში და, ნორვეგიაშიც (რას ჩავაცივდი, ნეტა, მაინცდამაინც ნორვეგიას? აწი ბელგიელებს გამოვიყენებ სიტყვის მასალად).

ჩვენ კი დავრჩებით და აქვე მოგვიწევს შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა.

გადავიკითხე საკუთარი ნაწერი და პარადოქსი აღმოვაჩინე. გამოდის, რომ ეუთო-ს დამკვირვებლებისაგან გაცილებით უფრო სერიოზული საფრთხეა მოსალოდნელი, ვიდრე მათი დსთ-ელი კოლეგებისაგან მაშინ, როცა დსთ-სგან კარგს საერთოდ არაფერს და არასდროს ველით, ხოლო დასავლეთის ერთგვარად განმასხეულებელ ეუთო-სგან – კი. და გამოდის, რომ ლუკაშენკოს მიერ საქართველოში გამოგზავნილი კაცი (პუტინის კაცებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ნაკლებად სახიფათოა არჩევნების პერიოდში მაინც, ვიდრე ვინმე პატიოსანი, ბოდიში და, ბელგიელი. თუმცა, ამ პარადოქსზე მოდით, არჩევნების შემდეგ ვიმსჯელოთ.

საბოლოოდ კი იმას დავსძენ მხოლოდ, რომ ჩვენი თავის იმედად უნდა ვიყოთ არჩევანის გააზრება-გაკეთებისას, ხმის მიცემისას, ხმების დათვლისა თუ შეჯამებისას და არჩევნებზე მეთვალყურეობის დროსაც – ვინაიდან, ამომრჩევლებიც ჩვენ ვართ და რჩეულებიც ჩვენნი იქნებიან. სხვათა შორის - ნამდვილ დაკვირვებასაც ჩვენები განახორციელებენ და, მერწმუნეთ, გააკეთებენ ამას უკეთ, ვიდრე რომელიმე, ბოდიში და, ბელგიელი.

# როგორი სამშობლო არ მინდა



მივდივარ ქუჩაში და ვხედავ მათხოვრებს, ეს სამართლიანია?!
*თამუნა კაპანაძე*

ადამიანს აღარ ახსოვს სიტყვა "ადამიანის" შინაარსი. ნუთუ სულ დაკარგა მთავრობამ სინდისი? ნუთუ გულის კუნჭულში მაინც არ აწუხებთ, ასე გაუბედურებულ ხალხს რომ ხედავენ?! სამართალი სად არის? მართლა დიდი ხანია, კმარა!
*თამუნა მარგველაშვილი*

ქვეყანა ძალზე გაჭირვებულია. ქუჩაში უამრავი მათხოვარია , რომელსაც არ ეხმარება მთავრობა. მათი იმედი ხალხია, მაგრამ არც ხალხს ეხმარება მთავრობა, სადაც კორუფცია ბატონობს.
*გიორგი საბედაშვილი*

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემებია კორუფცია, ნარკომანია და უმუშევრობა.
*სოფიკო ცისკარიძე*

ამ ქვეყანაში გართობა, სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვაა მთავარი და არა კანონი, საქმე და კაცთმოყვარეობა. ადამიანებს შორის სიყვარული ფულთან არ არის კავშირში. ამას თუ გავიგებთ, კორუფციასაც მოვერევით.
*ლიკა ბენდიანიშვილი*



მიდიხარ სამარშრუტო ტაქსით და გზაში ჯგუფ-ჯგუფად გხვდება მსუქანი "მათხოვრების " გუნდი. გააჩერებენ მანქანას და მძღოლს ორლარიანი მზად აქვს. ისინი ართმევენ ფულს და ურცხვად იდებენ ჯიბეში. ეს პოლიცია იცავს კანონს?!
*ანა აბესაძე*

ოთხი წლის შემდეგ მას მივცემ ხმას, ვინც პოლიციას მოუვლის, კანონს დაუმორჩილებს.
*ირინე ნიკოლაიშვილი*

ხალხს პრეტენზია აქვს, მაგრამ ისინი განიკითხავენ კი საკუთარ თავს?! მათ მხოლოდ სხვისი საქციელი ეჩხირებათ თვალში.
*მაკა მიქავა*

ჩვენ გვჭირდება ხალხის უმეტესობის მხარდაჭერა და მაღალი რანგის წარმომადგენელი, რომელიც სათავეში ჩაგვიდგება და დაგვეხმარება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.
*მიხეილ არდია*



ეს ქვეყანა ერთ დიდ ორმოს ჰგავს, სადაც ხალხია ჩაყრილი და სადაც უჰაერობაა. გინდა, რომ ისუნთქო, მაგრამ არ შეგიძლია, არ გაქვს ამის ძალა, იქნებ სურვილიც, რომ შეებრძოლო. შენ ეს არ შეგიძლია.
*ნათია თაბაგარი.*

პოლიციელების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აზრი არ აქვს, რადგან სასამართლო ხელისუფლება მათ მხარეს დაიჭერს და მოსამართლე, ამ შემთხვევაში, ქრთამს დამნაშავეებისგან აიღებს.
*ზურაბ გიორგაძე, მიხეილ არდია*



**ჰოდა, მე ასე მესმის : რაც შენი თავისთვის არ გინდა, ის სხვასაც არ უნდა გაუკეთო.**
*სალომე ჭოლოკავა*



# წერილები მთავრობას



დეპუტატები დაუსჯელობის სინდრომმა გააფუჭა, მათი დასჯის მექანიზმიარ არსებობს. უფრო სწორად, არსებობს და ამას არა ერთი კანონი ემსახურება, თუმცა არც ერთი არ სრულდება.რატომ არ ისჯებიან ის დეპუტატები, რომლებიც არღვევენ იმ კანონებს, რომლებიც მათივე დამტკიცებულია.
*თამუნა მარგველაშვილი*

ქართული საზოგადოება დღეს მიმტევებელი და შემგუებელია.
*თამუნა აბდუშელიშვილი*

საქართველოში ყოველდღიურად იმდენი დანაშაული ხდება, რომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს შესახებ თუ ვიგებთ, დანარჩენი დაფარული რჩება და დაუსჯელიც.
პასუხისმგებლობის აღარავის ეშინია და უკანონობაც ყოველდღე მატულობს.
*ანა ჯინჭარაძე*



აი ახლა , როცა ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არ არის, რატომღაც აღარ მაქვს სიყვარულის გრძნობა საქართველოსადმი და პირად ცხოვრებაშიც, როცა საქმე არ ეწყობა, მაშინაც საქართველოს ვადანაშაულებ. საქართველოს ხომ შეეძლო ყოფილიყო ნორმალური ქვეყანა, ჰყოლოდა ნორმალური მთავრობა. ახლა კი მრცხვენია, რომ გიყურებთ. თქვენ საქართველო გაალაზღანდარეთ და დასაცინი გახადეთ, გრცხვენოდეთ.
*ანა ტაბატაძე*

მე მაღელვებს ჩემი სამშობლოს ბედი. ჩვენთან კანონი არ კანონობს. ადამიანი, რომელმაც კანონი უნდა დაიცვას, არღვევს მას და სხვებს სთხოვს მის შესრულებას.
*ნათია გაბროშვილი. ნინო მიქელაძე*

მოჩვენებითი ქველმოქმედებაც ძალიან საშიშია საზოგადოებისთვის, ფარისევლობაა. საქართველო სხვა სახელმწიფოებისგან იღებს დახმარებას. ჩვენ ყველამ ვნახეთ, რომ მათ გაანახევრეს დახმარება საქართველოსთვის, რადგან მათ ვერ ნახეს ის შედეგი, რომელსაც ისინი ელოდნენ. ეს თანხა გაიფლანგა. ზოგმა ჩინოვნიკმა თავისი ჯიბე გაივსო და ეს თანხა ვერ მივიდა იმ ხალხთან, ვისაც ძალიან სჭირდებოდა.
*მერი ხაჩიძე, გიორგი ჯინჭარაძე*

უსახლკაროები დავაბინაოთ, შეყვარებულებს ბაღი გავუშენოთ.
*თამუნა კაპანაძე*



სამუშაო ადგილები მოქალაქეებისთვის-აი, რა არის ხელისუფლების საქმე.
*ლევან კაპანაძე*



"და არს ქვეყანა ფრიად ბინძური, რამეთუ იშვიათ არს ტყენი"
უნდა დავფიქრდეთ, რამდენი პრობლემა შეიძლება შეუქმნას ნაგავმა ჩვენს ჯანმრთელობას. გარემოს დაცვა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, ამიტომ აუცილებელია ბრძოლა იმ პროცესებთან, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ბუნება და ხალხის ჯანმრთელობა კატასტროფულ მდგომარეობამდე შეუძლია მიიყვანოს.
*მარი ცომაია, ანი ბურნაძე*

ხალხი, თითქოს შეეჩვია ნაგავში და უსუფთაობაში ცხოვრებას.
*ანა ჯინჭარაძე*

იყიდი ნაყინს, გახსნი და ქაღალდს დაუფიქრებლად აგდებ ძირს. ასეთ ხალხს რომ ჰკითხო, თუ რატომ იქცევა ასე, გიპასუხებს, რომ სხვა გზა არ აქვს-ქუჩაში სანაგვე ყუთები ხომ არ დგას.
*ქეთი ჯოხაძე*

**როცა არჩევანის წინაშე ვდგები, დიდხანს ვფიქრობ, რომ არასწორი არჩევანი არ გავაკეთო. მინდა ჩემი არჩევანი არა მარტო ჩემთვის გამოდგეს სასარგებლო, არამედ ქვეყნისთვისაც და კანონსაწინააღმდეგო არ იყოს. სანდრო ტბელიშვილი.**

**პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.**

**დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge**
**მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა**
**შემდეგი გვერდი გამოვა 11 ნოემბერს**

ფეხბურთი

# კლოდ მაკელელე: "რეალში" სიმართლე დაიკარგა

*სამი წარმატებული სეზონის შემდეგ კლოდ მაკელელემ მადრიდის "რეალი" მიატოვა და ლონდონის "ჩელსიში" გადავიდა. ამ ტრანსფერს დიდი ხმაური მოჰყვა. სპეციალისტთა აზრით, მაკელელეს გაშვებით "რეალმა" დიდი შეცდომა დაუშვა, თავად ფეხბურთელი კი სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას ცუდ მოპყრობაში ადანაშაულებდა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც ფრანგი ნახევარმცველი "რეალის" მიტოვების მიზეზებზე საუბრობს.*



*მაკელელე "ჩელსიმ" მოხიბლა*

**- მიმდინარე სეზონის დაწყების წინ "რეალი" მიატოვეთ და "ჩელსიში" გადახვედით. ამ ტრანსფერზე წმინდა ფინანსური დაინტერესების გამო დათანხმდით?**

- არა. ეს არ იყო ფულის ამბავი, ეს ფეხბურთელებისა და კლუბის ხელმძღვანელობის ურთიერთობის ამბავი იყო. უბრალოდ, "რეალში" სიმართლე დაიკარგა. ფეხბურთელები ხელმძღვანელობას აღარ ენდობოდნენ, ამის გამო კი სამუშაო პირობები გაფუჭდა. ვგრძნობდი, რომ პატივს აღარ მცემდნენ, რასაც ნამდვილად არ ვიმსახურებდი. არ შემეძლო, დავრჩენილიყავი კლუბში, სადაც მოთამაშეებს პატივს არ სცემენ.

**- მაშინ "რეალი" სახალხოდ ირწმუნებოდა, რომ თქვენი შენარჩუნება სურდა. ეს არ იყო მართალი?**

- კლუბი წამდაუწუმ იცვლიდა პოზიციას ჩემს კონტრაქტთან დაკავშირებით და ყველა იმ საკითხში, რომელიც ამ კონტრაქტს ეხებოდა. მაგრამ მე უკვე მიღებული მქონდა გადაწყვეტილება, რადგან მოთმინების ფიალა ამევსო. მე წასვლა მინდოდა და "ჩელსის" სახით კარგი შანსი მომეცა.

**- რით მოგხიბლათ "ჩელსიმ"?**

- იმით, რომ ძალიან უნდოდათ ჩემი გადასვლა. ფეხბურთელისთვის მეტისმეტად მნიშვნელოვანია, როდესაც "ჩელსის" დონის კლუბს ასე ძალიან უნდა შენი შეძენა. ჩემთვის ეს უდიდესი საჩუქარი იყო – მწვრთნელი, რომელსაც მე მართლა ვუნდოდი და პრეზიდენტი, რომელსაც მე ნამდვილად ვაინტერესებდი.

**- ვინ გაწვდიდათ ინფორმაციას?**

- მარსელ დესაის, საფრანგეთის ნაკრებში ჩემს კოლეგას, ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე. როდესაც "რეალის" მიტოვება გადავწყვიტე, უამრავი წინადადება მქონდა. მაგრამ დესაიმ დამარწმუნა, რომ "ჩელსი" მომავლის გუნდი, უდიდესი ამბიციების მქონე კლუბია.

**- "რეალი" კარგ მოგონებად დაგრჩებათ?**

- "რეალში" ბრწყინვალე სამი წელიწადი გავატარე და უამრავი ტიტული მოვიპოვე. მაგრამ მადრიდი წარსულია, ახლა მხოლოდ მომავალი მაინტერესებს. ეს მომავალი კი "ჩელსია".

**- შეუძლია თუ არა "ჩელსის" ინგლისის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება?**

- ამის თქმა ჯერ ადრეა. ჩვენ სწორ გზას ვადგავართ, მაგრამ ფეხბურთელები ერთმანეთს და ერთმანეთის თამაშის მანერას ჯერ კარგად არ იცნობენ. "მანჩესტერისა" და "არსენალის" ფეხბურთელებმა თავიანთი თანაგუნდელების თითოეული მოძრაობა ზეპირად იციან. როდესაც ჩვენც ასე გავიცნობთ ერთმანეთს, "ჩელსის" შეჩერება ძალიან ძნელი იქნება.

TV სპორტი

## შაბათი. 1 ნოემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. "LOS ANGELES CLIPPERS" - "SEATTLE SUPERSONICS". პირდაპირი ტრანსლაცია
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "მარსელი" – "პორტუ"
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:10 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
16:40 თავისუფალი დარტყმა
16:55 რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" – "სპარტაკ – ალანია". პირდაპირი ტრანსლაცია
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "პორტსმუტი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (19:45) თავისუფალი დარტყმა
20:50 ხვალინდელი პროგრამა
20:55 გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" – "ბავარია"
22:35 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:30 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" – "იუვენტუსი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" – "ფრაიბურგი"
03:20 03:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "TORONTO RAPTORS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**

10:00 "ყინულის ხანა". პროგრამა ეძღვნება ჰოკეის
11:00, 14:15, 17:30 პრესცენტრი
11:15, 17:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "INDIANA PACERS" - "MILWAUKEE BUCKS"
13:45 პროფესიული კრივის ამბები
14:30 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE CANADA"
17:50 სახვალიო ტელეპროგრამა
17:55 ჩოგბურთი. "Masters Series" პარიზში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW JERSEY DEVILS" - "COLORADO AVALANCHE". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (22:40) პრესცენტრი
00:30 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
01:00 ახალი ამბები
01:15 "ჩქაროსნული სამყარო"
01:55 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "SKATE CANADA". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

06:00 K1. მსოფლიო გრან-პრი იაპონიაში
11:30 რალი რეიდი. მსოფლიო თასი
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
14:00 ფეხბურთი. უეფა
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
15:45 მოტორბოლები. გრან-პრი ესპანეთში
17:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
20:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
21:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი ტრიკშოტში
23:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში
00:30 მულტისპორტი
01:00 ექსტრემალური სპორტი
02:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
03:30 ახალი ამბები
03:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
04:15 ახალი ამბები
04:30 04:30-დან 11:30-მდე შესვენება
05:15 ახალი ამბები
05:30 K1. მსოფლიო გრან-პრი იაპონიაში

გამოკითხვა

# სპორტსმენები არჩევნებზე მიდიან. თქვენ?

*ხვალ საპარლამენტო არჩევნების დღეა. როგორც უყვართ ხოლმე თქმა, საქართველო მომავალს ირჩევს. ჰოდა, ამ ფერხულში ჩვენი გაზეთიც აქტიურად ჩაება. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩვენ სპორტსმენების აქტივობა გვაინტერესებდა, ამიტომ ზოგიერთ მათგანს დავუკავშირდით და არჩევნებზე შევეკითხეთ. აღმოჩნდა, რომ სპორტსმენები აპირებენ, ჩვენი ქვეყნის მომავლის განსაზღვრაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. ხმას მისცემენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეები.*

***რესპონდენტებს სამი შეკითხვა დავუსვით:***
*1. მიდიხართ თუ არა არჩევნებზე?*
*2. გაყალბდება თუ არა არჩევნები?*
*3. რას ელით მომავალი არჩევნებისგან?*

**ბიძინა გუჯაბიძე (მთამსვლელი, ევერესტის ორგზის დამპყრობი):**

"მივდივარ არა კენჭის საყრელად, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ ხმის მისაცემად. საქმე ისაა, რომ არის კიდევ ერთი ბიძინა გუჯაბიძე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის სახელით ლანჩხუთში იყრის კენჭს. რაც შეეხება იმედს... მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ჩემი ხმა ვინმეს წაადგება. არჩევნების შემდეგ კი ცოტა უკეთესობას ველი. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, რომ ასე იყოს".

**ლევან კობიაშვილი (ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრებისა და "შალკეს" წევრი):**

"არჩევნებზე წასვლა ნამდვილად მინდა, მაგრამ არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა, რადგან ბუნდესლიგაში და უეფა-ს თასზე მნიშვნელოვანი მატჩები გვაქვს. ცხადია, დიდი სურვილი მაქვს, რომ არჩევნები არ გაყალბდეს, თუმცა, არ ვიცი, რა მოხდება. მარტო მე კი არა, არავინ იცის, თუ როგორ ჩატარდება ეს არჩევნები და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გავიგებთ. სასიკეთო ძვრების იმედი ნამდვილად მაქვს, მჯერა, რომ საბოლოოდ რაღაც შეიცვლება. მართლა ბანანის რესპუბლიკას ხომ არ დავემსგავსებით?! იქნებ ამჯერად მაინც შეიცვალოს რამე, ხალხი დაიღალა ამ ყველაფრით, მაგრამ იმედი მაინც ყველას აქვს".

**გიორგი ქინქლაძე (ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრების წევრი):**

"წავიდე თუ არა არჩევნებზე, ამაზე არ მიფიქრია. არც იმით დაინტერესებულვარ, არის თუ არა ინგლისში ჩვენი საარჩევნო უბანი. იმედი მაქვს, ამჯერად მაინც აღარ გააყალბებენ. ალბათ, ამ არჩევნების შემდეგ სასიკეთო ძვრები მოხდება".

**ლადო ბურდული (ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" წევრი):**

"აუცილებლად წავალ არჩევნებზე. ჯერ არ ვიცი, რომელ პარტიას მივცემ ხმას, მაგრამ მაჟორიტარულ არჩევნებში ჩემი ახლობელი იყრის კენჭს და ხმას მას მივცემ. კაცი იმედით ცოცხლობს. მეც პატარა იმედი მაქვს, რომ ეს არჩევნები მდგომარეობას გამოასწორებს. თუმცა, ცოტა ეჭვიც მეპარება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ვინც გაიმარჯვებს არჩევნებში, რეალურად საქმე გააკეთოს. ლაპარაკი და დაპირებები ყოველთვის იყო, მაგრამ საქმე ჯერ არ გაკეთებულა. არჩევნები ადრეც გაყალბებულა და ამისგან არც ახლა იქნება დაზღვეული. დარწმუნებული ვარ, ყველა პარტია ეცდება, რაც შეიძლება მეტი ხმა მოიპოვოს და ამაში მხოლოდ ამომრჩევლების იმედი არ ექნება. ყველა ეცდება, მეტოქეს ამის საშუალება არ მისცეს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ არჩევნები უმნიშვნელოდ მაინც გაყალბდება".

**გიორგი შაშიაშვილი (ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" წევრი):**

"ამ თემაზე სერიოზულად არ მიფიქრია, მაგრამ, ალბათ, მაინც წავალ არჩევნებზე. ჯერ არ გადამიწყვეტია, ვის მივცემ ხმას. მგონია, რომ ეს არჩევნები ქვეყანაში არსებულ ვითარებას უფრო სასიკეთოდ შეცვლის, ვიდრე გააუარესებს. რაც შეეხება გაყალბებას, ეს საქართველოში ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ახლა ნაკლებად იქნება ამის შანსი და 2 ნოემბერი ნორმალურად ჩაივლის. თუმცა, იდეალურადაც რომ ჩატარდეს, წინასაარჩევნო სიტუაცია ისეთია, არჩევნებში დამარცხებული პარტიები ხმაურს ატეხენ".

**რომან შოთაძე (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი):**

"არჩევნებზე აუცილებლად წავალ, თანაც, მთელი ოჯახით. გაყალბდება თუ არა არჩევნები? – სწორედ იმიტომ მივდივართ, რომ არ გაყალბდეს. თუ ხალხს ხმის მიცემა არ დაეზარება, არჩევნების გაყალბების შანსიც შემცირდება. არჩევნებს დადებითი ცვლილებები მოჰყვება იმ შემთხვევაში, თუ არ გაყალბდება და პარლამენტშიც ღირსეული ადამიანები მოვლენ. ხალხი კი ნამდვილად ღირსეულებს აირჩევს. მინდა, პარლამენტში ის ხალხი მოვიდეს, ვინც სპორტისა და, კერძოდ, ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. სპორტს უნდა ჰყავდეს "საპარლამენტო ლობი", რომელიც სამართლიანი კანონების მიღებით დაეხმარება ქართულ სპორტს და ფეხბურთს".

**მანუჩარ კვირკველია (მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონი):**

"წავალ, აბა რას ვიზამ! სიმართლე გითხრათ, პოლიტიკისგან შორს ვარ. არჩევნებს, ალბათ, გააყალბებენ. მოჭიდავეები ერთად გადავწყვეტთ, ვის მივანიჭოთ უპირატესობა. თუმცა, არა მგონია, ჩემი ხმა გადამწყვეტი იყოს".

**ბადრი ხასაია (მოჭიდავე, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი):**

"არჩევნებზე მივდივარ, მაგრამ არ ვიცი, რამდენად დაცული იქნება ჩემი ხმა. თითქოს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ არჩევნები არ გაყალბდეს. თუმცა, თუ ძველ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, შესაძლოა, გააყალბონ კიდეც. ჩვენს ქვეყანაში სტაბილური არაფერია. ანუ, ყველაფერია მოსალოდნელი. არჩევნებისგან არაფერს ველოდები. არა მგონია, რამე სასიკეთოდ შეცვალოს. თუმცა, არც ის მინდა, ჩემს მაგივრად ვინმე სხვა მივიდეს საარჩევნო ყუთთან. ამიტომ უნდა წავიდე".

**მუხრან ვახტანგაძე (მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონი):**

"რა თქმა უნდა, წავალ და ჩემს ხმას შევაწევ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა ნაკლებად მაინტერესებს. 2 ნოემბრის მერე შეიცვლება თუ არა რამე, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ გაიმარჯვებს".



*ბიძინა გუჯაბიძე: "მე ოპტიმისტი ვარ..."*



*ლევან კობიაშვილი: "...მჯერა, რომ საბოლოოდ რაღაც შეიცვლება"*



*მანუჩარ კვირკველია: "წავალ, აბა რას ვიზამ!"*



*მუხრან ვახტანგაძე: "შეიცვლება თუ არა რამე, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ გაიმარჯვებს"*

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბრაზილიელი რონალდო უკმაყოფილოა იმის გამო, რომ მისი კლუბის, მადრიდის "რეალის" პორტუგალიელი მწვრთნელი კარლოს კეიროში მას ხშირად ცვლის. "არ მიყვარს, როდესაც მცვლიან. მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, მწვრთნელის გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილო. მე არ გამიანალიზებია, სწორი იყო თუ არა მის მიერ განხორციელებული ცვლილებები, მაგრამ ერთი რამ ვიცი: ისე როგორც ნებისმიერ სხვა ფეხბურთელს, მეც მინდა, რომ 90 წუთის განმავლობაში მათამაშონ", - განაცხადა რონალდომ. შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი 11 მატჩიდან კეიროშმა 9-ჯერ შეცვალა რონალდო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბის, "უოტფორდის" მთავარი სელექციონერი ტერი ბირნი დევიდ ბექჰემის პირადი მენეჯერი გახდა. ბირნმა თავისი ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ბექჰემისგან მიიღო "წინადადება, რომელზეც უარს ვერ იტყოდა". ბირნი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, თამაშობდა "ლეიტონ ორიენტში" და "კემბრიჯ იუნაიტედში". 1993 წელს მან ფეხბურთელის კარიერა დაასრულა და "ჩელსიში" დაიწყო მუშაობა – მასაჟისტისა და ადმინისტრატორის ფუნქციებს ასრულებდა. შემდეგ მედიცინა შეისწავლა და "ჩელსის" ფიზიოთერაპევტის ასისტენტი გახდა. 2001 წელს გადავიდა "უოტფორდში", სადაც სასელექციო განყოფილების დირექტორად დანიშნეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრემენის "ვერდერი" ინგლისური "ასტონ ვილას" თურქი ლეგიონერის, ალფაი ოზალანის შეძენით დაინტერესდა. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელს "ასტონ ვილადან" გაძევებას უპირებენ. მიზეზი კი თურქეთ-ინგლისის ამასწინანდელ მატჩში ალფაისა და დევიდ ბექჰემის შეხლა-შემოხლა გახლავთ. ინგლისელმა გულშემატკივრებმა ალფაის ბექჰემთან ჩხუბი არ აპატიეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ნოემბერში რუსეთში გამოვა ბიოგრაფიული წიგნი მოსკოვის "სპარტაკისა" და რუსეთის ნაკრების ნახევარმცველ ეგორ ტიტოვზე. ეს იქნება პირველი წიგნი სერიისა "რუსული სპორტის ვარსკვლავები", რომელსაც გამომცემლობა "ტერა სპორტი" გამოსცემს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დორტმუნდის "ბორუსიამ" ახლა უკვე ბრაზილიელი დედეც დაკარგა. გერმანული კლუბის მარცხენა მცველმა ტერფის ტრავმა მიიღო და გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდება. "ბორუსიას", მართლაც, ტრავმების ეპიდემია შეეყარა. შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამო შესვენება უწევთ ტომაშ როსიცკის, მარსიო ამორუზოს, ევანილსონს, ფლავიო კონსეისაოს და ტორსტენ ფრინგსს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფიფა-მ არ დართო ნება მარსელის "ოლიმპიკს", "მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი მეკარე ფაბიენ ბარტეზი თავისთან გადაიყვანოს. ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციამ ეს ტრანსფერი იმის გამო დაბლოკა, რომ ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ სატრანსფერო ფანჯრის დროს არის შესაძლებელი. მომავალი ასეთი ფანჯარა კი ზამთარში გაიხსნება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გასულ სეზონში მადრიდის "რაიო ვალეკანო" ესპანეთის უმაღლესი ლიგიდან გავარდა, რის გამოც გუნდის ქომაგები მეტისმეტად გულნატკენები არიან. თუმცა, ამ გუნდის თაყვანისმცემლებს სიხარულის საბაბი გამოუჩნდათ. უკანასკნელი ინფორმაციით, კლუბი ივან დე ლა პენიას გადაბირებას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ "პატარა ბუდად" წოდებული დე ლა პენია "ბარსელონას" ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი იყო, მაგრამ მისი კარიერა უიღბლოდ აეწყო. დე ლა პენიამ რომის "ლაციოში" ამოყო თავი, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა. ბოლოს ბარსელონას "ესპანიოლში" გადავიდა, თუმცა, ზაფხულში ამ კლუბიდანაც დაითხოვეს. მას შემდეგ დე ლა პენია უგუნდოდ არის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** პორტუგალიური "პორტოს" წარმოშობით ბრაზილიელ ნახევარმცველს, დეკოს, ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ემუქრება. "ბოავიშტასთან" მატჩში დეკო მოედნიდან გააძევეს, მან კი მინდვრის დატოვებისას მსაჯს ბუცები ესროლა. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია ახლა დეკოს საკითხს განიხილავს. შესაძლოა, მის საქციელს მსაჯზე თავდასხმის კვალიფიკაცია მიეცეს. თუ მართლაც ასე მოხდა, დეკოს დიდი ხნით ჩამოაშორებენ ფეხბურთს.



## ინფოთეკა

**კალათბურთი.** "ფილადელფიას" ლიდერმა ალენ აივერსონმა თავისი გუნდის უკანასკნელი ვარჯიში დროზე ადრე დატოვა. აივერსონი თანაგუნდელს უხერხულად შეეჯახა და მხარი და მარცხენა ხელი დაიზიანა. ტრავმის სიმძიმის ხარისხს დამატებითი გამოკვლევები განსაზღვრავს. ვარაუდობენ, რომ აივერსონი მალე მწყობრში ჩადგება. თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "საკრამენტოსთან" შეხვედრაში, სასტარტო ხუთეულში მის ადგილს აარონ მაკი დაიკავებს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ყველაფერი იქით მიდის, რომ 2004 წელს ახალ მოდელს პირველად "მაკლარენი" აჩვენებს. ახალი ბოლიდი MP4-19 ტესტებზე, როგორც ჩანს, ვალენსიაში, ნოემბრის ბოლოს გამოჩნდება. ეს მანქანა შეიქმნა MP4-18-ის ბაზაზე, რომელიც რბოლებში არასოდეს გამოუყენებიათ. საერთოდ, გუნდები ახალ ბოლიდებს იანვრის ბოლოს წარმოადგენენ, ბევრი კი (მათ შორის "მაკლარენიც") - თებერვალში. თუმცა, ბოლო ჩემპიონატებმა აჩვენეს, რომ საიმედოობაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. "მაკლარენიც", ალბათ, სწორედ საიმედოობაზე აპირებს ყურადღების გამახვილებას. ვარაუდობენ, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში ტრასაზე ახალი Williams FW26 გამოჩნდება.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ესპანელმა მარკ ჟენემ "უილიამსთან" კონტრაქტი 2004 წლამდე გაახანგრძლივა. "ძალიან მიხარია, რომ საშუალება მეძლევა, "უილიამსში" კიდევ ერთი წლით დავრჩე", - განაცხადა ჟენემ, რომელიც წლევანდელ ჩემპიონატში გრან-პრის ეტაპებზე მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა. სამაგიეროდ ესპანელმა ტესტებზე მთელი 24 ათასი კილომეტრი გაიარა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ავსტრალიელი კეტი ფრიმენი, რომელსაც 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიური ჩირაღდანი ბოლო ეტაპზე ანდეს, კვლავ მიიღებს წმინდა ჩირაღდნის ხელში დაჭერის უფლებას. ამჯერად ფრიმენი პირველი იქნება, ვინც ცეცხლს ათენის გზას გაუყენებს. როგორც ოფიციალურ პრეს-რელიზში აღინიშნა, "ეს ტრადიციის გაგრძელების სიმბოლო იქნება".

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** 800 მეტრ დისტანციაზე სირბილში ოლიმპიურ ჩემპიონს, ნილს შუმანს, აქილევსის ქუსლზე განმეორებითი ოპერაცია სჭირდება. 25 წლის სპორტსმენის მწვრთნელმა ტომას შპრინგშტაინმა განაცხადა, რომ ხელმეორე ქირურგიული ჩარევა იმისთვის გახდა საჭირო, რომ პირველი ოპერაციის დროს დაშვებული შეცდომები გამოსწორდეს. შუმანმა უკვე გამოტოვა 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც პარიზში გაიმართა. ახლა კი, მწვრთნელის თქმით, სპორტსმენი ვერ შეძლებს ზამთარში, დარბაზებში გამართულ შეჯიბრებებში მიიღოს მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, შპრინგშტაინს სწამს, რომ მისი აღსაზრდელი მოახერხებს, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდეს და ტიტული შეინარჩუნოს.

■ ■ ■

**რაგბი.** მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ავსტრალიაში მიმდინარეობს, გაიმართა ჯგუფური ტურნირის ერთი შეხვედრა. საფრანგეთის ნაკრებმა - 41:14 დაამარცხა აშშ-ის გუნდი (მან თავის ქვეჯგუფში ოთხივე მატჩი მოიგო). ამ თამაშში მონაწილეობა მიიღო დიმიტრი იაშვილმა, რომელმაც მეტოქეს ერთი არეკნი გაუტანა.

■ ■ ■

**კრივი.** ხუთშაბათს ოსკარ დე ლა ჰოია ახალ ამპლუაში - "ტელემუნდო სპორტსის" კომენტატორის რანგში წარუდგინეს ჟურნალისტებს. დე ლა ჰოიამ მოკლედ ისაუბრა თავისი სპორტული გეგმების თაობაზე. "მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მოკრივის კარიერას გავაგრძელებ. შემიძლია ისიც გითხრათ, რომ მოსლისთან მატჩ-რევანში აუცილებლად შედგება, - განაცხადა ოსკარმა, - მსაჯის სიტყვა კანონია და მნიშვნელობა არა აქვს, მცდარია ის თუ არა. ადამიანები შეცდომებს უშვებენ, სრულყოფილი არავინაა. მე 150-ჯერ მეტი დავარტყი, მაგრამ ვერ გავიმარჯვე, თუმცა, გულშემატკივრებმა იციან, სინამდვილეში ვინ მოიგო და მთავარიც ეს არის ".

■ ■ ■

**კრივი.** ახლახან გაჩნდა ცნობა, რომ ხელმოსაწერად გამზადებულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ სუპერმძიმე წონაში IBF-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ჯეიმს ტონი და ჯამილ მაკლაინი. ბრძოლის გამართვის ვადად 2004 წლის იანვარი სახელდება, ხოლო ჩხუბს გადასცემს ტელეარხი "შოუტაიმი". მაკლაინის პრომოუტერი სედრიკ კუშნერი ამბობს: "ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება მისტერ ტონის პრომოუტერთან და იმედი მაქვს, შევთანხმდებით. ვფიქრობ, ეს შესანიშნავი ბრძოლა იქნება". კუშნერმა მოლაპარაკების პროცესი ასე დაახასიათა: "ძალიან სერიოზულია". ტონის პრომოუტერმა დენ ჰუსენმა კომენტარისგან თავი შეიკავა.

■ ■ ■

**რალი.** ბრიტანელმა მრბოლმა კოლინ მაკრეიმ განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან რალის მსოფლიო ჩემპიონატზე აღარ იასპარეზებს. ამ გადაწყვეტილებამდე მაკრეი მას შემდეგ მივიდა, რაც "სიტროენმა" მომავალი სეზონისთვის შემადგენლობა დაასახელა. შემადგენლობაში მოხვდნენ სებასტიან ლები და კარლოს საინცი. ძველი წესების თანახმად, მაკრეი შეიძლება მესამე ყოფილიყო, მაგრამ შეჯიბრების დირექტორატის გადაწყვეტილებით, რომელმაც ეს წესი შეცვალა, მაკრეისთვის გუნდში ადგილი აღარ გამოინახა.

---

ჩოგბურთი

# დაუმარცხებელი კუერტენიც კი...



სანდრო ნავერიანი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამერიკელ ენდი როდიკს ვერავინ შეუშლის ხელს მესამე მასტერსის მოგებაში – დარჩენილი მონაწილეებიდან არავის შესწევს საიმისო ძალა, რომ მას წინააღმდეგობა გაუწიოს. ფედერერი ვერ არის სასურველ ფორმაში, არც ინგლისელ ტიმ ჰენმანს შესწევს ძალა როდიკის დასამარცხებლად, დანარჩენებს კი ისიც ეყოფათ, ამდენი სენსაცია რომ მოახდინეს. მესამე წრის შეხვედრებში სენსაციური შედეგი არ დაფიქსირებულა. შვედი იონას ბიორკმანისა და ფრანგი გრეგორი კარას მატჩი შვედის სასარგებლოდ დასრულდა. მან ახალგაზრდა ფრანგი ორ სეტში დაამარცხა (6:3, 7:6) და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა. ბიორკმანი წყვილთა გათამაშებაში ნახევარფინალში გავიდა – მისი და ვუდბრიჯის ტანდემმა ჰაგარდ-ვისნერის დუეტს სძლია (7:6, 6:4). მეოთხედფინალში ბიორკმანი ამერიკელ ენდი როდიკს დაუპირისპირდება და არა მგონია, ამ ბარიერის გადალახვა შეძლოს. ამერიკელმა მესამე წრის შეხვედრაში ესპანელი ტომი რობრედო დაამარცხა (6:3, 6:4). ესპანელი არც ერთხელ წინ არ გასულა, როდიკის უპირატესობა აშკარა იყო, რაც საბოლოო შედეგზეც აისახა. თუ ამერიკელმა ეს ტურნირი მოიგო, ამით ის მსოფლიო რეიტინგში ას ქულას მიიმატებს, ესპანელ ფერეროს (რომელიც უკვე გამოეთიშა გათამაშებას) 90 ქულით გაუსწრებს და რეიტნგში პირველ ადგილს დაიმკვიდრებს.

ტურნირის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა, შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა ჰოლანდიელ მარტინ ვერკერკს სძლია (6:7, 7:6, 7:6). სამივე სეტში დაინიშნა ტაიბრეიკი, რაც მეტყველებს ფედერერის არასასურველ ფორმასა და კიდევ იმაზე, რომ მისი შანსი ამ ტურნირზე ძალიან მცირეა.

ბოლო დროს საჩოგბურთო სამყარო კუერტენის კარგ თამაშზე ალაპარაკდა, თუმცა... ცოტა ხნით. ინგლისელმა ტიმ ჰენმანმა ბრაზილიელი ძალიან ადვილად დაამარცხა (6:4, 6:2). ბრაზილიელს იმის შანსიც არ ჰქონია, რომ თუნდაც ერთი გეიმი მოეგო მეტოქის მოწოდებაზე. "გუგამ" ბოლო შვიდი შეხვედრა მოიგო და თან მატჩიდან მატჩამდე უმატებდა თამაშს. ამიტომაც ითვლებოდა ბრაზილიელი ჰენმანისა და კუერტენის მატჩში ფავორიტად. ინგლისელმა უკვე მეორე ფავორიტი გამოთიშა ტურნირს, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სებასტიან გროსჟანი და გუსტავო კუერტენი არ იყვნენ მთავარი ფავორიტები. მთავარ ფავორიტებთან ამის შემდეგ მოუწევს შეხვედრა.

ასე მალე მოვიდა მეოთხედფინალებიც. ერთ მეოთხედფინალურ წყვილზე უკვე გითხარით (ის როდიკსა და ბიორკმანს შორის გაიმართება), დანარჩენ სამზე კი ახლა გეტყვით. ანდრეა პაველმა უკვე მოასწრო მეოთხედფინალური მატჩის ჩატარება და ნახევარფინალშიც გავიდა. მან გერმანელი რაინერ შუტლერი დაამარცხა (2:6, 6:3, 6:2). რუმინელი ჩოგბურთელი კარგ ფორმაშია, რისი შედეგიც არის ის, რომ ამდენ წარმატებას აღწევს. ირჟი ნოვაკი, რომელმაც ამ ტურნირზე ყველაზე ხმაურიანი სენსაცია გამოაცხო, მეოთხედფინალში მაროკოელ ჰიხამ არაზისთან გაარკვევს ურთიერთობას. გამარჯვების უფრო დიდი შანსი აქვს ჩეხ ჩოგბურთელს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ფერეროს მოუგო, არამედ იმიტომ, რომ ძალიან კარგ ფორმაშია. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მაროკოელიც, რომელიც წარმატებით გამოდის ამ ტურნირზე. კიდევ ერთი ფავორიტი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი ინგლისელ ტიმ ჰენმანს დაუპირისპირდება და მაყურებლის თვალში რეაბილიტაციას შეეცდება. დიდი შანსია იმისა, რომ ნახევარფინალში შვეიცარიელი კი არა, ინგლისელი ჩოგბურთელი გავიდეს. ეს თამაში რომ ორი თვის წინ ჩატარებულიყო, უყოყმანოდ დავასახელებდი ფავორიტს, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა ფედერერი აღარ არის ის, რაც იყო. გთავაზობთ შედეგებს.

| | |
|---|---|
| **მესამე წრე. 30 ოქტომბერი** | |
| იონას ბიორკმანი (შვედეთი) - გრეგორი კარა (საფრანგეთი) | 6:3, 7:6 |
| ენდი როდიკი (აშშ) - ტომი რობრედო (ესპანეთი) | 6:3, 6:4 |
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) - მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) | 6:7, 7:6, 7:6 |
| ტიმ ჰენმანი (ინგლისი) - გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 6:4, 6:2 |
| **1/4 ფინალი** | |
| ანდრეა პაველი (რუმინეთი) - რაინერ შუტლერი (გერმანია) | 2:6, 6:3, 6:2 |
| **წყვილთა გათამაშება. 30 ოქტომბერი** | |
| ლოდრა/სანტორო - კორეჩა/ლოპესი | 6:0, 6:3 |
| ბიორკმანი/ვუდბრიჯი - ჰაგარდი/ვისნერი | 7:6, 6:4 |

---

კალათბურთი

# ვუნდერკინდი 23 ნომრით

სანდრო კუპრავა

ხუთშაბათს, გვიან ღამით, გაიმართა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის თამაშები. "სიეტლ სუპერსონიქსმა" "ლოს ანჯელეს ქლიპერზს" უმასპინძლა და მოუგო კიდეც - 109:100. "სიეტლის" შემადგენლობაში საუკეთესოები იყვნენ ლუისი (25 ქულა), მიურეი (24), ბარი (19), რადმანოვიჩი (13), "ქლიპერზის" შემადგენლობაში კი - ჰაუსი (22), ბრენდი და მეგეტი (21-21).

ქართველი ფაჩულიას "ორლანდო მეჯიქმა" საკუთარ მოედანზე ახალ ორლეანელებთან დათმო მატჩი - 98:100. ორლანდოელთა შემადგენლობაში ქართველი ისევ არ გამოჩენილა. ამ გუნდიდან თავი გამოიჩინა მაკგრეიდიმ (33 ქულა), ჰოვარდმა და უილიამსმა კი, შესაბამისად, 15 და 12 ქულა შესძინეს თავის გუნდს. ახალი ორლეანის გუნდში საუკეთესოები იყვნენ უესლი (28) და მელიორი (27).

"ჰიუსტონ როქეთსმა" პირველი მატჩი ჩაატარა თავის ახალ სარბიელზე "Toyota center"-ში. რაკეტებმა "დენვერ ნაგეთსი" დაამარცხა - 102:85. დენვერელთა შემადგენლობაში ნიკოლოზ ცქიტიშვილმა 16 წუთი ითამაშა და გუნდს 4 ქულა შესძინა, გააკეთა ექვსი მოხსნა, ერთხელ დააფარა და ერთხელაც დაკარგა ბურთი. "დენვერის" შემადგენლობაში საუკეთესონი იყვნენ მილერი (19) და ენტონი (18). ჰიუსტონელებს შორის კი თავი გამოიჩინეს მობლმა (21), მინმა (19) და ფრენსმა (17).

ფენიქსელმა მზეებმა კლივლენდელი კავალერები მიიღეს და დაამარცხეს კიდეც. ფენიქსელთა გუნდში თავი გამოიჩინეს სტაუდმაიერმა (25) და მარბერიმ (24). კავალერების შემადგენლობაში კი ახალგაზრდა ლებრონ ჯეიმსმა გაიბრწყინა. მან თავის გუნდს 21 ქულა მოუტანა, გააკეთა 12 მოხსნა და 8 შედეგიანი გადაცემა. მთელი ამერიკა დაინტერესებულია მისი ბედით. 18 წლის კალათბურთელმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა, ბევრ სპეციალისტს კი ათქმევინა, რომ ის ვუნდერკინდია.


REUTERS

ამერიკა ლებრონ ჯეიმსს შესცქერის

---

რაგბი

# იტალიელები ბათუმში

პაატა თოთაძე

აქამდე მსოფლიო თასით დაკავებულ რაგბის ქართველ გულშემატკივარს ამიერიდან შინაურ ასპარეზობებსა და ევროპის რეგიონთა თასზე მოუწევს ყურადღების გადატანა. ამ უქმეებზე ევროპის რეგიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩები უნდა გაიმართოს. ტურნირზე საქართველოს წარმოადგენს აჭარის რეგიონი, რომელიც 2 ნოემბერს იტალიის ვენეტიეს პროვინციის გუნდს შეხვდება. ბათუმელებმა აქამდე ორი ეტაპი დაძლიეს, თუმცა, რეალურად მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშეს. ივნისში მათ სტუმრად დაამარცხეს ხარკოვის ოლქის გუნდი, მერვედფინალში კი ქართველებთან თამაში იუარა ციმბირის ნაკრებმა, რის გამოც ჩვენები უბრძოლველად გავიდნენ შემდგომ ეტაპზე. რუსთა ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი ის გახდა, რომ, ტურნირის წესების მიხედვით, გუნდს შემადგენლობაში შეიძლება ჰყავდეს ეროვნული ნაკრების მხოლოდ 7 წევრი. ციმბირელები კი ნაკრების 11 მოთამაშით აპირებდნენ ბათუმში ჩასვლას, ანუ "დათვებს", ფაქტობრივად, რუსეთის ოდნავ შესუსტებულ ნაკრებთან უწევდათ ჭიდილი. ნაკრების ოთხი წევრის დატოვება ციმბირული გუნდის ხელმძღვანელობამ არ ისურვა – თუ წავალთ, მოსაგებად წავალთ, თორემ მათ გარეშე ჩვენი შანსი შემცირდება, წასაგებად კი ამხელა გზაზე წასვლა არ გვინდაო.

რუსებზე ჩამოვარდა სიტყვა და ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ რამდენიმე დღის წინ ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა შეიცვალა. კვირას მოსკოვში გამართულ რაგბის კავშირის ყრილობაზე რუსული რაგბის ახალ მმართველად ვიაჩესლავ კოპიევი აირჩიეს. აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი იური ნიკოლაევი ამიერიდან ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციას შეასრულებს. რაც შეეხება მეტოქეს, იტალიელებისთვის ეს მატჩი პირველი იქნება ტურნირზე. ქვეყნის მაღალი რეიტინგის გამო, იტალიური და ფრანგული გუნდები ასპარეზობაში მეოთხედფინალიდან ერთვებიან.

იტალიელებთან შეხვედრის თარიღი კი გადაწყვეტილია, მაგრამ, ევროპული რაგბის მმართველი ორგანიზაციის FIRA-AER-ის დაუდევრობით, დღემდე არაა გაცხადებული, თუ ვინ იმსაჯებს მატჩს. სხვათა შორის, იმავე ორგანიზაციის "წყალობით", მატჩის ჩატარება კინაღამ სათუო გახდა და ქართველებსაც, შესაძლოა, უთამაშებლად ჩათვლოდათ წაგება. საქმე ისაა, რომ FIRA-დან ბათუმში გაგზავნეს წერილი, რომლშიც ნათქვამი იყო, რომ თუ მასპინძლები 24 ოქტომბრის დღის 1 საათამდე არ დაადასტურებდნენ თამაშისთვის მზადყოფნას, წაგება ჩაეთვლებოდათ. თითქოს წინ რა უნდა დადგომოდა პასუხის გაცემას, მაგრამ წერილი, რატომღაც, სულ სხვა მისამართზე იყო გამოგზავნილი, რის გამოც აჭარის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ის დროულად ვერ იხილა. აქედან გამომდინარე, დაგვიანდა პასუხის გაგზავნაც, თუმცა, ბათუმელებმა ჭკუა იხმარეს და პირდაპირ იტალიელებს შეეხმიანენ. გაირკვა, რომ FIRA-ს მესვეურებს იტალიელებიც შეცდომაში შეუყვანიათ – არც მათ იცოდნენ, სად და როდის უწევდათ თამაში. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა და იტალიელებიც, სტამბულისა და ტრაბზონის გავლით, დღეს ესტუმრებიან ბათუმს. ტრაბზონში ჩასულებს, აჭარის რაგბის კავშირის წარმომადგენლები დახვდებიან და ბათუმისკენ გაუძღვებიან.

ამ მატჩისთვის ბათუმელთა მწვრთნელი რამაზ სანებლიძე საქართველოს ნაკრებში გამოძახებული გოჩა ხონელიძის დამატებას ელოდა, თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ზღვისპირელებს მის გარეშე მოუწევთ თამაში. მსოფლიო თასზე მყოფი ბორჯღალოსნები სამშობლოში ხვალ დაბრუნდებიან და ხონელიძე, ალბათ, ვერ შეძლებს კვირას თამაშს.

---

ფორმულა 1

# რითი არ ჰგავს უმცროსი შუმახერი უფროსს

გიგა გურასაშვილი

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის შუა წელში წარმატებების შემდეგ "უილიამსის" გერმანელი პილოტი რალფ შუმახერი და მისი მეუღლე კორა "გერმანელ ბექჰემებად" შერაცხეს. ძმები შუმახერების მენეჯერი ვილი ვებერი კი ამ პარალელით აშკარად უკმაყოფილოა. უფრო სწორად, რალფის ოჯახის ამგვარი იმიჯი ვებერს სულაც არ ეპიტნავება, უნდა, რომ რალფი და კორა საზოგადოებამ ისევე აღიქვას, როგორც უფროსი ძმას, "ფერარის" პილოტს, მიხაელსა და მის მეუღლეს, კორინას აღიქვამენ.

ფაქტია, უმცროსი შუმახერის ოჯახი მკვეთრად განსხვავდება უფროსი შუმახერისგან, რითაც რალფი და კორა ერთობ კმაყოფილი არიან. გთავაზობთ ერთ-ერთ ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ ინტერვიუს, რომელიც უმცროსი შუმახერის ოჯახზე ბევრ საინტერესოს გვამცნობს. კერძოდ, ამ ინტერვიუში რალფი და კორა თავიანთ სიყვარულზე, მათ შესახებ გავრცელებულ ჭორებსა და, რა თქმა უნდა, მიხაელთან და კორინასთან მუდმივ შედარებებზე ყვებიან.

**- რა გიზიდავთ ერთმანეთში?**

**რალფი:** ადამიანების ზუსტი შეფასება თუ დახასიათება არასდროს გამომდიოდა, განსაკუთრებით საკუთარი მეუღლის.

**კორა:** მე პირიქით, მიყვარს ამაზე ლაპარაკი. რალფი საიმედო, მშვიდი და სიმპათიურია. ყოველთვის მხარში მიდგას. მით უმეტეს, მაშინ, როცა უამრავი პრობლემა მაქვს. ყოველთვის ყურადღებით მისმენს, მეხმარება. თუ რამე არ გამომდის, მაშინვე მიატოვებს ყველაფერს და ჩემს გვერდით გაჩნდება ხოლმე.

**- ალბათ, ესაა ნამდვილი სიყვარული. მით უმეტეს, რომ რამდენიმე თვის წინ თქვენი ოჯახის თავზე შავმა ღრუბელმა მოიყარა თავი. თქვენს ქორწინებასთან დაკავშირებით არაერთი საშინელი ჭორი გავრცელდა...**

**რალფი:** ...რომლებზეც ვიცინოდი. ამ მითქმა-მოთქმას არასერიოზულად აღვიქვამდი, რადგან მე უკეთ ვიცი, რა ხდებოდა ჩემს ოჯახში. ამიტომ სულ არ ვნერვიულობდი. თუმცა, ძალიან დამწყვიტა გული იმ ჭორმა, თითქოს ცოლი რალაცას მატყუებდა. ამიტომ სასწრაფოდ გამოვეხმაურე ამ ბოდვებს.

**კორა:** ასეთმა სიცრუემ ძალიან გაგვანაწყენა.

**- არიან თუ არა ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, მდგომარეობიდან გამოგიყვანონ?**

**რალფი:** ასეთები მრავლად არიან. შურსაც დამსახურება უნდა. ეტყობა, მე ბევრი ვიმუშავე საკუთარ რეპუტაციაზე.

**კორა:** საკმაოდ არიან ბინძური ჭორების მოყვარულნი. ხანდახან ქუჩაში მიდიხარ და გრძნობ, თუ როგორ ქილიკობენ შენს ზურგს უკან: "შეხედე, ეს ისაა, ჰა-ჰა-ჰა". რალფი ყველანაირად ცდილობდა ასეთი ადამიანებისგან ჩვენს დაცვას. მან ხომ ყველაზე უკეთ იცის ჩვენი ოჯახის შესახებ.

**რალფი:** როდესაც ზედიზედ ორი რბოლა მოვიგე, ხალხმა მაშინვე ეჭვქვეშ დააყენა ჩემი ძმის, მიხაელის ნიჭი. მე კი ოთხ კვირაში განვვლე გზა "საუკეთესო შუმახერიდან" სრულ უილბლობამდე.

**- შენი და მიხაელის სიტუაციები ძალიან ჰგავს ერთმანეთს?**

**რალფი:** ჩვენ, ორივე, სრული ცხოვრებით ვცხოვრობთ. ჩვენ საკუთარი ჰობი ცხოვრების ნაწილად ვაქციეთ. მშვენიერი ოჯახები გვაქვს. ერთი და იგივე მისწრაფებით დავქრივართ და ორივე წარმატებით. ამასთან, ძალიან პატივმოყვარეები ვართ.

**- ამან შეიძლება "ძმათა ომამდე" მიგიყვანოთ...**

**რალფი:** წაგება არ მიყვარს. არც მიხაელს უყვარს წაგება. თუ ის იმარჯვებს, მე მიხარია და პირიქით. მაშინაც კი, თუ გულის სიღრმეში ვფიქრობ: "დალახვროს ეშმაკმა, ისევ ჩემზე უკეთესია..."

**- კიდევ ერთი ჭორი: ამბობენ, კორინას და კორის არცთუ კარგი ურთიერთობა აქვთო...**

**კორა:** სისულელეა. ჩვენ შორის სხვაობა თითქმის ათი წელია. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ინტერესები გვაქვს. ჩვენ არ ვგავართ მიხაელსა და კორინას. უბრალოდ, სხვა ცხოვრება გვაქვს.

**რალფი:** მაგალითად, კორინა ცხენებს ალმერთებს და მათთან დიდ დროს ატარებს. კორის კი ცხოველებზე ალერგია აქვს.

**- ფორმულა 1 თუ გესიზმრებათ?**

**რალფი:** არა, რალაც არ მახსოვს.

**კორა:** როგორ არა, დაგავიწყდა?

**რალფი:** რას გულისხმობ?

**კორა:** ერთხელ შუაღამისას გამოგელვიძა, საწოლზე წამოჯექი და ისეთი პოზა მიიღე, თითქოს სატერფულს აწვებოდი: "ბლუუ, ბლუუ!" დაგიძახე, შენ კი მითხარი: "არ მცალია, საყვარელო, ჯერ სტარტი უნდა ავიღო".

**რალფი:** ეტყობა, გადაღლილი ვიყავი.

**კორა:** მახსოვს, სიცილისგან ლამის გავიგუდე!



რალფს და კორას ერთმანეთი იზიდავს

---

კრივი

# ლუისს ჩხუბი მობეზრდა

კრივის მსოფლიო კავშირის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს, ლენოქს ლუისს, რინგზე გასვლა აღარ სურს. ამის შესახებ "დეილი ექსპრესთან" საუბარში განაცხადა ბრიტანელი მოკრივის აგენტმა ემანუელ სტიუარდმა.

აგენტის თქმით, ლუისს ჩხუბი მარტო 2003 წლის ბოლომდე კი არა, აღარც მომავალ წელს უნდა. სტიუარდის განცხადებით, იმის თქმა, რომ ლუისი რინგზე არასოდეს გავა, ჯერჯერობით არ შეიძლება, თუმცა, ამავე დროს, კრივში მისი დაბრუნების შანსიც არც ისე დიდია.

"ლენოქსმა რინგზე ყველაფერი გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა, – განაცხადა მწვრთნელმა, – მან ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და, საერთო აზრით, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონია. მას დასამტკიცებელი აღარაფერი აქვს".

ლენოქს ლუისი უკანასკნელად 21 ივნისს, უკრაინელი ვიტალი კლიჩკოს წინააღმდეგ საჩხუბრად გავიდა რინგზე და მეტოქე მეექვსე რაუნდში დაამარცხა. უფრო სწორად, ტრავმის გამო კლიჩკომ ბრძოლა შეწყვიტა. მაშინ ბრიტანელმა WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიცვა. ამას გარდა, თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში ლუისმა დაამარცხა თანამედროვეობის საუკეთესო მძიმეწონოსანი მოკრივეები, კერძოდ, მაიკ ტაისონი და ევანდერ ჰოლიფილდი.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# დიდი მაგალითი



ყოფილხართ საქართველოს ნავთობკორპორაციის ოფისში?

ბევრიც დაგიკარგავთ! ოფისი კი არა, ნამდვილი მუზეუმია! ეტყობა, ბატონი გია ჭანტურია ხელოვნების დიდი მოყვარული და დამფასებელია, განსაკუთრებით კი გია ბუღაძის შემოქმედებისა. ამხელა ბუღაძეებს მხოლოდ მენავთობე თუ შეიძენდა.

ყოფილხართ ოდესმე პრეზიდენტის წიგნის პრეზენტაციაზე?

ბევრიც არ დაგიკარგავთ!

გია ჭანტურიამ, როგორც ხელოვნების ნამდვილმა თაყვანისმცემელმა, თავი ვერ შეიკავა და დააფინანსა საქართველოს პრეზიდენტის ახალი წიგნი - "დიდი მაგალითები". პრეზენტაციაზე ერთ-ერთი გამომსვლელის, ქალბატონ მანანა გიგინეიშვილისგან განსხვავებით, მე არა ვარ ლიტერატორი და ამიტომ ვერ გავარჩევ ბატონ კობა იმედაშვილის მიერ საგულდაგულოდ შერჩეული პრეზიდენტის ჩანაწერებისა და გამოსვლების ლიტერატურულ ღირებულებას. უბრალოდ, მართლა არ ვიცოდი, რომ ვაჟა, ილია, აკაკი მუდამ პრეზიდენტთან არიან... არ ვიცოდი, რომ პუშკინი ჩვენი საერთოა და გულახდილად მაინტერესებს, რა უყვარს პრეზიდენტს ყველაზე მეტად პუშკინის შემოქმედებაში. ნამდვილად არ ვიცოდი, რომ ედუარდ შევარდნაძეს ერთი-ორი სიტყვა ჰქონდა სათქმელი სულხან-საბა ორბელიანზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, იაკობ გოგებაშვილზე; მოგონებები ჰქონია არნოლდ ჩიქობავაზე, ირაკლი ფარჯიანზე, სერგო ფარაჯანოვზე. არ ვიცოდი, რომ პრეზიდენტს ამხელა სამეგობრო წრე ჰყოლია, თანაც სულ ხელოვანებისაგან შემდგარი. თუმცა, როგორც ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ბრძანა, ხელოვანი კი არ ირჩევს პრეზიდენტს, არამედ პრეზიდენტი ირჩევს ხელოვანს. მე მგონი, ეს საკამათო თეორიაა. ერთი კი ვიცი: სერგო ფარაჯანოვი არ ირჩევდა პრეზიდენტებს, სულხან-საბაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

წიგნის პრეზენტაცია ავტორის დაუსწრებლად ჩატარდა (ალბათ, თავმდაბლობის გამო) და წინასწარ დაგეგმილი სამი გამომსვლელის გარდა (პრეზიდენტის მიერ არჩეულები) სიტყვით გამოსვლა არავინ ისურვა. ალბათ ჭეშმარიტ ხელოვნებას ზედმეტი ლაპარაკი არ სჭირდება.

ერთი შემიძლია ვთქვა, რომ მამაჩემის, მხატვარ კოკა იგნატოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოგზავნილი პრეზიდენტის სამძიმრის ტექსტის (რომელიც შეტანილია ამ წიგნში) დიდი ნაწილი დათმობილი აქვს იმას, თუ როგორ განადგურდა და დაიკარგა კოკა იგნატოვის მიერ დახატული ფრესკების უმეტესობა. კი ბატონო, მაგრამ ვის მიერ არის განადგურებული, ვისი პოლიტიკის ბრალია დაკარგული ბიჭვინთა და ცხინვალი, მიგდებული, გაპარტახებული და კაპიკებად გაყიდული მთაწმინდა, სამორინედ გადაკეთებული კინოს სახლი. მაპატიეთ, მაგრამ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

ერთ-ერთმა ჩვენმა პოლიტიკურმა ლიდერმა წინა არჩევნების პერიოდში ტრიბუნიდან პრეზიდენტს მოუწოდა, დაენებებინა პოლიტიკისათვის თავი და მემუარები დაეწერა. მართალია, დღეს, ამ არჩევნებზე, პოლიტიკოსმა რადიკალურად შეცვალა თავისი აზრი და პოლიტიკა (ეს ხომ მათ ასე კარგად გამოსდით), მაგრამ მისი ნათქვამი მახსოვს. მართლაც ასეთი მრავალმხრივი ცოდნის, ერუდიციის, ხედვის, მაღალი ზნეობისა და ჰუმანურობის მქონე ადამიანს რა უნდა პოლიტიკაში. პოლიტიკა ხომ, მით უმეტეს, ბოლო 10 წლის ქართული პოლიტიკა, ასეთი ჭუჭყიანია.

დაბოლოს, საინტერესოა, 1921 წლის თებერვალში ტაბახმელა-კოჯრის გმირები რომ არ დაღუპულიყვნენ, როგორ წარიმართებოდა ედუარდ გიორგი შევარდნაძის ცხოვრება. ალბათ, ეპისტოლარული ნიჭი მაინც არ დაიკარგებოდა და დიდი მაგალითის სახით მოევლინებოდა ქართულ ლიტერატურას...







## ერთი რიგითი დაბადების დღე











ბოლო დროს თბილისში გაჩნდა დაბადების დღეების სახლში არ გადახდის ტენდენცია. ეტყობა, ამდენმა უგაზობამ, უწყლობამ, უშუქობამ გამოსავალი აპოვნინა მოხერხებულ თბილისელებს. ბევრი ახალი რესტორანი, კაფე, დუქანი, მოკლედ, ყველა გემოვნებაზე და შესაძლებლობაზე გათვალისწინებული ადგილი გაჩნდა, სადაც შეიძლება სტუმრები დაპატიჟო. სტუმრებისთვისაც კარგია, უფრო სახალისოა, და იუბილარიც არ არის დაღლილობისგან გადაქანებული. ეს ყველაფერი კარგია, თუ, რა თქმა უნდა, ფული და ცოტა ფანტაზიაც გაქვს.

ამ კვირაში ვიყავი ჩემი ამხანაგის უმცროსი დის დაბადების დღეზე ერთ პატარა, ლამაზ სასტუმროში - ეზოთი, აუზით, შესანიშნავი ხედით, იუბილარის ფოტოგამოფენით, პატარა ბუტერბროდებით, შამპანურით, მხოლოდ შავებში ჩაცმული ლამაზი ქალით და ორიენტალმუსიკით. ამ ყველაფერს ისე, სიტყვაზე თუ დამიჯერებთ, თორემ ფოტოები, რომლებსაც გთავაზობთ, ბოლომდე ვერ გადმოსცემენ დაბადების დღის განწყობას.

## საქართველო! გიხაროდენ!

### ფაქტობრივად, ერთი და იგივეა

გილოცავთ სოციალისტური შრომის გმირების ახალ გამარჯვებას!

რა სასიამოვნო და მოულოდნელია დაქცეული ქვეყნიდან აყვავებულ სოციალიზმში დაბრუნება. ლამაზი კოლმეურნე ქალები, ულვაშებაპრეხილი მუშები, მაძღარი ჯარისკაცები, პლანტაციები, ახლად შეღებილი დაუჟანგავი გემები, ლაღიძის წყლები, ქათქათა ფორმებიანი სტიუარდესები (ალბათ "აირზენასი". აბა, სხვა ავიაკომპანია აღარ დაგვრჩა), უხვი მოსავალი. ყველა იცინის, ბედნიერია და მღერის. მღერიან ძალიან ცუდ, უმელოდიო, უტექსტო სიმღერას, მაგრამ მაინც ხომ მღერიან!

ალბათ ფიქრობთ, რაზე გიყვებით. რაზე და ბატონ ჯემალ სეფიაშვილის, იგივე გემის კაპიტნის, ბორტის უფროსის და ფეხბურთის მწვრთნელის მიერ წინასაარჩევნოდ მოგონილ საქართველოზე.

ერთადერთი, რაც ამ კლიპში ნაღდია, ხილია. ეს ხომ მაინც შემოგვრჩა.

მიკვირს, როგორ ვერ მოიფიქრა ბატონმა ჯემალმა ამ კლიპში ლეილა აბაშიძის გადაღება. ის ხომ სოცრეალიზმის ეპოქის ნამდვილი ვარსკვლავია და თანაც, დარწმუნებული ვარ, კლიპში დაკავებულ ბევრ "მომღერალზე" უკეთ იმღერებდა.

ვის უნდა ასეთი გამოგონილი საქართველო?

ამბობენ, ტყუილის თქმისას გული ჩქარდებაო. ეტყობა, კლიპის ბოლოში აჩქარებული გულისცემა ამდენი ტყუილითაა გამოწვეული. ოღონდ, ვინ ვის ატყუებს და რის ფასად? რა ძალა გადგათ, გულს მაინც გაუფრთხილდით.

და, ბოლოს - აფხაზეთი არ არის სპეკულაციის თემა!

## თბილისური შემოდგომა

დადგა შემოდგომა. ფოთლები გაყვითლდა, გაწითლდა. ბანალური დასაწყისია? ალბათ, მაგრამ თბილისში სრულიად არაბანალური შემოდგომა დაგვიდგა და იცით, რა გაწითლდა და გაყვითლდა? - სახლები.

სახლებს ღებავს ყველა, ვისაც არ ეზარება. ღებავს თავისი ინდივიდუალური გემოვნების შესაბამისად. თვით ბუნებამაც კი არ იცოდა, თუ არსებობდა წითელ-ყვითელ-ვარდისფრის ამდენი ტონი. ქართველებმა ბუნებასაც კი ვაჯობეთ. ოღონდ, რის ფასად?

ფასი კი ძალიან მაღალია - ქალაქის სახე.

თბილისი შენდება და მახინჯდება, სრულიად გეგმაზომიერად, მიზანდასახულად. ეს იმდენად მტკივნეული და აქტუალური პრობლემაა, რომ ამას ჩვენ ხშირად დავუბრუნდებით. დღეს კი გვინდა გავიგოთ, სად არის თბილისის მთავარი მხატვარი, თუ საერთოდ არსებობს ასეთი, და აგვიხსნას, რითია გამოწვეული ქალაქის თვითნებური ღებვის ნამდვილი ისტერია.

ყველა "არქიტექტორ-დიზაინერი" ღებავს თავის აშენებულ სახლს, ყველა სამშენებლო კომპანია ღებავს, ახლად შესახლებული თავის აივანს ღებავს, ყველა ვაჭარი თავის მაღაზიის გარშემო ღებავს, ღებავენ ჯიხურებს, საპარიკმახეროებს, "ბუტკებს"...

ერთადერთი, რისი შეღებვის უფლებაც ადამიანს სხვების დაუკითხავად აქვს, საკუთარი თმაა. ჰოდა, იღებონ თმა ვარდისფერ-მწვანედ, ქალაქს კი დაანებონ თავი. ამისათვის არც მთავარი მხატვარია საჭირო და არც ქალაქის ოდნავი სიყვარული.

## ანტითბილისობა

ნებისმიერ დახურულ სივრცეს აქვს რამდენიმე კედელი, რომელთა გამოყენება ურთიერთსაპირისპიროს გამოსაფენად შეიძლება. ნეგატიური ერთ კედელზე, პოზიტიური კი - მეორეზე. სკოლაში გვქონდა ასეთი ორი სტენდი - "ვინ გვარცხვენს" და "ვინ გვასახელებს".

ზუსტად ეს პრინციპი გამოიყენეს გამოფენა-აქციის ორგანიზატორებმა (დათო მაღრაძე, დათო ტურაშვილი...) "თავისუფალი თეატრის" ფოიეში ექსპოზიციის გაკეთებისას. აქციას ანტითბილისობა დაარქვეს და ერთ, "პოზიტიურ კედელზე" ჩვენი წინაპრების გაყვითლებული ფოტოები გამოფინეს თავისი პატარ-პატარა მხატვრული მინაწერებით (ეს ფოტოები "24 საათის" დამატება "დედაქალაქში" იბეჭდებოდა). "ნეგატიურ კედელზე" კი ჩვენი თანამედროვეების მიერ დაუნდობლად დამახინჯებული, სახედაკარგული თბილისის ფოტოებია. ვინ არიან ეს თანამედროვეები, საიდან მოვიდნენ ან სად მიდიან, ნუთუ მათ არ ჰყავდათ წინაპრები? ზოგს ამბიცია ახრჩობს, ზოგს გამდიდრების ან განდიდების მანია, ზოგიც, უბრალოდ, უნიჭოა. ყველას მთავარი აერთიანებს - მათ არ უყვართ თბილისი და ისინი ერთ ეპოქას წარმოადგენენ.

მესამე, ცენტრალურ კედელზე კი თბილისელების ხელმოწერებია, რომლებსაც სურთ, რომ ქალაქის შეურაცხყოფის პროცესი შეჩერდეს და სურთ, იცოდნენ, ვის მოსთხოვონ პასუხი.

წლიდან წლამდე გროვდება ხელმოწერები, ტარდება ანტითბილისობები, მაგრამ პარალელურად - თბილისობებიც, ანუ ქალაქის "აღმშენებლობა" და ცინიზმის ეპოქა ჯერ კიდევ გრძელდება.

## სახლი

ქალბატონ ნანი ბრეგვაძის სახლში შესვლისთანავე, თვალში გვხვდება სიმყუდროვე და აღმოსავლურ-ევროპულ-რუსული მიქსი, რომელსაც თვითონ მომღერალი ვერაფრით ხსნის.

"ყველაზე ძვირფასი ის არის, რაც პირადად ჩემი შეძენილია", - ამბობს ქალბატონი ნანი. ღირსეულად კი მიიჩნევს დიდ ხალიჩას, რომელიც ოთახის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს.

ნანი ბრეგვაძე არავის მიმართ არ არის კრიტიკული, მაგრამ არ უყვარს, როდესაც ინტერიერში იგრძნობა პრეტენზია, ფული და ანტიკვარიატის შეძენის უსაფუძვლო ტენდენცია. ძალიან დიდ პატივს კი ისეთ ოჯახებს სცემს, სადაც ერთი-ორი ძველებური ნივთია შემორჩენილი, მაგრამ, ზოგადად, გაჭირვება იგრძნობა.

თბილისში, შინ დაბრუნებისას, ყოველ ჯერზე მოსწონს თავისი სახლი, ამჩნევს ყველა იმ დეტალს, რომელიც მის არყოფნაში ოჯახის წევრებმა დაამატეს და ცდილობს, თავისებურად შეცვალოს. "შეიძლება ეს სითამამეა და ჩემი ხედვა არ არის სწორი, მაგრამ მე სულ ვფიქრობ და ვსწავლობ".

ნანი ბრეგვაძე ოცნებობს არა ძალიან დიდ, მაგრამ საკუთარ სახლზე,ლამაზი ხედით, სიმწვანით და დიდი ოთახით, სადაც, ძველებურის გვერდზე, თანამედროვე კუთხესაც მოაწყობდა და კიდევ უფრო მყუდროდ მიიღებდა სტუმრებს.











# რექვიემი

## ახალი საქართველოს მუზები

### და კონცერტის დასრულებამდე დაცარიელებული ტრიბუნები

ვერა ნეფარიძე

*"თქვენთან ვარ, თქვენთან ვიქნები, თქვენთან ვიქნები მარადის", - გუშინ ლოკომოტივის სტადიონზე მუზების ზეიმმა ისეთ აპოგეას მიაღწია, რომ თვით საქართველოს პრეზიდენტსაც ასე ლაკონურად და პოეტურად ათქმევინა მისასალმებელი სიტყვა. პოეზიის გუნებაზე ედუარდ შევარდნაძე, ალბათ, სტადიონზე, ნებით თუ ნაძალადევად, შეკრებილმა საზოგადოებამ, საბჭოთა სტილში გადაწყვეტილმა საზეიმო თეატრალიზებულმა სანახაობამ და მთელ ამ ყველაფერში, მართლაც, ერთადერთმა ყველაზე ეფექტურმა - მაშხალებმა დააყენა. გუშინ სახელისუფლებო ბლოკმა საარჩევნოდ საზოგადოების გულის მონადირება ძალიან ულიმღამო კონცერტით გადაწყვიტა.*

მთელ ამ აბდაუბდაში ერთადერთი სიახლე განახლებული ლოკომოტივის სტადიონი იყო. დანარჩენი ყველაფერი - ისევ ძველი, ოცი წლის წინანდელი. ღონისძიება, სამწუხაროდ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი დროისათვის დამახასიათებელ სტილში იყო გადაწყვეტილი. მოედნის ირგვლივ თავმოყრილი: თეთრ და ლურჯ (სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო ფერია) ფორმებში გამოწყობილი ახალგაზრდობა სკოლებიდან, სხვადასხვა სასწავლებლებიდან; სტადიონის ერთ-ერთ ფლიგელში თეთრ ხალათებში ჩაცმული გოგონები მიგვანიშნებდნენ, რომ საქართველოს ექიმებიც ჩვენი ხელისუფლების მხარეს იდგნენ; მწვანე ფორმიანი, ალბათ, მეგზევები (ეს უდავოდ ახალი სიტყვაა თანამედროვე ქართულში), რკინიგზისა და ქართული ავიაციის მუშაკები, მეწარმეები, სპორტსმენები და მომღერლები.

ყველა ამ პროფესიის ადამიანები გუშინ საგანგებოდ შეკრიბეს "ლოკომოტივის" სტადიონზე - ისევე, როგორც ეს ხდებოდა წარსულში. იმიტომ, რომ გუშინ ყველა უნდა გაერთიანებულიყო "ახალი საქართველოსთვის".

ყველაზე კარგი კი ის იყო, რომ უმრავლესობამ არც კი იცოდა, კონკრეტულად რა ევალებოდა. იცოდნენ მთავარი – უნდა დამორჩილებოდნენ ხელმძღვანელს, რომელიც უბრძანებდა, როდის უნდა შესულიყო მოედანზე, აღემართა დროშა, ეფრიალებინა ალამი და ა.შ. ისმოდა ნაცნობი პათეტიკით წაკითხული "პატრიოტული" ტაეპები, ფრაზები, წინასაარჩევნო დაპირებები: "ჩვენ დალოცვილ, წმინდა მიწაზე ვცხოვრობთ. ჩვენ ამ მიწას ავაყვავებთ, რადგან ამ მიწის შვილები ვართ. მოვა დრო, როცა ჩვენი შვილები მადლობას გვეტყვიან. ამიტომ ვართ დღეს აქ"...

გუშინდელ ღონისძიებაში ლომის წილი "არტ-იმედს" მიუძღოდა – კონცერტი მისი "ვარსკვლავების" ხარჯზე გაიმართა; და ეტყობა, მთელი ეს "დამსახურება" "არტ-იმედისთვის" რომ არ მიეწერათ, რამდენიმე "გარევარსკვლავიც" შეაპარეს. დათო გომართელი, კახა ცისკარიძე, აჩი მეფარიძე, ლელა წურწუმია, "ქუჩის ბიჭები", მამა-შვილი გიო და ზუკა ხუციშვილები, მარიკა თხელიძე, ეკა მამალაძე (ყველაზე მოულოდნელი გუშინდელ კონცერტში სწორედ ეკა მამალაძის გამოჩენა იყო, რადგანაც ცნობილია სარეკლამო კლიპი, სადაც ოჯახთან ერთად იგი "ბურჯანაძე-დემოკრატებისთვის" მღერის), ვერიკო ტურაშვილი და ქეთა თოფურია – აი, ქართული ესტრადის ის კოჰორტა, რომლებმაც გუშინ პრეზიდენტსა და მთელ მის ხელისუფლებას უმღერეს. როგორც ჩანს, ან მთელი ქართული ესტრადაა (ყოველ შემთხვევაში, ის ნაწილი მაინც, გუშინ რომ ვიხილეთ) ხელისუფლებისგან მეტად დავალებული, ან კიდევ ამ ვარსკვლავების გამაერთიანებელი მამამარჩენალი. თავის მართლება იმით, რომ მონაწილეობა ჰონორარის გამო გადაწყვიტეს, უადგილო იქნება, რადგანაც კონცერტის ორგანიზატორები ამტკიცებდნენ, - გუშინდელი საღამოსთვის Imagination-იც კი უფასოდ ჩამოვიდაო...

გუშინდელი კონცერტით სახელისუფლებო ბლოკმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ცუდად დაგეგმილი რეკლამა საუკეთესო ანტირეკლამაა. როდესაც სახელისუფლებო ბლოკი საამიჯოდ ქართველ ფსევდო პოპ-ვარსკვლავებს მიმართავს, ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ძალიან უჭირს; უფრო სამწუხაროა თავად ქართველი "ვარსკვლავების" არჩევანი, რომელიც, ალბათ, უფრო მეტია, ვიდრე – უბრალოდ, პოლიტიკური არჩევანი. ამ მხრივ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა გუშინდელი სანახაობის წამყვანმა ბაკურ ბაკურაძემ. "დღეს ჩვენ ყველანი აქ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ გავერთიანდეთ ახალი საქართველოსთვის და 2 ნოემბერს მხარი დავუჭიროთ სტაბილურობას, სიმშვიდეს"..., - სტაბილურობა და სიმშვიდე ბაკურ ბაკურაძისთვისაც თუ მხოლოდ ამ ხელისუფლებასთან ასოცირდებოდა, აბა, საიდან უნდა მცოდნოდა აქამდე.

არაფერი ისეთი მოულოდნელი არ ყოფილა სახელისუფლებო ბლოკის წინასაარჩევნო კამპანიაში, როგორც გუშინდელ კონცერტში Imagination-ის მონაწილეობა. რა ვქნა, გულწრფელად მაინტერესებს, ვისი იდეა იყო მათი ჩამოყვანა და, საერთოდ, ვის გაახსენდა ბრიტანული ტრიოს არსებობა, რომელსაც თბილისში თავისი მეორე გასტროლი ცარიელი ტრიბუნების (შავკანიანი მუსიკოსების გამოჩენისთანავე ტრიბუნები აქტიურად დაცარიელდა) პირისპირ ყოფნით გაახსენდება. ან საკუთარ თავს რას ერჩოდნენ და ან - დრომოჭმული მუსიკის ამ შემორჩენილ "ვარსკვლავებს"? Imagination-მა სახელისუფლებო ბლოკის დროშის ფრიალით, თითქმის, ცარიელ სტადიონზე შეასრულა ლენონის Imagine (სწორედ ამ სიმღერის გამო, დაირქვა ტრიომ ასეთი სახელწოდება). სტუმრები იმდენად გააღიზიანა მაყურებლების პასიურობამ, რომ ტრიოს სოლისტმა ლი ჯონმა ჟურნალისტები კომენტარების გარეშე, მკვახე უარით გაისტუმრა. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი გუშინ სახელისუფლებო ბლოკმა თუ ღონისძიების ორგანიზატორებმა. კონცერტი, რომელიც 2 საათამდე გაგრძელდა, დასრულებამდე დატოვა მაყურებელმა - მიუხედავად იმისა, რომ გუშინ, ქართული ესტრადის ვარსკვლავების გარდა, ამინდიც სახელისუფლებო ბლოკის მხარეს იყო.


გადასახადების გადამხდელები


გადასახადების ამკრეფები


ქუჩის ბიჭები


ხელისუფლების ბიჭები


გაცრუებული იმედი


გაფრენილი იმედი

## სახელისუფლებო ბლოკის ბოლო იმედი

დალი კუპრავა

ის, რაც გუშინ "ლოკომოტივის" სტადიონზე მოხდა, და რასაც მათ სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერი ღონისძიება, გალა-კონცერტი დაარქვეს, ხელისუფლების ხელისუფლებასთან დამშვიდობება იყო. ამ სანახაობას, რომელიც მხოლოდ იმას მიანიშნებდა, რომ რამდენიმე დღეც და, თითქმის, საუკუნოვანი მმართველობა დამთავრდება - პომპეზურობა, დიახაც, რომ ეგებოდა. მსგავსი ვისაც არ უნახავს, მას დაანახა და ვისი მეხსიერებიდანაც ჯერ არ ამოშლილა, შეახსენა, რომ პოლიციურ სახელმწიფოში ერთი კაცი ბრძანებს: ზეიმი მიბრძანებიაო.

ვიდრე საქართველოს პრეზიდენტი ბაქოში, თავისი მეგობრის შვილს, აფხაზური ტრადიციებისამებრ, მამობილობას უწევდა და ხელჩაკიდებული კარდაკარ დაჰყავდა: გაიცანით, მიიღეთ და შეიყვარეთ - ეს თქვენი პრეზიდენტიაო, - თბილისში, "ლოკომოტივის" სტადიონზე მას შილიფად ჩაცმული ბავშვები ელოდებოდნენ და იყინებოდნენ: "თერთმეტი საათიდან აქ ვართ, ერთი კვირაა დავდივართ".

თსუ-ს ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავეები დაპირებული ანაზღაურების მოლოდინში იყვნენ; ზოოვეტის სტუდენტებისთვის თავზე ვაზის სიმბოლოებიანი გვირგვინები დაედგათ, თუმცა თვითონვე ხუმრობდნენ, - წესით, ხარ-ძროხის რქები უნდა გვხურებოდა და ჩლიქები ამოგვეცვაო; პოლიციის აკადემიის მოსწავლეები, წინასწარი დარიგებისამებრ, დროშის ტარების ხელკეტებად გადაქცევაზე ვარჯიშობდნენ: როცა დაიწყება, თუ ვინმე მოედანზე შემოსვლას შეეცდება, თავში ვრეკავთო, - კომბლეებივით იქადნებოდნენ. სამთავრობო ლოჟის თავზე ჩასაფრებული სნაიპერებიც მათ დამანახეს: თუ ვინმე უადგილოდ და უდროოდ გაინძრევა - ხელს ჯიბეში ჩაიყოფს, ან ჯიბიდან ამოიღებს, შუბლში ესვრიანო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარისკაცებს მარცხენა უბეში ხელკეტები ეწყოთ, ზევით კი სხვა აღჭურვილობით დახუნძლული მანქანები ელოდათ - როგორც ერთმა უფროსმა თქვა, - პა უსტავუ პალაგაეტსაო. გუშინ "ლოკომოტივზე" ყველაფერი ისე იყო, როგორც უხსოვარ დროს - "პა უსტავუ".

მონაწილეებიც და მაყურებლებიც ახალგაზრდები იყვნენ. ზოგი, უბრალოდ, უფასო კონცერტზე მოსულიყო, ზოგიც "თბილისობაზე" და თითო-ოროლამ, - შევარდნაძის პარტიამ მოაწყოო, - თქვა, - ხმას ვის მივცემ, ჩემი ნებაა, თუ მინდა, საერთოდ არ წავალ, მაგრამ პირველს არ შემოვხაზავო, - დაამატა.

სტადიონის შესასვლელში გულმა რეჩხი მიყო, - რამე ცუდს ხომ არ ელოდებიან-მეთქი: ექიმები და მუზარადიანები იდგნენ. ჩვენ მომავალი ექიმები ვართო, - დამამშვიდეს სტუდენტებმა. მუზარადიანები კი "მეტრომშენის" მშენებლები აღმოჩნდნენ: "სამუშაო და ხელფასი ჩვენ არ გვაქვს. მოდითო, - და უარი ვერ ვუთხარით, იქნებ ამ გზით გამოვტყუოთ რამე. ხმას... მაგას (დიქტოფონს) თუ გამორთავთ, გეტყვით ვის ვაძლევ." დიქტოფონი გამოვრთე და ისიც გავიგე, რომ მათი იქ ყოფნა პირველი ნომრის შემოხაზვის სურვილს სულაც არ ნიშნავდა.

"რას ამბობთ, ვინ მისცემს ამათ ხმას. მითხრეს, - ბავშვები მოიყვანეო და ჩემებს ვპატრონობ. შემოუვლიან სტადიონს დროშებით და წავიყვან," - თქვა ფრენბურთელთა მწვრთნელმა. აქვე იყვნენ ავიატორის, ზღვაოსნის, ვარსკვლავთმრიცხველის, სანტექნიკოსის კოსტიუმში გამოწყობილებიც.

ამაოდ ვეძებდი მას, ვინც კვირას პირველ ნომერს შემოხაზავდა.

ზემოთ ჩამოთვლილები და კიდევ მრავალნი, გერმანელი კლასიკოსის გრანდიოზული მუსიკის ფონზე, სტადიონზე გავიდნენ. სახელისუფლებო ბლოკმა დანარჩენ საქართველოს დაანახა, რომ მთელი საქართველო აქ "ლოკომოტივის" სტადიონზე შეყრილა. რადიომ მხარდამჭერთა რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა - ფარნავაზი, წმინდა ნინო, ვახტანგ გორგასალი და ქართველთა დიდი წინაპრებიც სტადიონზე შემოიყვანა.

ეროვნული "ლეკურისა" და რაველის "ბოლეროს" შემდეგ საქართველოს ჰიმნი გაისმა და პრეზიდენტმაც დააგუგუნა, - "გავერთიანდეთ ახალი საქართველოსთვის".

ჩემი წინასწარი გამოკვლევით, მაყურებელს სულაც არ უნდა გა-ერთი-ანება და აღარ იქნება კოზაკი, რომელსაც ერთმანეთს წაკიდებული აქლემები ჭყლეტენ.

ზეიმის დასასრულს სტადიონის თავზე დაკიდებული საჰაერო ბუშტი აუშვეს და ჰაერში წარწერიანად, წინასწარმეტყველურად დაიკარგა, გაქრა!

**P.S.**"ლოკომოტივამდე" ორიოდე საათით ადრე აბაშიძის ქუჩაზე ქართველი პოლიტიკოსების ფოტოები აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს. საწყისი ფასი ყველას ერთი ჰქონდა – პენსიის ოდენობა - 14 ლარი. ზოგი გაიყიდა, ზოგი - არა. თუმცა, მათი ნამდვილი ფასი 2 ნოემბრის შემდეგ გახდება ცნობილი, როცა სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები უკვე ისტორიული პოლიტიკოსები გახდებიან.

ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით**

| დასახელება | ავტორი | გამომცემლობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | | 37 |
| [illegible] | | [illegible] | 10 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 8 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 7 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 6 |
| [illegible] | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 6 |
| [illegible] | [illegible] | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 5 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4 |

**თანამედროვე როკის ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**

| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის N | ჩარტებში გატარებული კვირები |
|---|---|---|---|
| 1. A Perfect Circle | Weak and Powerless | 2 | 12 |
| 2. "სტეინდი" | So Far Away | 1 | 19 |
| 3. "ლინკინ პარკი" | Faint | 3 | 25 |
| 4. "ნიკელბექი" | Someday | 4 | 12 |
| 5. "ტრეპტი" | Still Frame | 7 | 16 |
| 6. Three Days Grace | (I Hate) Everything About You | 8 | 16 |
| 7. Evanescence | Going Under | 5 | 19 |
| 8. "ბლინკ-182" | Feeling This | 13 | 3 |
| 9. The White Stripes | The Hardest Button ton Button | 9 | 12 |
| 10. "ოდიოსლეივი" | Show Me How To Live | 6 | 19 |



**ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმი/რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | ჯამური შემოსავალი $ |
|---|---|---|---|
| 1. "საშიში კინო-3" დევიდ ცუკერი | პამელა ანდერსონი, ჯენი მაკკართი, ჩარლი შინი | 48,113,770 | 48,113,770 |
| 2. The Texas Chainsaw Massacre მარკუს ნისპელი | ჯესიკა ბილი, ერიკ ბალფური | 14,468,555 | 50,919,462 |
| 3. "რადიო" მაიკ ტოლინი | კუბა გუდინგ უმცროსი, ედ ჰარისი | 13,303,724 | 13,303,724 |
| 4. "გაქცეული ნაფიცმსაჯული" გარი ფლედერი | დასტინ ჰოფმანი, ჯონ კიუსაკი, ჯინ ჰეკმენი, რეიჩელ ვაისი | 8,446,650 | 24,057,433 |
| 5. "მისტიკური მდინარე" კლინტ ისტვუდი | შონ პენი, ტიმ რობინსი, კევინ ბეკონი, ლორენს ფიშბერნი | 7,787,255 | 24,733,033 |
| 6. "როკის სკოლა" რიჩარდ ლინკლეიტერი | ჯეკ ბლეკი, ჯოან კიუსაკი | 6,521,355 | 63,292,926 |
| 7. "მოკალი ბილი, ნაწ.1" ქვენტინ ტარანტინო | უმა ტურმანი, ლუსი ლიუ | 6,355,590 | 54,037,681 |
| 8. "კარგი ბიჭი" ჯონ ჰოფმანი | მოლი შენონი, მეთიუ ბროდერიკი | 5,065,102 | 32,104,866 |
| 9. "აუტანელი ბოროტება" ჯოელ კოენი | კეტრინ ზეტა ჯონსი, ჯორჯ კლუნი, ჯეფრი რაში | 3,629,860 | 28,252,815 |
| 10. "ტოსკანის მზის ქვეშ" ოდრი უელსი | დაიან ლეინი, სენდრა ოჰი | 2,287,114 | 37,249,294 |



# კატმანდუს ტრადიცია და ბრწყინვალება



კატმანდუში მოგზაურობისას ნაკლებად შეგხვდებათ ტყეებით გარშემორტყმული გზები, სამაგიეროდ, ვიდეოკამერებით და ციფრული ფოტოაპარატებით აღჭურვილ უამრავ ტურისტს გადააწყდებით. კატმანდუს გზები და ბილიკები შეუცნობელი მხარის აღმოჩენის და, საერთოდ, მოგზაურობის მოყვარულთა მიერ, განსაკუთრებით წლევანდელ წელს დაილაშქრა. ნეპალის სავიზიტო ბარათი – კატმანდუს ველი და ქალაქები – პატანი და ბაქტაპური, ქვეყნის ისტორიულ გულს ოდითგან წარმოადგენენ. კატმანდუ თავისი სილამაზით ისედაც განთქმულია, მაგრამ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ტურისტებს ქალაქის ცენტრიდან ათი წუთის სავალზე მდებარე სასტუმრო Dwarika's იტაცებს.

ერთადერთი აზიაში, არა მხოლოდ თავისი სილამაზით, არამედ, ლანდშაფტით, ატიპური ნაგებობით და განსაკუთრებული მემკვიდრეობითი ღირებულებით, ეს სასტუმრო, მართლაც, განსაკუთრებულია. პასუპატინას ინდურ ტაძართან მდებარე Dwarika's დიდებულ ბაღში დგას და რამდენიმე შენობისგან შედგება. წითელი აგურის და ხის უნიკალური სკულპტურებით მორთული ნაგებობა ნაირფერი ყვავილებითაა გალამაზებული, რაც მთრთოლავი და აღელვებული ქალაქიდან დაბრუნებულ ტურისტებს სიმშვიდის და სიწყნარის განწყობას უქმნის.

ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს 74 ჩვეულებრივი და ლუქსნომრების მშენებლობა 1952 წელს დაიწყო. სწორედ მაშინ, როდესაც ბატონი დვარიკა დას შრესთა, დანგრევის პირას მისულ შენობას სრულიად შემთხვევით გადააწყდა. შენობის ხის ნაკეთობების მომავალი ბედი ადგილობრივების მიერ ზამთარში გასათბობად გამოყენება იყო. დვარიკამ კი საკუთარი სახლის ეზოში მოათავსა



ხის უნიკალური სკულპტურები და წლების მანძილზე საგულდაგულოდ შეინახა. 1964 წელს კი გადაწყვიტა ნევარის სტილის შენობა აეგო, სადაც რესტავრირებულ ხელოვნების ნიმუშებს შეინახავდა. ამ იდეამ დვარიკა იქამდე მიიყვანა, რომ შემდეგში ხის ნაკეთობათა სახელოსნოც დააარსა, რომლის შემწეობითაც ნეპალის სხვადასხვა ეთნოსის უძველესი ხის ნაკეთობები დაღუპვას გადაურჩნენ.

ატელიეს მეპატრონის – დვარიკას გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ, Dwarika's სასტუმროების კომპლექსად გადაიქცა. ამჟამად, სასტუმროს ხის ავეჯი სრულ ჰარმონიაშია პატანის ცნობილ ხალიჩებთან, რომელებიც ნომრებს ამშვენებს. ყველა ნივთი ნეპალის სიმდიდრის მაჩვენებელია. ყოველ ნომერში დევს თამაში – bagh chal, რომელიც ჩვენთვის კარგად ნაცნობი ჭადრაკის მსგავსია. ამ ექსტრაორდინარულ სასტუმროს ეზოს დიდი აუზიც ამშვენებს. საუზმის თუ სადილის დროს შეგიძლიათ ნეპალური სამზარეულოს სინატიფეც დააგემოვნოთ. მოკლედ, ნეპალური სტუმართმოყვარეობის, შოპინგების, იოგას და ყველა ზებუნებრივი სიამოვნების მიღება თუ გსურთ, ეწვიეთ სასტუმრო Dwarika's, იქ ბევრ საინტერესოს აღმოაჩენთ.



# ვარსკვლავები ცხოველების დასაცავად




ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის, PETA-ს პლაკატზე პამელა ანდერსონი ვეგეტარიანელობას უწევს რეკლამას: „გადაშალე ახალი ფურცელი. გახდი ვეგეტარიანელი".




„ყველა ცხოველს ერთნაირი ნაწილები აქვს". სხვათა შორის, გულიც. ამიტომ მოდელი ტრაჩი ბინგჰემი ცხოველის ხორცს არ გეახლებათ.




მსახიობი უვე ოქსენკნეხტი და მისი მეუღლე, ნატაშა: „სიყვარულს ჯაჭვები არ სჭირდება". ისევე, როგორც ცხოველის ტყავისგან შეკერილი ტანსაცმელი.




ავსტრალიელი მოდელი Imogen ბეილი ტაილანდში სპილოების ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძვის. ის „დატყვევებული. ნაცემი. შეურაცხყოფილია", ისევე, როგორც სპილოები.





"60 წუთის" საგამომძიებლო ჟურნალისტიკის სკოლა აცხადებს ჟურნალისტთა მიღებას 2003-2004 წლისათვის. დარეკეთ: 25-31-81







განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- ალგორითმა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

